



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა  
და სოციალური დაცვის სამინისტრო

# საქართველოს ანტიკორპორაციული სტრუქტური

კონცეფციური დოკუმენტის პროცესი

თბილისი  
2006



საზოგადოებრივი გაერთიანება "ბემონი"



წინამდებარე კონცეფციური ლოკუმენტი შეიქმნა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრთან არსებული სახელმწიფო ნარკოპოლიტიკის განმსაზღვრელი საბჭოს მიერ.

## საბჭოს შემადგენლობა:

1. **თამარ სირბილაძე**, საბჭოს თავმჯდომარე საზოგადოებრივი გაერთიანება ბემონის გამგეობის თავმჯდომარე
2. **მერაბ მაჟავარიანი**, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან არსებული სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სახელმწიფო სააგენტოს მთავარი სპეციალისტი
3. **ხათუნა თოდაძე**  
ნარკოლოგიის ს/კ ინსტიტუტის სამეცნიერო დირექტორი
4. **თამაზ ზაქარაშვილი**  
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატორი დეპარტამენტის სამსახურის უფროსის მოადგილე
5. **ლევან ბარამიძე**  
საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე
6. **დავით ციცექიშვილი**  
საქართველოს საპატიოარქოსთან არსებული წმ. გაბრიელ ქიქოძის სახ. ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრის ფსიქოლოგი
7. **ჯანა ჯავახიშვილი**  
ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის სამხრეთ ჯავახისის ანტინარკოტიკული პროგრამის საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი
8. **პაპუნა ბარათაშვილი**  
დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტის სტატისტიკის განყოფილების თანამშრომელი
9. **ნინო ნატაშვილი**  
შიღსის, ტებერქულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის პროექტის კომპონენტების კოორდინატორი

# საქართველოს ანტინარკოტიკული სტრატეგია

აღმდეგობის დოკუმენტის პროცესი

შესახებ:

1. წილის მიზანი

2. სიტუაციის ანალიზი

2.1. საქართველოში ნარკოტიკულთა ფაქტორების სიტუაციის მიმოხილვა

2.2. საქართველოს გამოცდილება ნარკოტიკული მოგვარების სფეროში

2.2.1. პრობლემის დაძლევის სტრატეგიების დინამიკა

2.2.2. ნარკოტიკების მოწოდებასა და მოთხოვნასთან ბრძოლის შესაბამისი ინსტიტუციური მექანიზმების შექმნა

2.2.3. ნარკოტიკების მოთხოვნასთან ბრძოლის სახელმწიფო პროგრამა

2.2.4. არასამთავრობო სექტორის მოლვანეობა

2.2.5. კანონმდებლობის განვითარება

2.3. საქართველოს თანამდებობები

3. სტრატეგიის მსოფლივი და ეროვნული აღარყოფნები

3.1. ფინანსოვანი და მიზანები

3.2. სახაზო დილეგაციები და პრინციპები

3.2.1. სტრატეგიის ფუძემდებლური პრინციპები

4. სტრატეგიის მიზანი და ამოცანები

4.1. ძირითადი მიზანი

4.2. სტრატეგიის ამოცანები

5. სტრატეგიის სამოქმედო არეალი

5.1. ძირითადი სამიზნო ჯგუფები (სტრატეგიის მიზანები)

5.1.1. ბავშვები და ახალგაზრდები

5.1.2. ზრდასრული მოსახლეობა

5.1.3. ნარკოტიკების მომხმარებლები

5.2. სტრატეგიის განხორციელების აღგილი

5.2.1. სასწავლო დაწესებულებები

5.2.2. ოჯახი

5.2.3. სამსახურები (სამუშაო აღგილი)

5.2.4. შეიარაღებული ძალები

5.2.5. პენიტენციური სისტემა

5.2.6. თემი

5.2.7. ეკლესია

5.2.8. რეკორდირებული გარემო (გასართობი დაწესებულებები)

## 6. სტრატეგიის ინსტრუმენტები

### 6.1. სტრატეგიის პრიორიტეტები მიმართულებები

6.1.1. ნარჩობიაზა მოთხოვნილების შემცირება

6.1.1.1. ნარჩობიაზა მოხმარების პირველადი პრევენცია

6.1.1.2. წამალდამოქიდებულ პირთა მკურნალობა და  
რეაბილიტაცია

6.1.1.3. ნარჩობიაზა მოხმარებით გამოწვეული ზიანის  
შემცირება

6.1.2. ნარჩობიაზა მოწოდების შემცირება

6.1.3. პროფესიული კადრების მომზადება

6.1.4. საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაცია ნარჩობიაზა სამადიცენო,  
სოციალური, იურიდიული, ეკონომიკური ასპექტების შესახებ პალიციის  
ინფორმაციის მიწოდების გზით

6.1.5. სართაშორისო თანამშრომალობა

6.1.6. მონიტორინგი და კვლევა

## 7. სტრატეგიის განხორციელების მექანიზმი - კოორდინაცია

### 7.1. კოორდინაციის სტრუქტურა

7.2. ეროვნული ბაზობრივი ინიციატივის მიმღებადი და ფუნქციები

7.3. ეროვნული ბაზობრივი ინიციატივის მიმღებადი სავარაუდო სტრუქტურა

## 8. პროგრამის დაფინანსების შესახვა

## 9. სამოქადაგო გეგმა

## 10. დანართები

დანართი 1 - რაოდენობრივი პალეოზის შედეგები

დანართი 2 - რაოდენობრივი პალეოზის ინსტრუმენტი

დანართი 3 - თვისობრივი პალეოზის შედეგები

დანართი 4 - თვისობრივი პალეოზის ინსტრუმენტი

დანართი 5 - ნარჩობიაზის სფეროზი საკართველოში მომავალი მრგვალი მიმღებადი

დანართი 6 - ნარჩობიაზის სფეროზი საკართველოში მომავალი მრგვალი მიმღებადი

დანართი 7 - სიტუაციის ექსპრეს-შეფასების კითხვარი

## საქართველოს აწინარების სტრატეგია

### 1. შინაგანი სტრატეგია

კაცობრიობამ XXI საუკუნეში შეაბიჯა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საყოველთაო პრობლემის - ნარკომანიის გავრცელების შეზღუდვის ეფექტური გზების ძიებით. დღეს ამ პრობლემამ გლობალური ხასიათი მიიღო და ყველა სახელმწიფოს ზრუნვის საგანს წარმოადგენს. მან არ იცის რასობრივი, რელიგიური, ნაციონალური და სხვა ბარიერები. ნარკოტიკების მომხმარებელთა რაოდენობა წლილა წლამდე იზრდება და ეს ზრდა ძირითადად ახალგაზფების ხარჯზე ხდება.

გაეროს გენერალური ასამბლეის მეოცე სპეციალური სესიის პოლიტიკურ დებულარაციაში ნათქვამია: "ნარკოტიკები სერიოზულ საფრთხეს უქმნის მთელი კაცობრიობის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას, ქვეყნების დამოუკიდებლობასა და დემოკრატიას, ერების სტაბილურობას, მილიონობით ადამიანებისა და ოჯახების ღირსებასა და იმედებს".

ნარკოტიკებთან დაკავშირებული მსოფლიო პოლიტიკა განისაზღვრება საერთაშორისო კონვენციებით და სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებებით პრობლემურ სფეროში თანამშრომლობაზე. ამგვარად, დღეს მსოფლიოში მიმდინარეობს ნარკოტიკების გავრცელების პრობლემისადმი მიღვომის ჰარმონიზაციის პროცესი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული ქვეყნის ნაციონალური პოლიტიკა ამ სფეროში ინარჩუნებს გარკვეულ თავისებურებებს, კონკრეტული ქვეყნის ტრადიციებიდან და აქტუალური ნარკოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე.

პოლიტიკა - ეს არის პარტიონორებს შორის თანხმობა, კონსენსუსი იმის შესახებ, თუ რა პრობლემები უნდა გადაიჭრას და რა საშუალებებითა და სტრატეგიებით უნდა ხდებოდეს ეს. ნარკომანიის გავრცელებაზე კონტროლი სცილდება ერთი სფეროს ფარგლებს და ძნელია, ცაასახელო სოციალური პოლიტიკა, რომელიც უფრო მეტ კითხვებს ბადებს, ვიდრე ნარკომანიის პრობლემასთან დაკავშირებული პოლიტიკაა.

როგორი უნდა იყოს საქართველოში ნარკომანიის პრობლემის მოგვარებაზე მიმართული სისტემა? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძალიან რთულია, მაგრამ ერთი რამის თქმა ნამდვილად შეიძლება: სისტემა უნდა იყოს, ერთის მხრივ, არსებელი სიტუაციის ადეკვატური და, მეორეს მხრივ, მოქნილი, ანუ ოპერატორული უნდა რეაგირებდეს სიტუაციის ცვლილებაზე. ჩვენ უნდა შევიმუშავოთ პრაგმატული, ინტეგრირებული, გრძელვალიანი მიღვომა, რომელიც შეაჩერებს პრობლემის შემდგომ ესკალაციას და ხელს შეუწყობს ქვეყანაში ვითარების გაუმჯობესებას.

გამომდინარე ზემოთქმელიდან, სახელმწიფო ნარკოპოლიტიკის განმსაზღვრელი საბჭოს წინაშე უკიდურესად რთული და საპასუხისმგებლო ამოცანა იდგა - საქართველოს ანტინარკოტიკული სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავება.

საქართველოს პროგრამის, აუდიტორული და სოციალური დაცვის სამინისტრო  
საქართველოს ანტირანჟონიფიკაციის სტრატეგია

---

დოკუმენტის შემუშავების პროცესში არაერთი სამუშაო შეხვედრა და კონსულტაცია გაიმართა. უღრმეს მაფლობას მოვახსენებთ საქართველოს პარლამენტის, შინაგან საქმეთა, იუსტიციის, განათლების სამინისტროების, საპატიოარქოს, სხვადასხვა ორგანიზაციათა წარმომდგენლებს, ყველას, ვინც აქტიურად მონაწილეობდა ამ პროცესში და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სტრატეგიის შექმნაში.

წინამდებარე დოკუმენტი, ერთის მხრივ, მორგებულია ქართულ რეალობას, და, მეორეს მხრივ, ითვალისწინებს გაეროს გენერალური ასამბლეის მე-20 სპეციალური სესიისა და გაეროს კონვენციების მოთხოვნებს და იზიარებს ევროკავშირის ნარკოტიკებთან დაკავშირებული სტრატეგიის ძირითად პრინციპებსა და ამოცანებს. ევროპული მიღვომა გულისხმობს დაბალანსებულ, მულტიდისციპლინარულ და ინტეგრირებულ საქმიანობას ამ სფეროში.

დოკუმენტის შექმნას წინ უძლოდა საქართველოში არსებული ვითარების ანალიზი, სხვა ქვეყნების გამოცდილების შესრულება და ნარკომანიის პრობლემისადმი საზოგადოების დამოკიდებულების კვლევა.

სტრატეგიის დოკუმენტი გვთავაზობს პრობლემის გადაჭრის ისეთ გზებს, რომლებიც მისაღებია საზოგადოებისათვის; ეფექტურ და რეალისტურ სტრატეგიებს; ნარკოტიკებთან დაკავშირებული სიტუაციის მონიტორინგისა და ნარკოპოლიტიკის განხორციელების კოორდინაციის მექანიზმებს.

ვიმედოვნებთ, რომ ერთობლივი ძალისხმევით მოხერხდება საქართველოში ნარკომანიის პრობლემის მოგვარება.

პატივისცემით,

სახელმწიფო ნარკოპოლიტიკის განმსაზღვრელის საბჭო

საქართველოს პროგრამის, ჯანმრთელობისა და სოციალური ფაციის სამინისტრო  
საქართველოს აწინარეობისა და სტრატეგიული სტრატეგია

## 2. სიტუაციის ანალიზი

### 2.1. საქართველოში ღრაობის აღმოჩენა და მიმოხილვა

ნარკოტიკების მოხმარება და მასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის, სოციალური თუ ეკონომიკური შედეგები უმწვავეს პრობლემას წარმოადგენს დღეს საქართველოსთვის. 1990-იანი წლებიდან ქვეყანაში აღინიშნება ნარკომანიის ესკალაცია. ერთის მხრივ, საბჭოთა რეჟიმის რღვევას მოჰყვა ნარკომანიასთან ბრძოლის ტოტალიტური სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი სისტემის დაშლა, რომელიც ძირითადად ამერიკალავ ღონისძიებებზე იყო დამყარებული. მეორეს მხრივ, ქვეყანაში განვითარებულმა სოციალურმა, პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა მოვლენებმა წარმოშვა მთელი რიგი ფაქტორებისა, რომლებმაც ნარკოტიკების მოხმარების ინტენსიურ ზრდას შეუწყო ხელი. ერთოდ, დაუცველი საზღვრები, უკონტროლო ტერიტორიები, კრიმინალური სიტუაციის მჯეოთო გაუარესება, კორეფცია ზრდიდა ნარკოტიკების ხელმისაწვდომობას. ამავე დროს, სოციალურ-ეკონომიკური კოლაფსი, ფასულობათა კრიზისი საზოგადოებაში, სოციალური პესიმიზმი, უმუშევრობა ხელს უწყობდა ნარკოტიკების მოხმარების ზრდას. მიეხედავად იმისა, რომ უკანასკნელ ხანებში აღინიშნება ეკონომიკის განვითარება და დანაშაულის შემცირება, ნარკოტიკებით არალეგალური ვაჭრობა და მათი მოხმარება კვლავ მატულობს.

სიტუაციას კიდევ უფრო ამძაფრებს საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, რაც ქვეყანას აზიდან ევროპისკენ ნარკოტიკების ტრანზიტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ტრასად აქცევს. ამ თვალსაზრისით, საქართველო მოგვევლინა იმ მარშრუტების უშუალო დამაკავშირებლად, რომელთა მეშვეობითაც ნარკოტიკები ავტონეტიდან და ცენტრალური აზიდან ევროპისკენ მიედინება. აღნიშნელი ნარკოტიკების ნაწილი საქართველოში რჩება და ხელს უწყობს მათი მოხმარების ზრდას ქვეყანაში. უკანასკნელ წლებში მკეთრად გაიზარდა ნარკოტიკების ევროპიდან შემოტანა. ამ მხრივ, აღსანიშნავია ექსტაზი და, განსაკუთრებით, სუბურექსი, რომლის მოხმარებამ 2004-2005 წლებში საქართველოში საგანგაშო მასშტაბს მიაღწია.

ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მონაცემებით, ნარკოტიკების მოხმარებელთა და ნარკომანთა ოფიციალურად რეგისტრირებული რაოდენობა 1990-დან 2004 წლამდე 9-ჯერ გაიზარდა. 2004 წლის ბოლოსთვის ოფიციალურად რეგისტრებული იყო 24,000-მდე ნარკოტიკების მომხმარებელი, ან მათზე დამოკიდებული პირი. მაგრამ, ექსპერტული მონაცემებით, ნარკოტიკების მომხმარებელთა და დამოკიდებულთა სავარაუდო რიცხვი დღეს 200-240 ათასს აღწევს. მათ შორის, ინექციური ნარკოტიკების მომხმარებელთა და მათზე დამოკიდებულ პირთა რაოდენობა 80-90 ათასია.

უკანასკნელ წლებში გაფართოვდა საქართველოში მოხმარებული ნარკოტიკების საშუალებების სპექტრი. თუ 1998-99 წლებამდე ინექციური ნარკოტიკებიდან ძირითადად მოიხმარდნენ ოპიუმისა და ყაყაჩოს ნამჯისგან კუსტარულად დამზადებულ ნარკოტიკს, 1999-2000 წლებიდან ძირითადი ინექციური ნარკოტიკი ჰეროინი გახდა. 2003 წელს აფგანი

საქართველოს პროგრამის, აუდიტორული და სოციალური დაცვის სამინისტრო  
**საქართველოს ანტირაკოტიკული სტრატეგია**

---

ჰქონდა ყაყაჩოს თესლის მასობრივ მოხმარებას, რაც შეწყდა აღმევეთი ლონისძიებების შემცევ. ბოლო წლებში განსაკუთრებულ მასშტაბებს მიაღწია ბუპრენორიფინის (სუბუტექსის) მოხმარებამ. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ნარკოტიკების მოხმარების 2005 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველოში 275 000-მდე ნარკოტიკების მომხმარებელია. 2004 წელს ნარკოტიკების მომხმარებელთა რაოდენობა 150 000-ით გაიზარდა მხოლოდ სუბუტექსის მოხმარების ხარჯზე. შედარებით მცირე აფგილი უჭირავს სტიმულატორების ინექციურ მოხმარებას.

არაინექციური ნარკოტიკული საშუალებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ყანათვი (მარიხუანა), რომლის ფართოდ მოხმარება უკანასკნელ წლებში, პრაქტიკულად, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აღინიშნება. განსაკუთრებით საგანგაშოა ახალგაზრდებში, მათ შორის მოზარდებში, ყანათვის მოხმარების მნიშვნელოვანი მატება. ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე ახალგაზრდების მიერ ექსტაზის მოხმარება, რაც უმთავრესად დიდ ქალაქებში ხდება. საგანგაშო მასშტაბებს აღწევს ბავშვებსა და მოზარდებში, განსაკუთრებით მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებში, ნარკოტიკულად მოქმედი აქროლადი ნივთიერებების გამოყენების მაღალი დონე.

გაფართოვდა აგრეთვე ნარკოტიკების მოხმარების საზღვრები მომხმარებელთა ასაკის, სოციალური და გეოგრაფიული კუთვნილების თვალსაზრისით. ერთის მხრივ, აღინიშნება ნარკოტიკების, მათ შორის ინექციური ნარკოტიკების, პირველი მოხმარების ასაკის გაახალგაზრდავება. მეორეს მხრივ, გაიზარდა ნარკოტიკების მომხმარებელთა ასაკობრივი დიაპაზონი ბავშვებიდან ხანდაზმულებამდე.

საქართველოში ნარკოტიკების მოხმარების პრობლემა ყარგა ხანია გასცდა დიდი ქალაქების საზღვრებს. თუმცა, დღესაც, ნარკოტიკები დიდ ქალაქებში უფრო ხელმისაწვდომია, მათი მოხმარება პატარა ქალაქებსა და სოფლებშიც საკმაოდ ხშირია. განსაკუთრებით აღსანიშნავია აფგილობრივად კულტივირებული ყანათვის ფართოდ გამოყენება სოფლად.

**ნარკოტიკების მოხმარება ასევე აღინიშნება თითქმის ყველა სოციალურ ფენაში.**

თუმცა ქალების მიერ ნარკოტიკების მოხმარება, კულტურული და ტრადიციული თავისებურებებიდან გამომდინარე, ისეთი მასშტაბით არ აღინიშნება, როგორც სხვა ქვეყნებში (მაგ. რუსეთი, უკრაინა, ევროპის ზოგიერთი ქვეყანა და ა.შ). ექსპერტები მიუთითებენ, რომ უკანასკნელ წლებში ქალებსა და გოგონებში ნარკოტიკების მომხმარებელთა რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა.

სამწუხარო, ფაფინანსების სიმცირის გამო, სახელმწიფო ვერ ახერხებს შესაბამისი ზომების გატარებას ქვეყანაში ნარკოტიკების მოწოდების შეზღუდვის, მათი მოხმარების პრევენციისა და სამკურნალო-სარეაბილიტაციო პროგრამების დანერგვის მხრივ. ყოველივე ამას კიდევ უფრო ართულებს საზოგადოების უმოქმედობა და პრობლემით არასაკმარისი დაინტერესება. არასრულყოფილია კანონმდებლობა. აღსრულების მექანიზმები მოძველებული ან ნაკლებად ქმედითია.

## საქართველოს ანტირანგობისა და სტრატეგიული სტრატეგია

2.2. საქართველოს გამოცდილება ცალკომანის პროგრამის მოვალეობის სფეროში<sup>1</sup>

### 2.2.1. პრობლემის დაძლევის სტრატეგიების დინამიკა

საქართველოში ნარკომანიის პრობლემის წინააღმდეგ საპასუხო ლონისძიებათა სისტემის შექმნა საბჭოთა პერიოდში დაიწყო. ნარკომანი მხოლოდ დამნაშავედ ითვლებოდა და ნარკომანიასთან ბრძოლა, ძირითადად, პოლიციურ ლონისძიებებს გულისხმობდა. ეს არ გამორიცხავდა მყურნალობასაც, თუმცა არ არსებობდა პიროვნებაზე ორიენტირებული და ადამიანის უფლებების დაცვაზე დაფუძნებული ნარკომანიის პრევენციის, მყურნალობის თუ რეაბილიტაციის რამე სისტემა. ნარკომანიის გავრცელების პროფილაქტიკა ძირითადად ძალოვან სტრუქტურათა ამჟრძალავ ლონისძიებებზე იყო დაფუძნებული. ნარკოტიკული საშუალებების ხელმისაწვდომობის დონე და მათი გაფინანსება შავ ბაზარზე ძალიან დაბალი იყო.

XX საუკუნის 60-იანი წლებიდან სიტუაცია შეიცვალა - სამართალიამცავი სისტემის და იდეოლოგიის შეცარებითმა ლიბერალიზაციამ ხელი შეუწყო ნარკომანიის გავრცელებას. მიუხედავად პრობლემის გამწვავებისა, საზოგადოებაში მისი აღიარება არ ხდებოდა.

გარდამავალ პერიოდში, დამოუკიდებლობის მოპოვებასთან ერთად, ქვეყნის სასაზღვრო და საბაჟო სამსახურების დაშლის, სამოქალაქო ომის, უკონტროლურ ტერიტორიების გაჩენის, კრიმინალური სიტუაციის მკვეთრი გაუარესების ფონზე, ქვეყანაში გართული ნარკოტიკების უკანონობრუნვასთან ბრძოლა.

პრობლემის უკიდურესი გამწვავების პირობებში აუცილებელი გახდა სახელმწიფო დონეზე სტრატეგიული რეაგირება. ქვეყნის იმყამინდელმა ხელისუფლებამ დაიწყო ნარკოტიკების მოწოდებასა და მოთხოვნასთან ბრძოლის შესაბამისი ინსტიტუციური მექანიზმების შექმნა.

### 2.2.2. ნარკოტიკების მოწოდებასა და მოთხოვნასთან ბრძოლის შესაბამისი ინსტიტუციური მექანიზმების შექმნა

\* 1992 წელს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა სამძებრო განყოფილებიდან გამოყოფილ იქნა ნარკოტიკების უკანონობრუნვასთან ბრძოლის სამმართველო, რომელიც შემდგომში - 1994 წელს - შინაგან საქმეთა სამინისტროს ნარკომანიასთან და ნარკობიზნესთან ბრძოლის ეროვნულ ბიუროდ ჩამოყალიბდა. სამწესაროდ, ვერც ამ უწყებამ აუარი გვერდი იმხანად ძალოვან სტრუქტურებში გამეფებულ კორუფციას. დღეისათვის იგი რეორგანიზებულ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური

<sup>1</sup> ნარკოვითარება საქართველოში, 2004, წლიური ანგარიში, სამხრეთ კავკასიის ანტირანგოტიკული პროგრამა

## საქართველოს ანტირანგობის უფლების სტრატეგია

ოპერატორი დეპარტამენტის შემადგენლობაში შემავალ ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის სამართველოს.

\* 1993 წელს დაფუძნებულ იქნა ნარკოლოგის ეროვნული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელსაც დარგისათვის მეთოდოლოგიური, ორგანიზაციული და სხვა სახის ხელმძღვანელობა უნდა გაეწია. საბიუჯეტო კრიზისის მიზეზით, 1995 წელს, ინსტიტუტს ჩამოერთვა სახელმწიფო საჯარო დაწესებულების სტატუსი და იგი გადაიქცა კერძო სამართლის იურიდიულ პირად. ამ ცვლილებით სახელმწიფო ფაქტიურად მოიხსნა ინსტიტუტის უცილობელი დაფინანსების ვალდებულება და აღიარა ნარკოლოგიური სამსახურის სრულფასოვანი განვითარების ნაკლებპრიორიტეტულობა საქართველოში.

\* 1996 წელს შეიქმნა ეროვნული უშიშროების საბჭოს ნარკომანის გავრცელების, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო კომისია, რომელსაც თანათავმჯდომარეობდნენ შინაგან საქმეთა და ჯანდაცვის მინისტრები. კომისიის შემადგენლობაში გაერთიანებული იყვნენ ძალოვანი სტრუქტურების პირველი პირები (მინისტრები, უწყებათა ხელმძღვანელები), აგრეთვე ჯანდაცვის სამინისტროს, სპორტის კომიტეტის, საბაჟოსა და სხვა შესაბამის სტრუქტურათა ხელმძღვანელი პირები. კომისიის მიზანი იყო, მოეხდინა ქვეყნის სხვადასხვა უწყებათა საქმიანობის ინტეგრირება ნარკომანიასთან ბრძოლის სფეროში. ამის მიღწევა მას უნდოლა “საქართველოში ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პროგრამის” ერთობლივი შემუშავებითა და განხორციელებით. კომისიამ მართლაც შეიმუშავა ნარკომანიის პრობლემის დასაძლევი მრავალუწყებრივი თანამშრომლობის პრინციპზე აგებული ორი ეროვნული გეგმა, მაგრამ მათგან ვერც ერთი ვერ განხორციელდა ფინანსების უქონლობის მიზეზით. თვით კომისია უმოქმედო სტრუქტურად იქცა.

### 2.2.3. ნარკოტიკების მოთხოვნასთან ბრძოლის სახელმწიფო პროგრამა

1997 წლიდან, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელობით, ნარკოლოგის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა დაიწყო ”ნარკომანიის პროფილაქტიკის სახელმწიფო პროგრამის“ განხორციელება. პროგრამის უდიდესი ნაწილი ტრადიციულად ნარკოლოგიურ ექსპერტიზას ხმარლებოდა<sup>2</sup>. იმ მოქმედალებული თანხებით, რაც რჩებოდა ექსპერტიზის მიღმა (საშუალოდ 250 - 200 ათასი ლარი წლიდანადმდე 2005 წლამდე; 2005 წლიდან დაფინანსება შეიკვეცა 50 ათასამდე), პროგრამა ახორციელებდა სამუშაოებს შემდეგი მიმართულებით:

<sup>2</sup> 2005 წლიდან გაერთიანდა სასამართლო-სამეცნიერო, ფიქიატრიული და ნარკოლოგიური ექსპერტიზები და გადავიდა იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში.

## საქართველოს ანტინარკოტიკული სტრატეგია

1. საქართველოში ნარკოლოგიური სამსახურის ქსელის შექმნა: პროგრამის განხორციელების პროცესში შეიქმნა 10 რეგიონული ნარკოლოგიური ცენტრი და 21 რაიონული ნარკოლოგიური კაბინეტი, რომელთაც რესპუბლიკური ნარკოლოგიური ქსელი შეადგინეს. აგრეთვე, ამოქმედდა რესპუბლიკური საინფორმაციო ბანკი, რომელშიც თავს იყრის ქსელიდან მოწოდებული ინფორმაცია ნარკოტიკული საშუალებებისა და დამოკიდებული პირების შესახებ, რამაც ნარკომანის ეპიდემიოლოგიასა და ეპიდზედამხედველობას აუცილებელი საფუძველი ჩაუყარა.
2. ნარკომანის გავრცელების ეპიდემიოლოგიური კვლევა, რამაც ნარკოსტრატეგიის შემუშავებისათვის ნიადაგი მოამზადა.
3. უშუალოდ პროფილაქტიკური მუშაობა, რომელიც ძირითადად სასუოლო ფონზე მოქმედებდა.
4. ქვეყანაში ნარკოტიკულების ბაზრის სიახლეების შესაბამისად ნარკოლოგიური შემოწმების მეთოდების დახვეწა, ახალი პრეპარატებისა და ნივთიერებების მოხმარების კლინიკური და ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური შედეგების დაზუსტება და შესაბამისი ინფორმაციის ქსელში გავრცელება.

1997 წლიდან 2005 წლის ჩათვლით, აღნერილი პროგრამა ერთადერთი იყო ნარკოლოგიის (და საერთოდ, ნარკოტიკებზე მოთხოვნის შემცირების) დარგში, რომელიც იგეგმებოდა და ფინანსდებოდა სახელმწიფოს მიერ.

### 2.2.4. არასამთავრობო სექტორის მოვაწეობა

ნარკოტიკებზე მოთხოვნის შემცირებაზე მიმართული სახელმწიფო პროგრამების დეფიციტს ერთგვარიად ავსებს არასამთავრობო სექტორი, რომელიც საერთაშორისო დაფინანსებითა და მეთოდური დახმარებით, 1996 წლიდან მუშაობს - რეგულარულად ახორციელებს ოქმსა და სუოლაზე ორიენტირებულ მოქანდალებული მასშტაბის<sup>3</sup> პრევენციულ პროექტებს, ხოლო 1999 წლიდან - ზიანის შემცირების პროექტებსაც. დღეისათვის ქვეყანაში შვილი არასამთავრობო ორგანიზაცია სპეციალიზებულია წამალდამოქიდებულების პროფილაქტიკასა და ნარკოტიკების მოხმარებით გამოწვეული ჯანმრთელობისა და სოციალური ზიანის შემცირებაზე.

### 2.2.5. კანონმდებლობის განვითარება

90-იან წლებში საქართველოში დასრულდა ნარკოტიკებთან დაკავშირებული ყველა საერთაშორისო კოვენციის რატიფიცირება; 1999

<sup>3</sup> წელიწადში, საუკეთესო შემთხვევაში, 65 000 აშშ დოლარის ოდენობის ბიუჯეტი; მაქსიმუმ 350 უშალო მოსარგებლე.

საქართველოს პროგრამის, აუდიტორული და სოციალური დაცვის სამინისტრო  
საქართველოს ანტირაკოტიკული სტრატეგია

---

წელს მიღებულ იქნა ახალი სისხლის სამართლის კოდექსი, ხოლო 2002 წლის 5 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქორიკული ნივთიერებების, პრეეურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ”, რომელიც ძალაში 2003 წლის მარტში შევიდა.

ახალი კანონმდებლობის ძირითად პრინციპად შეიძლება ჩაითვალოს ადამიანის უფლებების გათვალისწინებით პიროვნების მიერ ნარკოტიკების შეძენისა და მოხმარების მაქსიმალური შეზღუდვა და, ამასთანავე, წამალდამოქიდებული ადამიანის ავალმყოფად აღიარება.

ახალი კანონით განისაზღვრა სახელმწიფო ვალფებულებები ნარკომანიით დაავადებულთა მიმართ. კანონის მიხედვით, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ამ კონტინგენტის გამოჯვლევა, ექსპერტიზა, დიაგნოსტიკა, დისპანსერიზაცია, მკურნალობა და რეაბილიტაცია. თუმცა, გამომდინარე ქვეყნის დღევანდელი მძიმე კანონმიკური მდგომარეობიდან, აღნიშნული დახმარების განხორციელება სახელმწიფოში მოქმედი პროგრამის ფარგლებში შეუძლებელია. დღეისათვის მკურნალობის არც ერთი შემთხვევა არ ფინანსდება სახელმწიფოს მიერ<sup>4</sup>.

სხვა სტრატეგიულ სიახლეებთან ერთად, კანონმა შემოილო ნარკომანიით დაავადებულთა და ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებელთა აუცილებელი და ცენტრალიზებული აღრიცხვის სისტემა; დაუშვა საქართველოს ტერიტორიაზე ჩანაცვლებითი მკურნალობის დანერგვა; მისცა ნარკოლოგიურ ავალმყოფებს უფლება, იმკურნალონ ანონიმურად; განსაზღვრა სავალფებულო მკურნალობის ზოგადი პრინციპები; შემოილო ნარკოტიკული დანაშაულის გამო დაკავებული და სასჯელმისჯილი პირებისათვის სავალფებულო მკურნალობა (დღეს, სამწუხაროდ, ვერც ეს სრულდება ფინანსური და ინსტიტუციური დეფიციტის გამო).

კანონის ამ დებულებათა შესრულების რეგულირების მიზნით, საჭირო გახდა და დაინყო სამუშაოები შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების გამოცემისა და ქვეყანაში მოქმედ სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებში ცვლილებების შეტანის მიმართულებით.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ საქართველოში „ნარკოტიკიული საშუალებების, ფსიქოაქტივური ნივთიერებების, პრეეურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ კანონის შესრულება ლიმიტირებულია ქვეყანაში არსებული ინსტიტუციური და ფინანსური რესურსებით.

<sup>4</sup> ქვეყანაში დღეისათვის მხოლოდ 4 კლინიკაა, აქედან სამი თბილისში და ერთი აჭარაში - ბათუმში.

საქართველოს პროგრამის, ჯანმრთელობისა და სოციალური ფაციტის სამინისტრო  
საქართველოს ანტინარჩოტიკული სტრატეგია

---

### 2.3. საკონსულტაციო თანამდებობები

ნარკოტიკების მოწოდებისა და ნარკოტიკებზე მოთხოვნის შემცირებაზე მიმართულ საქმიანობაში ქვეყანასთან მჭიდროლ თანამშრომლობს საერთაშორისო სექტორი. გარდა მთელი რიგი მცირე მასშტაბის პროექტებისა, რომელთაც საერთაშორისო დაფინანსებითა და მეთოდური დახმარებით ახორციელებენ არასამთავრობო ორგანიზაციები, საქართველოში მიმდინარეობს რამდენიმე შეტარებით დიდი მასშტაბის პროგრამა, რომელთაც საერთაშორისო ფონდები უძლვებიან და ერთობლივად ახორციელებენ ადგილობრივი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები. ამჟამად ქვეყანაში მწვაველ იგრძნობა ნარკომანის პრობლემის დაძლევის საქმეში უწყება-თაშორისი კოორდინაციის მექანზმების აწყობის საჭიროება. რამდენადაც სახელმწიფო დონეზე ამგვარი მექნიზმი დღეისათვის არ არსებობს, საერთაშორისო სექტორი ცდილობს ამ დეფიციტის შევსებასაც. ქვემოთ დავახსიათებთ ამ პროგრამებს:

1. სამხრეთ კავკასიის ანტინარკოტიკული პროგრამა საქართველოში 2001 წლიდან ხორციელდება ევროკავშირის ინიციატივით და დაფინანსებით, გაეროს განვითარების პროგრამის მიერ. პროგრამის ფარგლებში ერთდროულად მიმდინარეობს შემდეგი პროექტები: ნარკოტიკების უკანონო მიმოცევის პრობლემის დაძლევის სამართლებრივი უზრუნველყოფა; კონტროლის გაძლიერების უზრუნველყოფა სახმელეთო და საზღვაო საზღვრებზე და აეროპორტებში; შინაგან საქმეთა სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; ნარკომანიის პრევენცია არასამთავრობო ორგანიზაციათა თანამშრომლობის გაძლიერების გზით; ნარკოტიკებზე საინფორმაციო სისტემის შექმნა.

პროექტების პარალელურად, პროგრამა ცდილობს სფეროში მომუშავე უწყებების კოორდინაციას. კერძოდ, სამხრეთ კავკასიის ანტინარკოტიკული პროგრამის ინიციატივით, 2002 წლიდან ამოქმედდა ინფორმაციის საკოორდინაციო ქსელი, რომელშიც გაერთიანებულნი არიან როგორც ნარკოტიკების მოწოდების შემცირებაზე მომუშავე ძალოვანი სტრუქტურები, ასევე მოთხოვნის შემცირებაზე მომუშავე ორგანიზაციები (ჯანდაცვის სექტორი და საზოგადოებრივი ორგანიზაციები). პროგრამის ფარგლებში შექმნილი ინფორმაციის საკოორდინაციო სამსახური ქსელის წევრებისაგან მიღებული ინფორმაციას ამუშავებს და რეგულარულად გამოსცემს საქართველოს ნარკოვითარების წლიურ ანგარიშს, რომელიც ქვეყანაში ნარკოსტრატეგიის შემუშავებისათვის აუცილებელი დოკუმენტია.

2004 წელს საინფორმაციო ქსელი საქართველოს ანტინარკოტიკულ კოალიციას ჩამოყალიბდა. საქართველოს ანტინარკოტიკული კოალიცია არის უწყებათა/ორგანიზაციათა თავისუფალი ნების პრინციპზე დამყარებული არარეგისტრირებული გაერთიანება, რომელიც უწყებათაშორისი თანამშრომლობის საფუძველზე მიზნად ისახავს და

საქართველოს პროგრამის, აუდიტორული და სოციალური დაცვის სამინისტრო  
საქართველოს ანტინარკოტიკული სტრატეგია

---

ახორციელებს საზოგადოებრივ ძალთა მობილიზაციას ნარკოტიკების ავალმოხმარების პრობლემის დასაძლევად.

2. „სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების, აივ/შიდსის პრევენციის პროექტს“ საქართველოში 2002 წლიდან ახორციელებს საერთაშორისო ორგანიზაცია - ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“, აღვილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად. პროექტის მიზანია სქესობრივი გზით გადამდები ინფექციებისა და ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის გავრცელების მასშტაბების შემცირება. ამ ინფექციების გავრცელების კანონზომიერებების გათვალისწინებით, პროექტი ფონუსირებულია მაღალი რისკის ჯგუფებთან მუშაობაზე (მდედრობითი სქესის სექს-მუშაქები და მათი კლიენტები; ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლები და მათი პარტნიორები; მამაკაცები, რომელთაც სქესობრივი ურთიერთობა აქვთ მამაკაცებთან; ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლები თავისუფლების აღკვეთის აღვილებში).

პროექტის ძირითადი მიმართულებებია: სამიზნე კონტინგენტის რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევა, სამიზნე კონტინგენტის მაღალი რისკის ქცევის შეცვლაზე მიმართული ინტერვენციები (საინფორმაციო და კონსულტაციური უზრუნველყოფა, საველე სამუშაოები, თანასწოროთა განათლება და სხვ.) და დარგში პოლიტიკის შემუშავებაზე ზეგავლენა.

3. შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის პროექტს „აივ/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის პრევენციისა და კონტროლის ეფექტური განხორციელების მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების გაძლიერება საქართველოში 2003-2007 წლებში“, ახორციელებს საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი 2003 წლიდან. 2004 წელს ამოქმედდა პროგრამის კომპონენტი, მიმართული ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებში აივ/შიდსის პრევენციაზე. ამ კომპონენტს ახორციელებს ფონდი „ორა საზოგადოება - საქართველო“ ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტთან თანამშრომლობით. კომპონენტი გულისხმობს ზიანის შემცირებას მეტადონით ჩანაცვლებითი თერაპიის, შპრიცების გაცვლა-დარიგების პროგრამების განხორციელებისა და ინექციურ მომხმარებელთა შესაბამისი განათლების გზით; ასევე, სამიზნე კონტინგენტის უზრუნველყოფას ნებაყოფლობითი კონსულტირებითა და ტესტირებით; დაბოლოს - აივ ინფექციის გავრცელების პრევენციას საპატიმრო აღვილებში მყოფ ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლებში.

4. ნარკოტიკების არასამედიცინო მოხმარების შედეგად ზიანის შემცირების პროგრამის ინიციატორი და ხელმძღვანელია ფონდი „ორა საზოგადოება - საქართველო“, კერძოდ, მისი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პროგრამა. იგი მოქმედებს 1999 წლიდან. პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს მუშაობა შემდეგი მიმართულებებით:

## საქართველოს ანტირაკოტიკული სტრატეგია

შესაბამისი კანონმდებლობის დახვეწაში წვლილის შეტანა; ნარკომანიის პრობლემაზე ურნალისტთა ინფორმირებულობის დონის ამაღლება; სამიზნე კონტინგენტისათვის შპრიცების დარიგება, მათი განათლება და კონსულტირება; ჩანაცვლებითი თერაპიის დანერგვის ხელშეწყობა.

5. დუბლინის აგუფის საქმიანობა წარმოადგენს საქართველოში საერთაშორისო თანამშრომლობის მაგალითს. ე.წ. „დუბლინის აგუფი“ შეიქმნა 1990 წელს და აერთიანებს აშშ-ს, კანადას, ავსტრიას, იაპონიას და ნორვეგიას. დუბლინის აგუფი წარმოადგენს არაფორმალურ საკოორდინაციო აგუფს, რომელიც რეგულარულად იყრიბება სამი მიზნით: 1. ნარკოტიკებთან დაკავშირებულ საერთაშორისო პრობლემებზე (წარმოება, გატაზიდვა, მოხმარება) ინფორმაციის გაცვლა და ანალიზი; 2. ამ პრობლემების დაძლევაზე მიმართული რეკომენდაციების შემუშავება როგორც წევრი, ასევე პარტნიორი ქვეყნებისათვის; 3. თანამშრომლობის განვითარება და ძალისხმევათა კოორდინაცია როგორც წევრ ქვეყნებს, ასევე წევრ და პარტნიორ ქვეყნებს შორის. დუბლინის აგუფი მოქმედებს ე.წ. მინი დუბლინის აგუფების მეშვეობით. საქართველოში მინი დუბლინის აგუფის მუშაობას უძლვება გერმანიის საელჩო.

საქართველოს პროგრამის, აუდიტორული და სოციალური დაცვის სამინისტრო  
საქართველოს ანტინარკოტიკული სტრატეგია

---

### 3. სტრატეგიის მსოფლიშედველობრივი პლატფორმა

#### 3.1. ფილოსოფია და მიზანება

ჰუმანისტური ფსიქოლოგიის თანახმად, ადამიანი განიხილება, როგორც ერთი მთლიანი, რომელიც სხეული, ემოციები, აზრები და აღქმა ერთმანეთთან ურთიერთქმედებს და რომელსაც საკუთარი შინაგანი სამყარო გააჩნია. ეს სამყარო მისთვის შეიძლება უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს, ვიდრე ობიექტური რეალობა.

ჰუმანისტური პრინციპის მიმღევრები ამტკიცებენ, რომ სიამოვნება - ადამიანების ქცევის წამყვანი პრინციპია. ეპიკური, რომელიც თვლილა, რომ სიამოვნების მიღება ცხოვრების მიზანს წარმოადგენს, წერდა, რომ "ჭეშმარიტი" სიამოვნება გულისხმობს ნათელ გონებას და მხოლოდ მას შეუძლია ჭეშმარიტი სიამოვნების მიღება, ვინც მზადაა, უარი თქვას წამიერ სიამოვნებაზე უფრო მყარი და საიმედო დაკამაყოფილების მისაღებად.

ფიზიოლოგიური აუცილებლობით განპირობებული ადამიანის მრავალი მოთხოვნილება (შიმშილი, წყურვილი, ძილისა და სქესობრივი დაკამაყოფილების მოთხოვნილება) სუბიექტურად აღიქმება, როგორც სურვილი და თუ დიდი ხნის განმავლობაში არ მოხდა მათი დაკამაყოფილება, ორგანიზმი განიცდის ავალმყოფურ დაძაბულობასა და დისკომფორტს. როგორც ეს დაძაბულობა იხსნება, შვება განიცდება, როგორც სიამოვნება (ანუ დაკამაყოფილება). დაკამაყოფილება, რომელსაც ადამიანი გრძნობს ავალმყოფური დაძაბულობის მოხსნის შემდეგ, სიამოვნების ყველაზე მარტივ, პრიმიტიულ და ფსიქოლოგიურად ადვილად მიღწევად ტიპს წარმოადგენს. დაკამაყოფილების მეორე ტიპი, რომელიც ასევე დაძაბულობისაგან გათავისუფლების შემდეგ აღმოცენდება, დაკამაყირებულია არა ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებთან, არამედ ფსიქიურად განპირობებულ აუცილებლობასთან, მოიხსნას შთოთვა, სულიერი დისკომფორტი (ირაციონალური მოთხოვნილების დაკამაყოფილება).<sup>5</sup>

ევოლუციური განვითარების პროცესში ჩამოყალიბდა მიტგომა, რომ სიამოვნება წარმოადგენს ჯილდოს ქცევის ისეთი ფორმებისათვის, რომლებიც სასარგებლოა ინტივიტისათვის და საზოგადოებისათვის. სიამოვნების განცდა დაკამაყირებულია კვების, კომფორტის, სილამაზის, სიყვარულის, უსაფრთხოების, ცოდნის, შემოქმედების, გართობის, შრომის, დასვენების, თავისუფლების მოთხოვნილების დაკამაყოფილებასთან.

ნარკოტიკის მოხმარების დროს, სიამოვნების განცდა ხელოვნურად, რეალური საფუძვლის გარეშე აღმოცენდება. ამ შემთხვევაში სასიამოვნო განცდები ნერვული სისტემის ქიმიური სტიმულაციის გზით მიიღწევა და არა ადამიანის მოთხოვნილებების დაკამაყოფილების შედეგად.

**ნარკოტიკები წარმოადგენს ბუნებრივი სიამოვნების საშიშ სუროგატებს.**

<sup>5</sup> Erich Fromm "Man for Himself. An inquiry into the psychology of Ethics", 1969

## საქართველოს ანტინარკოტიკული სტრატეგია

ნორმალურ ადამიანს ახასიათებს განვითარების, ზოდისა და პროდუქტიულობისას უნიკალური სტრუქტურა, რომ თუ ეს ადამიანი "ადამიანურად" ცხოვრობს (ანუ, ახდენს საკუთარი პიროვნების რეალიზაციას), მოგებული რჩება თვითონაც და საზოგადოებაც. საკუთარი ძალებისა და უნარების არასაკმარისი რეალიზება ადამიანებში უბედურების განცდას ბადებს, რადგან მხოლოდ საკუთარი შესაძლებლობების პროდუქტიული გამოყენების საშუალებით აღწევს ადამიანი ჰარმონიას საკუთარ თავთან და გარემოსთან. თუ ეს ინდივიდი ამას ვერ ახერხებს, იგი იძაბება, სურვილი უჩნდება, გაეცეს საკუთარ თავს, მოწყენილობასა და უძლეურების გრძნობას.

ადამიანებს, რომლებსაც უჭირთ გარემოსთან ან სირთულეებთან შეგუება, ეუფლებათ შიში არსებული სინამდვილის წინაშე. სწორედ ეს შიში ბადებს სხვა რეალობაში გაქცევის სურვილს.

**ნებისმიერი ნარკოტიკი შეიძლება განვიხილოთ, როგორც შიშისა და დაურწმუნებლობის საწინააღმდეგო უნივერსალური საშუალება.**

სინამდვილეში, ადამიანი დამოკიდებული ხდება არა აბზე, ფხვნილზე ან სითხეზე, არამედ ამ ნივთიერებების ორგანიზმზე ზემოქმედების ეფექტზე, ანუ ნივთიერებით მიღწეულ ფსიქიურ მდგომარეობაზე - შიშისა და დაურწმუნებლობისაგან დროებითი გათავისუფლების გრძნობაზე.

თუ ეს შეცდომის საპასუხოდ ან საკუთარი ამაოების განცდის დროს ადამიანი არ ითრგუნება, მაშინ მას არავითარი სტიმული არა აქვს იმისათვის, რომ შეცვალოს, არ არსებობს მიზეზი სულიერი ძალისხმევისათვის. სულიერი ტაივილის განცდის გარეშე პიროვნება ვერ გაიზრდება. ნარკოტიკზე დამოკიდებულება არის ადამიანის მცდელობა, საკუთარ თავს ნებისმიერი განსაცდელი და სატკივარი ააცილოს. ასეთი მცდელობა სხვა არაფრით დამთავრდება, თუ არა სულის "ინფლაციითა" და სიკვდილით. ნარკოტიკები წარმოადგენს ვირტუალური ცივილიზაციის საქონელს, წამალს სინდისის წინააღმდეგ. " ვირტუალური ადამიანი" - ეს არის განცდისაგან, ანუ საკუთარი თავისაგან თავისუფალი ადამიანი.<sup>6</sup>

კაცობრიობა ზნეობრივ ნორმებს საუკუნეების განმავლობაში ხვეწდა. ნებისმიერი ნორმა თავისუფლების შეზღუდვად ალიქმება, მაგრამ ზნეობრივი ნორმები ადამიანების უსაფრთხო და სწორი ქცევის სივრცეს განსაზღვრავენ. ადამიანი თვითონ ირჩევს საკუთარი ქცევის სტრატეგიასა და ტაქტიკას. ღირებულებებისა და ზნეობრივი ნორმების არჩევასა და მათი რეალიზებისკენ მისწრაფებაში ინდივიდი ადსოლუტურად თავისუფალია, მაგრამ თავისუფლება არ არის გაიგივებული არც ყოვლისშემძლეობასთან და არც საკუთარი თავისათვის ყველაფრის უფლების მიცემასთან (პიროვნებას არა აქვს უფლება, შეიჭრას სხვა პიროვნების თავისუფლების ველში).

<sup>6</sup> Алексей Данилин, «Галлюциногены, психоделия и феномен зависимости», 2003

საქართველოს პროგრამის, აუდიტორული და სოციალური დაცვის სამინისტრო  
საქართველოს ანტინარკოტიკული სტრატეგია

---

მორიალი და ცხოვრების წესი პიროვნების ერთ მნიშვნელოვან თვისებას - კონსტრუქციულობას აყალიბებს. ნარკომანის პიროვნება კარგავს კონსტრუქციულობასა და სიმტკიცეს; ცხოვრება უმიზნო ხდება, მომავლის პერსპექტივა ქრება, ინტერესების სფერო ვიზროვდება - ყველაფერს ამას ნარკოტიკი გამოდევნის. ნარკომანია - ეს არის გარესამყაროსთან ურთიერთობის ერთგვარი ფორმა, როდესაც ნარკოტიკითან შეცარებით სხვა ყველაფრის მნიშვნელობა უსასრულოდ მცირეა.

ნარკოტიკები ადამიანების ნების დათრგუნვისა და მათი მართვის საშუალებას წარმოადგენს. ოლიტოს ჰაქსლი, თავის რომანში "ო, საოცარი ახალი სამყარო", წერდა: "ის, რომ დიქტატორს შეეძლო, თუკი მოინდომებდა, ამ ნარკოტიკების პოლიტიკური მიზნებით გამოყენება, არავითარ ეჭვს არ იწვევს. მას შეეძლო, საუთარი თავი დაცვა პოლიტიკური მღელვარებისაგან თავისი სუბიექტების ტვინის ქიმიის შეცვლით და ამ ფონზე მათვის მონური პირობების შეთავაზებით. აგზებულთა დასამშვიდებლად მას ტრანჯვილიზატორების გამოყენება შეეძლო, სტიმულატორების საშუალებით ინდიფერენციულ ადამიანებში ენთუზიაზმის გამოწვევას შეძლებდა, ხოლო ჰალუცინოგენების დახმარებით ყურადღებას გადაატანინებდა საუთარი პრობლემებისაგან. მაგრამ როგორ აიძულოს დიქტატორმა თავისი ქვეშევრდომები, მიიღონ აბები, რომლებიც აიძულებს მათ, ითიქრონ, იგრძნონ და იმოქმედონ ისე, როგორც მას მოუნდება? ალბათ, საქამარისი იქნება მხოლოდ ის, რომ ეს აბები ხელმისაწვდომი გახდეს. . ." <sup>7</sup>

საზოგადოება პიროვნების ანტისოციალურ სურვილებს თრგუნავს პირდაპირი აკრძალვით, ალზიტითა და სხვა საშუალებებით. დათრგუნელი სურვილები, თავის მხრივ, იწვევენ დაძაბულობას, შფოთვას, ბრალეულობის განცდას. დაძაბულობის მოხსნის ზოგიერთი ხერხი ლეგალურია, საზოგადოების მიერ ნებადართული, რამეთუ საშიშროებას არ წარმოადგენს სოციუმისათვის. მაგ., ცეკვების საშუალებით სუსტება სექსუალური აკრძალვები, სპორტი აკმაყოფილებს აგრესიისაკენ სწრაფვას, ყოლექციონერობა აკმაყოფილებს ფლობის მოთხოვნილებას, თეატრი სხვა სამყაროში დროებითი ცხოვრების საშუალებას იძლევა და ა.შ. მაგრამ დაძაბულობას ყველაზე მეტად ამცირებს საუთარი ცნობიერების შესუსტებული "მართლმსახულება". ნარკოტიკები აქვეითებენ თვითუონტროლს, ხელს უწყობენ მოშვებას, მოდუნებას, უმოქმედობას. პრობლემის სათავე იმაშია, თუ რამდენად სრულად არის პიროვნება ორგანიზებული, რამდენად წარმატებით ევერება იგი საზოგადოების მოთხოვნებას და რამდენად შესწევს უნარი, გამოიყენოს საზოგადოების მიერ ნებადართული დაძაბულობის მოხსნის ხერხები. კარგად ინტეგრირებული პიროვნება წარმატებით ართმევს თავს გარეშე და შინაგან სტრუქტურების და ამ პროცესში იყენებს სოციალურად მისალებ გზებს; ცუდად ორგანიზებული პიროვნება, რომელიც სტრუქტურას ადგილად გამოჰყავს წონასწორობითან, ძნელად ალიფგენს ამ წონასწორობას და რთულ სიტუაციებში მას სჭირდება მდგომარეობის ხელოვნური გზით შემსუბუქება. რაც მეტია ცეზოლგანიზაცია, მით მეტია

<sup>7</sup> Алексей Данилин, «Галлюциногены, психоделия и феномен зависимости», 2003

## საქართველოს ანტინარკოტიკული სტრატეგია

შემსებულებისა და შესუსტების მოთხოვნილება, რეალობისაგან გაქცევის სურვილი.

რეალობისაგან განსვლის მიზნით, ასეთი ადამიანები ცდილობენ, ხელოვნური გზით შეცვალონ თავიანთი ფსიქიური მდგომარეობა, რაც მათ უსაფრთხოების, შინაგანი წონასწორობის აღდგენის ილუზიას უქმნის. ეს გახლავთ დესტრუქციული ქცევა. ფსიქიური მდგომარეობის შეცვლა ხდება ქიმიური ნივთიერების მიღებით ან გარკვეულ საქმიანობაზე ყურადღების მედმივი გადატანით, რასაც თან ახლავს ინტენსიური ემოციური რეაქცია.

ფსიქოლოგიური კომფორტის აღდგენის ეს საშუალება პრიბლემის გადაჭრის ილუზიას ქმნის და სასიამოვნო ემოციებს ბადებს. რეალობასთან "ბრძოლის" ასეთი მეთოდი თანცათან ფიქსირდება ადამიანის ქცევაში და არსებულ სინამდვილესთან ურთიერთქმედების მყარ სტრატეგიად ყალიბდება. როდესაც რაიმე ნივთიერება ან ქცევა ადამიანის ცხოვრებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, ადამიანი კარგავს თავისუფლებას და დამოკიდებული ხდება სიამოვნების მომტან საშუალებაზე.

დამოკიდებულება არის რეალობისაგან გაქცევასა და სიამოვნების მიღწევის საშუალებებზე მუდმივი ფიქრის მდგომარეობა, რასაც ადამიანის დროისა და ენერგიის უდიდესი ნაწილი მიაქვს. ასეთი ინდივიდების შიგნით მეორე, "დამოკიდებული პიროვნება" ცხოვრობს, რომელსაც თავისი საკუთარი ლოგია, ემოციები, ლირებულებები და ფსიქოლოგიური დაცვის სისტემა გააჩნია. რეალობიდან განსვლა ძლიერ ემოციურ განცდებთან არის დაკავშირებული. თუკი ადამიანი ერთხელ წამოეგო "ემოციურ სატყუარას", მერე მისი მართვა ძალიან ადვილი ხდება. ნარკომანი, ფაქტიურად, დამოკიდებულია არა პრეპარატზე, არამედ ემოციაზე.

წამალდამოკიდებული პიროვნებისათვის ნარკოტიკი "ქიმიურ ყავარჯენს" წარმოადგენს, რომელიც ებმარება სტრუსთან გამჟღავნებაში, სთავაზობს მას ალტერნატიულ რეალობას, მაგრამ როდესაც ადამიანი ირჩევს დაძაბულობის მოხსნის ასეთ გზას, სიტუაცია შეიძლება უკონტროლო გახდეს: დასაწყისში სიმშვიდისა და დაკავშირებულების მომტანი შეგნებული ქმედება დროთა განმავლობაში დაუძლეველ მოთხოვნილებად იქცევა და ნარკოტიკის მოხმარება გრძელდება, მიუხედავად მასთან დაკავშირებული ფიზიური, სოციალური, ემოციური და სამართლებრივი პრიბლემებისა.

ნარკოტიკის მოხმარება რამდენიმე მოთხოვნილებას აქმაყოფილებს ერთდროულად - იზვეს განცხომის განცდას, ათავისუფლებს ადამიანს მუდმივი შთოთვისაგან, აქმაყოფილებს მისი დესტრუქციის მოთხოვნილებებს. ნარკოტიკიული თრობის მდგომარეობა თავისთავალ და ნარკომანია, როგორც პათოლოგიური პროცესი, სიკვდილთან წილნაზიარევი მოვლენაა. პირველ შემთხვევაში ადამიანი დროებით წყვეტს კავშირს მის ამქვეყნიურ ავ-არგონ, ხოლო დაკავების შემთხვევაში ეს პროცესი მეტ-ნაკლები ინტენსივობით ხანგრძლივად მიმდინარეობს და მუდმივი ინტენსიუაციის გამო ნააფრევი სიკვდილით მთავრდება;

საქართველოს პროგრამის, აუდიტორული და სოციალური დაცვის სამინისტრო  
საქართველოს არტისტურის მინისტრის სტრატეგია

---

ყველაზე უწყინარი ნარკომანი, მაშინაც კი, თუ მას მოთხოვნილებების შესაბამისად მოვამარაგებთ ნარკოტიკით, უკეთეს შემთხვევაში საზოგადოებისათვის პარაზიტულ წევრია ყალიბდება, რომელიც ავადმყოფური სიამოვნების დაკამაყოფილებასთან ერთად მოითხოვს სოციალურ ზრუნვას, რისთვისაც ხარჯები ჯანმრთელმა საზოგადოების წევრებმა უნდა გაიღონ. უკეთეს შემთხვევაში კი, რასაც ჩვეულებრივად ვხვდებით ცხოვრებაში, ადგილი აქვს ოჯახის ნგრევას, დესოციალიზაციას.<sup>8</sup>

ნარკომანის სამყარო, ეს არის სამყარო უიმედობის და უპერსპექტივობის, სამყარო, რომელიც მოქლებულებებს და ადამიანურ ლირსებებს, სამყარო, სადაც ადამიანები ერთმანეთს თელავენ, ხოლო ადამიანური მიმართებები დაფუძნებულია ექსპლოატაციაზე, სამყარო, სადაც იქმნება ხანმოკლე ალიანსები და არამყარი ურთიერთობანი. ასეთ სამყაროში ნარკოტიკები ქმნიან თავისუფლებისა და სინამდვილისაგან გაქცევის ილუზიას. მაგრამ თვით ეს სამყარო ილუზიიდან შორის არის, ეს არის ტრაგიკულად რეალური სამყარო.<sup>9</sup>

პიროვნების ხასიათი (ხასიათობრივი თვისებები) განსაზღვრავს ინდივიდის ქცევას. ამავე დროს, ხასიათი წარმოადგენს ადამიანის საზოგადოებასთან შეგუების საფუძველს. ბავშვის ხასიათი ფორმირდება მშობლების ზეგავლენით. თავის მხრივ, მშობლების მიერ არჩეულ ალზრიდის მეთოდებს საზოგადოების სოციალური სტრუქტურა და კულტურა განაპირობებს. "საშუალო ოჯახი" საზოგადოების ერთგვარ "ფსიქოლოგიურ შუამავალს" წარმოადგენს, ამიტომ, ოჯახთან ადაპტაციის პროცესში ბავშვს უყალიბდება ხასიათი, რომელიც მომავალში მისი საზოგადოებასთან ადაპტაციისა და სხვადასხვა სოციალური პრობლემის გადაწყვეტის საფუძველი გახდება. ბავშვს უყალიბდება ისეთი ხასიათი, რომლის ძირითადი ხაზები მას იმავე სოციალური ფენის, კლასის ან კულტურის წარმომადგენლებთან ახლოვებს და მისთვის სასურველია ის ქმედებები, რომლებსაც მისგან მოითხოვენ. ის ფაქტი, რომ სოციალური კლასის ან კულტურის წარმომადგენელთა უმრავლესობა იზიარებს ხასიათის არსებით ნიშნებს, და, ამას გარდა, არსებობს ტიპიური, ე.ნ. "სოციალური ხასიათი", იმაზე მეტყველებს, რომ სოციალური და კულტურული მოდელები ზეგავლენას ახდენს ინდივიდის ხასიათის ფორმირებაზე. ჩვევები, რომლებიც არ არის ხასიათში ფესვგადგმელი და კულტურულ მოდელებთან ინდივიდუალური შეგუების პროცესში ჩნდება, შეიძლება აღვილად შეიცვალოს ახალი სოციალური მოდელების ზეგავლენით.

ნარკომანია შეიძლება განვიხილოთ, როგორც საზოგადოებისათვის არასასურველი მოვლენა - სოციალური დევიაცია. ნარკომანიის გავრცელება, როგორც სოციალური მოვლენა, ხასიათდება ისეთი მაჩვენებლებით, როგორიცაა ნარკოტიკების მომხმარებელთა რაოდენობა, მოხმარების სტრუქტურა და ხერხები, მომხმარებელთა

<sup>8</sup> გელა ლეჟავა. "ნარკომანია, ფენომენის ანალიზი". 2003

<sup>9</sup> მანანა ბარკალაია "ნარკომანიის ფსიქო-სოციალური ფაქტორები". 1989

## საქართველოს ანტინარკოტიკული სტრატეგია

სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები, სოციალური კონტროლის ფორმები და ამა-თუ-იმ ნარკოტიკის მოვა.

ნარკომანია თითქოს გამძლეობაზე გამოცდას უწყობს მთელ საზოგადოებას: როგორია აღზრდის ხარისხი; საზოგადოებრივი ზნეობისა და სოციალური სამართლიანობის დონე; საზოგადოების უნარი, რეალიზებული გახადოს პიროვნება, მოევაროს სოციალური პრობლემები და ა.შ. რაც უფრო მეტი პრობლემა საზოგადოებაში, მით უფრო ნოუიერი ნიადაგი ექმნება ნარკომანიის გავრცელებას.

ნებისმიერი საზოგადოება ცდილობს, ისეთნაირად მოახდინოს თავისი წევრების ხასიათის სტრუქტურის ფორმირება, რომ საკუთარი სოციალური ფუნქციების განსახორციელებლად მოუნდეთ იმის გაკეთება, რასაც უნდა აკეთებდნენ.<sup>10</sup> საზოგადოებაში ნარკოტიკების გავრცელებას თავად საზოგადოება უნდა შეებრძოლოს. აუცილებელია საზოგადოების ზნეობრივი პოტენციალის გამოყენება პრობლემაზე სოციალური კონტროლის განსახორციელებლად. სოციალური კონტროლის ობიექტებს წარმოადგენს, ერთის მხრივ, მოსახლეობა და მისი ჯანმრთელობა, ხოლო, მეორეს მხრივ, ნარკოტიკების არალეგალური ბაზარი, ანუ ნარკობიზნესი. კონტროლის სუბიექტი კი არის სახელმწიფო, სპეციალიზებული ინსტიტუტების (ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, საგანმანათლებლო სტრუქტურები, სამართალდამცავი ორგანოები და სხვ.) სახით.

ნარკოტიკებთან და ნარკომანიასთან დაკავშირებული სტრატეგია ეფუძნება 2 ძირითად დაშვებას:

1. ნარკოტიკები ზიანს აყენებს საზოგადოების უსაფრთხოებას (სოციალური და კრიმინოლოგიური არგუმენტი);
2. ნარკოტიკები ზიანს აყენებს საზოგადოების ჯანმრთელობას (სამედიცინო არგუმენტი).<sup>11</sup>

ამ ორი არგუმენტის შესაბამისად, არსებობს ორი ძირითადი მიმართულება: საზოგადოების უსაფრთხოების პოლიტიკა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის პოლიტიკა.

საზოგადოების უსაფრთხოების პოლიტიკა, ძირითადად, მიმართულია ნარკოტიკების მოწოდების შემცირებაზე, გამოიხატება რეპრესიული ღონისძიებებით, ხორციელდება სამართალდამცავი ორგანოების მიერ, ხოლო საზოგადოებრივი ჯანდაცვის პოლიტიკა ხორციელდება სამეცნიერო, სოციალური, კულტურის, განათლების სისტემებისა და მეცნის მიერ და გამომდინარეობს იმ დაშვებითან, რომ საზოგადოების

<sup>10</sup> Erich Fromm "Man for Himself. An inquiry into the psychology of Ethics", 1969

<sup>11</sup> Дмитрий Суворов, Теории и системы противодействия распространению наркомании и контролю за наркотическими средствами

საქართველოს პრომინისტრი, აუდიტორიალური და სოციალური დაცვის სამინისტრო  
საქართველოს არტისტურული კონკურსი

ყველა სტრუქტურული ელემენტის საბოლოო მისიას მთლიანად  
საზოგადოების კეთილდღუობა წარმოადგენს.

როგორც ვხედავთ, ნარკომანიის პრობლემის მოგვარებაში ჩართულ  
სხვადასხვა უწყებებს შორის პოლიტიკური ფუნქციების ასეთი  
გადანაწილება სრულად შეესაბუვისება კომპეტენციების სფეროების  
გაყოფას ამ ფენომენის "იურიდიულ" და "სამედიცინო-სოციალურ" ფრთებს შორის. თუმცა, კომპეტენციების სფეროების გაყოფა სულაც არ  
გამორიცხავს მათ კოორდინირებულ მოქმედებას.

უფრო მეტიც, გაეროს გენერალური ასამბლეის მე-20 სპეციალური სესიის  
დეკლარაციაში აღინიშნა, რომ სასურველი შედეგი და "ერთობლივი  
ჰასეხისმგებლობა უზრუნველყოფილი იქნება მხოლოდ დაბალანსებული  
მიღებით. - ნარკოტიკებზე მოთხოვნილებას უნდა მიექცეს ისეთივე  
ყურადღება, როგორც მიწოდებას, რაც გულისხმობს პროფილაქტიკური  
და სამართალდამცავი სისტემების დაბალანსებულ მოქმედებას".

**ეფექტურ სახელმწიფო და საზოგადოებრივ კონტროლს ნარკომანიაზე  
მხოლოდ კომპლექსური, თანმიმდევრული და დაბალანსებული  
ანტინარკოტიკული პოლიტიკა დამყარებას.**

ამას გარდა, ნარკოტიკების პრობლემა უნდა გადაიჭრას ადამიანის  
უსაფრთხოებისა და განვითარების უზრუნველყოფის უფრო ფართო  
კონტექსტში.<sup>12</sup> "ადამიანის უსაფრთხოება - ეს არის ადამიანის ფიზიკური  
დაცელობა, მისი დაცვა ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობისაგან,  
ზრუნვა მის ჯანმრთელობაზე - კერძოდ, ნარკოტიკები შეიძლება  
განხილული ინას, როგორ ადამიანის ჯანმრთელობისათვის საფრთხის  
შემცველი. ადამიანთა უსაფრთხოების შენარჩუნება და უზრუნველყოფა  
ნიშნავს საზოგადოების დაცვას ტერორიზმისაგან, ნარკოტიკებით  
ვაჭრობისა და ნარკოტიკების მოხმარებისაგან, ბანდიტიზმისა და  
ადამიანების გატაცებისაგან და ყოველივე იმისაგან, რაც ჩვენი  
მოქალაქეების კეთილდღეობასა და ჯანმრთელობას ემუქრება".<sup>13</sup>

**წინამდებარე სტრატეგია დაფუძნებულია შემდეგ ძირითად  
პოსტულატებზე:**

a. ფსიქოაქტიური ნივთიერებების არასამედიცინო მიზნით მოხმარება  
დესტრუქციულ ზეგავლენას ახდენს თავად მომხმარებელზე და მთლიანად  
საზოგადოებაზე

ნებისმიერი აქტივობა, რომელიც ადამიანის თვითკონტროლის უნარს  
აქვეითებს, პოტენციურად საშიშია როგორც თვით ამ ადამიანისათვის,

<sup>12</sup> World Drug Report 2004, UNDCP

<sup>13</sup> World Drug Report 2000, UNDCP

## საქართველოს ანტირაკოტიკული სტრატეგია

ასევე საზოგადოებისათვის. ფსიქოაქტიური ნივთიერებები, რომლებიც თვითუონტროლს ასუსტებს როგორც ინტოქსიკაციის (მწვავე ეფექტები), ასევე წამალდამოკიდებულების (ქრონიკული ეფექტები) შემთხვევაში, საფრთხეს წარმოადგენს ამ პიროვნებისათვის და საზოგადოებისათვის.

ამას გარდა, მიუხედავად განსხვავებებისა, ფსიქოაქტიურ ნივთიერებებს ერთი რამ აერთიანებს: ყველა მათგანი უარყოფითად მოქმედებს მომხმარებლის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, შესაბამისად, მათი მოხმარება სხვადასხვა ხარისხის რისკთან არის დაკავშირებული.

### ბ. წამალდამოკიდებულების ფორმირებას მრავალი ფაქტორი განაპირობებს

დამოკიდებულების ჩამოყალიბების პროცესის ახსნას მრავალი სამეცნიერო თეორიით თუ მოდელით ცდილობლნენ - სოციალური, სიღრმისეულ-ფსიქოლოგიური, ანთროპოლოგიური, ბიოლოგიური და სხვა. სხვადასხვა მოდელების კრიტიკულმა შეფასებამ მკლევარები სინთეზ-მოდელამდე მიიყვანა, რომელიც აღიარებს წამალდამოკიდებულების მულტიფაქტორულ წარმოშობას. ამ მოდელის მიხედვით, დამოკიდებულების გამომწვევ მიზეზებში იგულისხმება იმ პიროვნები, ნარკოტიკაზე დაკავშირებული და სოციალურ-კულტურული ფაქტორების კომპლექსი, რომლებიც ინტენსიურად ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან. სქემატურად ასეთი განპირობებულობა აღინიშნება შემდეგი ფაქტორების ურთიერთყავშირით: პიროვნება - ნარკოტიკი - გარეშე.

აქედან გამომდინარე, ნარკოტიკებთან დაკავშირებული პრობლემები იზოლირებულად არ ჩნდება და საზოგადოებაში არსებული სოციალური პრობლემების გამოძახილია.

### გ. ნარკოტიკების მოხმარების მასშტაბები დაკავშირებულია მათ ხელმისაწვდომობასთან

რაც უფრო ხელმისაწვდომია ნარკოტიკები, მით მეტი ადამიანი მოიხმარს მათ, მით მეტი რაოდენობით მოიხმარს მათ ნარკოტიკების მომხმარებლები და მით მეტია იმ მომხმარებელთა რაოდენობა, ვისაც პრობლემები უჩნდება ნარკოტიკების გამო.

შესაბამისად, სამართლებრივი კონტროლი ნარკოტიკების ხელმისაწვდომობაზე (რომელიც შეიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ აკრძალვით) მათი მოხმარებისა და ამ მოხმარებით გამოწვეული პრობლემების შემცირებისა და ახალგაზრდობის მიერ ნარკოტიკების მოხმარების დაწყების შეკავების ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს.

### დ. სამართლებრივი კონტროლი: საჭიროა სწორი ბალანსის მოძებნა

არალეგალურ ნარკოტიკებთან დაკავშირებული სიტუაციის რეგულირება უნდა ხდებოდეს კონტროლის ისეთი მექანიზმების მეშვეობით,

საქართველოს პროგრამის, აუდიტორული და სოციალური დაცვის სამინისტრო  
საქართველოს არტისტურისტიკული სტრატეგია

---

რომელიც ხელს შეუწყობს როგორც მოწოდების, ასევე ნარკოტიკებზე  
მოთხოვნილების შემცირებას.

**ნარკოტიკებზე მოთხოვნილების შემცირება გამოიწვევს:**

1. ნარკოტიკების მოხმარების დაწყების შემცირებას;
2. ნარკოტიკების ავალმოხმარების შემცირებას;
3. ნარკომანით დაავადებულ პირთა რიცხვის შემცირებას;
4. ნარკოტიკების მოხმარებით გამოწვეული სიკვდილიანობის შემცირებას;
5. ნარკოტიკების მოხმარებით გამოწვეული გართულებების შემცირებას;
6. ნარკოტიკებთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტაზე ფინანსური და სოციალური დანახარჯების შემცირებას;
7. ნარკოტიკების მოხმარებით საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანის შემცირებას.

ამჟამად, როგორც ნარკომანია საქართველოში ხასიათდება მუდმივი ზრდის ტენდენციით და დამცავი ბარიერები არასაკმარისად ეფუქტურია, საქართველოს ანტინარკოტიკული სტრატეგია არ იზიარებს ლიბერალიზაციისა და ნარკოტიკების ლეგალიზაციის იღეას, რაღაც ნარკოტიკების ლეგალიზება ვერ შეცვლის იმ ფაქტს, რომ ნარკოტიკები ადამიანების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე უარყოფითად მოქმედებს. მეორეს მხრივ, ლიბერალიზაცია გამოიწვევს მოხმარების ზრდას და, შესაბამისად, გამოიწვევს პრობლემის გალომავებას.

თუმცა, შესაძლებელია არსებულ კანონმდებლობაში ისეთი ცვლილებების შეტანა, რომელიც უფრო დახვეწილს გახდის მას ნარკოტიკების მოხმარებლებთან მიმართებაში.

**ე. წამალდამოქიდებულება საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემა**

ნარკოტიკზე მიჩვევა და დამოკიდებულება, პირველ რიგში, საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემაა, წარმოადგენს ჯანმრთელობის ზოგადი პოლიტიკის ნაწილს და მიმართულია ნარკომანიის პრევენციაზე, ნარკომანთა მყურნალობაზე, რეაბილიტაციაზე და ნარკოტიკის მოხმარებით გამოწვეული გართულებებისა და პრობლემების პრევენციაზე (ზიანის შემცირება).

საქართველოს პროგრამის, ჯანმრთელობისა და სოციალური ფაციტის სამინისტრო  
საქართველოს ანტინარჩოტიკული სტრატეგია

---

### 3.2. საბაზო ლილებულებები და პრიცეპები

ნარკოტიკების არასამეტიცინო მიზნით მოხმარებით გამოწვეული პრობლემები საზოგადოებას ძლიერ ძვირი უქცება: ავალმყოფობა, უბედური შემთხვევები, ტრავმატიზმი, კრიმინალური ქმედებები, კორუფცია, ოჯახური და სხვა ურთიერთობების ნგრევა, პიროვნების პროცესების დაქვეითება, ლირსებისა და პიროვნული თავისუფლების დაქარგვა, გალარიბება და სხვა. ახალგაზრდების მიერ ნარკოტიკების მოხმარება კიდევ უფრო სერიოზულ უარყოფით შედეგებს იწვევს. ნარკომანია აზიანებს ყველაზე უფრო პრომისუნარიან ასაკს, საფრთხეს უქმნის ქვეყნის მშენებლობის ისეთ სტრატეგიულ მიმართულებებს, როგორიცაა თავდაცვისუნარიანობა და უშიშროება.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, "ყველა ადამიანი დაბალებით თავისუფლია და კანონის წინაშე თანასწორია, ყველას აქვს საქუთარი პიროვნების თავისუფლი განვითარების უფლება, ადამიანის ჰატივი და ლირსება ხელშეუვალია".<sup>14</sup> საქართველოს ყველა მოქალაქეს აქვს ჯანსაღი, ლირსული და პროცესუალური ცხოვრების უფლება, რაც იმასაც გულისხმობს, რომ დაცული იყოს ნარკოტიკების მოხმარების უარყოფითი შედეგებისაგან.

საქართველოს ანტინარკოტიკული სტრატეგია უნდა ემყარებოდეს შემდეგ ძირითად ღირებულებებს:

- პიროვნების ჰარმონიული განვითარების ხელშეწყობა;
- პიროვნების უსაფრთხოების დაცვა;
- ადამიანის ლირსების ჰატივისცემა;
- საზოგადოების განათლებისა და განვითარების ხელშეწყობა;
- ადამიანის უფლებების დაცვა;
- ოჯახის უსაფრთხოების დაცვა;
- ბავშვთა უფლებების დაცვა

ამ თვალსაზრისით, დღეს მოზარდი თაობა ყველაზე დაუცველია, განსაკუთრებით, ინფორმირებულობის მხრივ, ბავშვის უფლებათა კონვენციის 33-ე მუხლის თანახმად, "მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა აუცილებელ ზომას, საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და სოციალური ზომების ჩათვლით, აგრეთვე ლონისძიებებს განათლების სფეროში, რათა დაცვან ბავშვები შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრული ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უქანონო ხმარებისაგან." (მოცემული კონვენციის თანახმად, ბავშვად ითვლება 18 წლამდე ასაკის ყოველი ადამიანი) საქართველომ აღნიშნული კონვენციის რატიფიცირება 1994 წლის 21 აპრილს მოახდინა, რითაც აიღო ვალდებულება, შეესრულებინა კონვენციით ნაკისრი ვალდებულებები. აქედან გამომდინარე, ნარკომანიის პრევენციისადმი კონცეპციური, სისტემური მიღვომის გამომჟავება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს.

<sup>14</sup> საქართველოს კონსტიტუცია, თავი 2, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი.

საქართველოს პროგრამის, აუდიტორული და სოციალური დაცვის სამინისტრო  
საქართველოს ანტინარკოტიკული სტრატეგია

ოჯახის თუნდაც ერთი წევრის მიერ ნარკოტიკების მოხმარება სერიოზულ უარყოფით გავლენას ახდენს მთელს ოჯახზე: იწვევს ფსიქოლოგიურ, სამედიცინო, მატერიალურ პრობლემებს, ოჯახური ურთიერთობებისა და ტრადიციების ნგრევას, ფიზიურ, ემოციურ და სექსუალურ ძალადობას, სოციალურ იზოლაციას. განსაკუთრებით ცუდად აისახება ყოველივე ეს ბავშვების ფსიქიურ და ფიზიურ ჯანმრთელობაზე - ბავშვების მოთხოვნილებები უგალვებელყოფილია, არ არსებობს მშობლებთან სრულყოფილი კონტაქტი, რაცგან მშობლები ბავშვებისათვის ძნელად მისაწვდომია. ყველა ბავშვს აქვს უფლება, გაიზარდოს უსაფრთხო და მზრუნველ გარემოში. ასეთი ოჯახები სახელმწიფოს მხრიდან ყურადღებასა და მხარცაჭერას საჭიროებენ.

როდესაც საუბარია ნარკოტიკების მომხმარებლის უფლებებსა და მისი არჩევანის თავისუფლებაზე, მოიხმაროს თუ არა ნარკოტიკი, უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოება ნარკოტიკების არასამედიცინო მიზნით მოხმარებას მიუღებლად მიიჩნევს. ამიტომ, ისეთი პირადი არჩევანი, რომელიც აშკარა წინააღმდეგობაში მოდის სხვა ადამიანის ან მთლიანად საზოგადოების ინტერესებთან და უფლებების დაცვასთან, საზოგადოების და სახელმწიფოს მხრიდან წახალისებული ვერ იქნება. პირადი არჩევანის თავისუფლება პასუხისმგებლობასაც გულისხმობს და ამ არჩევანის საფასურად სხვების არჩევანი ან უფლებები არ უნდა შეიზღუდოს.

### 3.2.1. სტრატეგიის ფუძემდებლური პრინციპები:

**1. კომპლექსური და დაბალანსებული მიღვომა** - წამალდამოქიდებულების გავრცელების მიზეზები მრავალგვარია და ითვალისწინებს სოციალური, ეკონომიკური, ოჯახური, ფსიქოლოგიური, ჟულტურული და სხვა ფაქტორების როლს ამ ფენომენის განვითარებაში. შესაბამისად, ამ პროცესების მოგვარება კომპლექსურ მიღვომას მოითხოვს, სატაც სტრატეგიის თითოეულ პრიორიტეტულ მიმართულებას თანაბარი მნიშვნელობა ენიჭება. ნარკოტიკების მიწოდებისა და მათზე მოთხოვნილების შემცირება თანაბრად მნიშვნელოვანი და ურთიერთდაკავშირებული სტრატეგიებია.

**2. რაციონალური პოლიტიკის შექმნის საფუძველს კვლევა წარმოადგენს** - ერთი მხრივ, სახელმწიფო ნარკოპოლიტიკის ნებისმიერი ცვლილება უნდა ემყარებოდეს მეცნიერულ მტკიცებულებებს და, მეორეს მხრივ, პოლიტიკის ნებისმიერი ცვლილების ეფექტი ასევე სამეცნიერო კვლევის შედეგად უნდა შეფასდეს.

**3. პარტნიორობა და ერთობლივი მოქმედება** - სისტემური მიღვომა პიროვნებას, თემს და მთლიანად საზოგადოებას განიხილავს, როგორც ურთიერთდაკავშირებულ ნაწილებს, რომლებიც ერთმანეთზე ზემოქმედებენ და ერთად მუშაობენ. ასეთი მიღვომით, ნარკოსტრატეგიები უნდა მოიცავდეს ამ პროცესების მოგვარებაში ჩართულ ყველა ინსტიტუციასა და ორგანიზაციას. ლოკალურ, ნაციონალურ და საერთაშორისო დონეზე ერთობლივი

### საქართველოს აწინარეობის უფლებების სტრატეგია

კონფიდენციალური მოქმედება მკვეთრად გაზრდის განხორციელებული ცონისძიებების ეფექტურობას.

4. **საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაცია** - საქმიანობა, რომელიც მიმართულია საზოგადოების ინფორმირებასა და განათლებაზე. საზოგადოებას მუდმივად უნდა მიეწოდებოდეს მყაფიო და ობიექტური ინფორმაცია, რომელიც ხელს შეუწყობს ნარკომანიის პრობლემის მიმართ ადგენატური დამოკიდებულების ფორმირებას.

5. **გრძელვადიანი დაგეგმვა** - დასავლეთის ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მხოლოდ გრძელვადიანი სტრატეგიები და უწყვეტი ინტერვენცია იძლევა პრობლემის რეგულირების საშუალებას.

საქართველოს პროგრამის, აუდიტორული და სოციალური დაცვის სამინისტრო  
საქართველოს არტისტურული სტრატეგია

---

---

#### 4. სტრატეგიის მიზანი და ამოცანები

##### 4.1. ძირითადი მიზანი

საქართველოს ანტინარკოტიკული სტრატეგიის ძირითადი მიზანია საქართველოში ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის, ნარკომანის გავრცელებისა და მისგან გამოწვეული საზიანო შეფეხების შემცირება.

##### 4.2. სტრატეგიის ამოცანები

1. ნარკოტიკების მოხმარების გავრცელების შეზღუდვის დასახვა ქვეყნის ხელისუფლების ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებად;
2. ნარკოტიკების მოხმარების გავრცელების შეზღუდვისათვის საზოგადოების აქტივობის გაზრდა (მობილიზება);
3. ქვეყნის მოსახლეობაში ნარკოტიკების მოხმარების გავრცელების შემცირება;
4. მოზარდებსა და ახალგაზრდებში ნარკოტიკების მოხმარების პრევენცია;
5. ძალოვანი სტრუქტურების მიზანდასახული მოქმედების გააქტიურება ნარკოტიკების ხელმისაწვდომობის შესამცირებლად;
6. ნარკოტიკებზე დამოკიდებულ პირთა მკურნალობის, სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის, საზოგადოებაში რეინტეგრაციის ეფექტური სისტემების ამოქმედება;
7. ნარკოტიკების მოხმარებით გამოწვეული ჯანმრთელობის (აივ/შილსი, ჰეპატიტები, სიკვდილიანობა და სხვ.) და სოციალური ზიანის შემცირება;
8. ნარკოტიკების მოწოდების, მოთხოვნის და ნარკოტიკების მოხმარების შედეგების ერთიანი მონიტორინგის სისტემის დახვეწა, განვითარება, ინსტიტუციონალიზაცია და ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

**საქართველოს ანტირაკოტიკული სტრატეგია**

- 
9. ნარკოტიკების მოხმარების მარეგულირებელი საქანონმდებლო ბაზის სრულყოფა და მისი შესაბამისობაში მოყვანა ქვეყანაში არსებულ მოთხოვნებთან და საჭიროებებთან;
  10. ნარკოტიკების მოწოდებისა და მოთხოვნის შეზღუდვის საყითხებზე მომეშვე სხვადასხვა ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით და პროფესიული კალრებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა;
  11. ნარკოტიკების მოხმარების გავრცელების წინააღმდეგ მიმართულ ფონისძიებათა კოორდინირების ფონის ამაღლება ნაციონალურ და საერთაშორისო დონეზე;
  12. ნარკოტიკებისაგან თავისუფალი ცხოვრების ხელშეწყობა.

საქართველოს პროგრამის, აუდიტორული და სოციალური დაცვის სამინისტრო  
საქართველოს ანტინარკოტიკული სტრატეგია

---

---

## 5. სტრატეგიის სამოქმედო არეალი

### 5.1. ძირითადი სამიზნე ჯგუფები (სტრატეგიის ობიექტები)

#### 5.1.1. ბავშვები და ახალგაზრდები

ზრუნვა ცხოვრების ჯანსაღი წესის დასამევილრებლად უნდა დაიწყოს რაც შეიძლება ადრე, რადგან ჯანმრთელობისათვის საზიანო ცხოვრების სტილის ფესვები ბავშვობაში და, განსაკუთრებით, მოზარდობის ჰერიოლში უნდა ვეძებოთ.

ბავშვის განვითარების აღრიცხვი წლები საფუძველს უწოდის მომავალში მისი ჩამოყალიბებისა და ქცევის მახასიათებლებს. ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია სწორი კვება, ჯანსაღი გარემო, მეტყველებითი, მოტორული და პროსოციალური უნარების განვითარება, სითბო და მზრუნველობა უფროსების მხრიდან.

სკოლამდელი ასაკის ბავშვს სჭირდება საკუთარ თავში დარწმუნებულობის, არჩევანის გაერთების, კომუნიკაციური უნარების განვითარება, კონპერაციული თამაშისა და სწავლის გამოცდილება, უსაფრთხო გარემო.

ცაწყებითი საკულო ასაკი ის ჰერიოლია, როცა რაციონალურად იცვლება ბავშვის ცხოვრების სტილი - მას უჩინდება ვალდებულებები. ამ ასაკის ბავშვი სწავლობს ემოციების მართვას, საკუთარ ქცევაზე პასუხისმგებლობის აღებას, პრობლემების გადაჭრას. სხვადასხვა სფეროში ბავშვის კომპეტენციის განვითარების შედეგად მნიშვნელოვნად ვითარდება ქმედ- ს განცდა. ამ დროს აუცილებელია ბავშვის პიროვნეული და სოციალური ზრდის ხელშეწყობა.

მოზარდობის ჰერიოლი ახალგაზრდის წინაშე უამრავი პრობლემა და ამოცანა დგას, გაცილებით მეტი, ვიდრე შემდგომი ცხოვრების ნებისმიერ სხვა ჰერიოლში: მან უნდა მოიპოვოს აღიარება თავის ასაკობრივ ჯგუფში, ისწავლის პარტნიორული ურთიერთობები, დაიწყოს სექსუალური ცხოვრება, აირჩიოს პროფესია; ამ დროს ყალიბდება ლირებულებათა სისტემა, ვითარდება თვითშემეცნება.

#### ნარკოტიკისადმი ინტერესის აღმოცენება:

1. 8-11 წელი - ამ ასაკის ბავშვებისათვის ნარკოტიკი იდუმალებით მოცელი, უცნობი და აურაობული სამყაროა, და როგორც ყველათერი იდუმალი, უცნობი და აურაობული, ეს სამყაროც განსაკუთრებულ ცნობისმოყვარეობას და ინტერესს იწვევს; ნარკოტიკის შესახებ ყურმოკრელი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ინფორმაცია გააჩნიათ; გასინჯული აქვს ერთეულების. მათ გარემოცვაში ნარკოტიკის მოხმარება არ არის მიღებული. აქტიური მოხმარება ყველაზე ხშირად ინჰალანტებთან არის დაკავშირებული.

2. 11-14 წელი - ამ ასაკობრივ ჯგუფში ნარკოტიკის შესახებ საკმაოდ ბევრი იციან, თუმცა, ინფორმაცია ცალმხრივია და ყურადღება ძირითადად ნარკოტიკის მიმზიდველ მხარეზე მახვილდება. ინფორმაციის ძირითად წყაროს ნაცნობები წარმოადგენერ.

## საქართველოს ანტირენალიტიკული სტრატეგია

ნარკოტიკების მიმართ განწყობა უფრო პოზიტიურია, რომელსაც თან ახლავს გარეველი "მომხიბლველობის შარიანულები". ნარკოტიკების მოხმარების საფრთხე სათანალოდ არ ფასდება. პრობლემაზე მხოლოდ ერთმანეთში საუბრობენ. აქტიურად განიხილება ე.რ. "მსუბუქი" ნარკოტიკების მოხმარების შესაძლებლობა. ამ ასაკში უფრო ხელმისაწვდომი საყოფაცხოვრებო ქიმიის ნაწარმი და მედიკამენტებია (ბენზინი, ნებო, აცეტონი, დამამშვიდებელი აბები), და, ამავე დროს, გავრცელებულია მცდარი მოსაზრება, რომ ეს საშუალებები შედარებით უსაფრთხოა. სწორედ ამ საშუალებებით ეზიარებიან ხოლმე ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებას.

**3. 14-17 წელი - ყველაზე კრიტიკული ასაკია ნებისმიერი ფსიქოაქტიური ნივთიერებით ექსპერიმენტირების დაწყების თვალსაზრისით. ამ პერიოდს ხშირად დამოუკიდებლობის ასაკს უწოდებენ, ნარკოტიკთან ნაცნობობა უფრო ხშირად ხდება უფროსების თვალთახედვიდან მოშორებულ ადგილას - დისკოთეკაზე, ახალგაზრდულ წეველებაზე, საღმე "მიუყჩებულ ადგილას". უმრავლესობა უკვე საკუთარ თავზე სცდის ნარკოტიკის ეფექტებს. ფსიქოაქტიური ნივთიერებების ზემოქმედებისა და მოხმარების რისკის შესახებ ინფორმაციის გაფრთოვების კვალდაკვალ, ყალიბდება გარკვეული პოზიცია ნარკოტიკების მოხმარების მიმართ.**

ცნობილია, რომ სპეციფიკური გარემოებების ზეგავლენით ნებისმიერი ადამიანი შეიძლება გახდეს რაიმე საშუალებაზე ან ქმედებაზე დამოკიდებული. ნარკოტიკებისადმი ლტოლვის აღმოცენების მიზეზები მრავალგვარია. გარდატეხის პერიოდში ასეთ მიზეზებს მიეკუთვნება: დიდობისა და უფროსების კონტროლისაგან გათავისუფლების სურვილი; ამავე დროს, სახეზე მოზარდის ემოციური მოუმწიფებლობა, საკუთარ თავში დაურჩენებლობა, საკუთარი ქცევის გაკონტროლების არასაკმარისი უნარი, არამყარი და ზოგჯერ არასწორი ფასეულობათა სისტემა, თანატოლების ზეგავლენა, პრონარკოტიკული განწყობა მიკროსოციალურ გარემობი, ნარკოტიკების ხელმისაწვდომობა, ადეკვატური ინფორმაციის ნაცლებობა, ცხოვრებისეული ან ყოფითი პრობლემები და სხვ. ამას ემატება ცნობისმოყვარეობა და უჩვეულო შეგრძნებების განცლის სურვილი.

მოზარდობის პერიოდის კრიზისი ნარკოტიკების მოხმარების დაწყების მნიშვნელოვან რისკ-ფაქტორს წარმოადგენს.

უფროსებმა მოზარდს განვითარების პირობები უნდა შეუქმნან და ეს უნდა გაეთდეს დიდი სითრთხილითა და მზრუნველობით - პატივი სცენ მოზარდის ღირსებას, დაეხმარონ მას სწორი თვითშეფასებისა და ფასეულობების ჩამოყალიბების და საჭიროების დროს მისცენ სასარგებლო რჩევები. ყველაფერი ეს ხელს უწყობს მოზარდის პიროვნულ და სოციალურ მომწიფებას.

**შეუძლებელია ნარკოტიკებისაგან მოზარდების სრული იზოლირება, მაგრამ შესაძლებელია, ვასრავლოთ მათ ნარკოტიკების გაზრდებული უარყოფა.**

საქართველოს პროგრამის, აუდიტორული და სოციალური დაცვის სამინისტრო  
საქართველოს არტისტურული და კულტურული სტრატეგია

ანტინარკოტიკულ სტრატეგიაში აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ის ბავშვები და მოზარდები, რომელთაც უკვე აქვთ ნარკოტიკებთან დაკავშირებული პრობლემები ან ამ თვალსაზრისით მაღალი რისკის ჯეფს წარმოადგენენ. ესენია:

- მოზარდები, რომლებიც ხშირად აცდენენ სკოლას ან გარიცხულნი არიან სკოლიდან;
- უსახლეარო/ქუჩის ბავშვები და მოზარდები;
- შეიარაღებული კონფლიქტის ზონებში ან პოსტკონფლიქტურ სიტუაციებში მყოფი ბავშვები;
- ახალგაზრდა სამართალდამრღვევები.

მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ ძალიან ძნელია იმ პრობლემებისა და რისკების შეფასება, რომლებსაც ეს ბავშვები და მოზარდები აწყდებიან. აუცილებელია ასეთი კონტიგენტისათვის მხარცაჭერისა და მეურნალობის სპეციფიკური მეთოდების შემუშავება და განხორციელება.

### 5.1.2. ზრდასრული მოსახლეობა

საქართველოს ისტორიული განვითარების თანამედროვე ეტაპი ხასიათდება, ერთის მხრივ, ისეთი პოზიტიური მოვლენებით, როგორიცაა თავისუფლების აღდგენა, დემოკრატიის მშენებლობა, ქართული ეროვნული მენტალიტების დაბრუნება, პიროვნების მიერ საქართვის უფლებების, თავისუფლების, რელიგიური მრნამსის მოპოვება. მეორეს მხრივ, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ესოდენ რადიკალური და სწრაფი ცვლილებები, მათი დაცებითი სტრატეგიული მნიშვნელობის მიერთავად, ადამიანების უმრავლესობაზე მოქმედებს, როგორც სტრესული ფაქტორი, რაც, ბუნებრივია, მათ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზეც აისახა. სწრაფად იცვლება ჩვეული გარემო და ფორმირდება ახალი ვითარება, რაც ეგზისტენციალურ პრობლემებს ბადებს. ემოციური სტაბილურობის დარღვევა იწვევს მომატებულ შფოთვას და უსაფრთხოების გრძნობის დაკარგვას.

სხვეულის სიჯანსალეზე ზრუნვას ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება. ეკონომიკური პრობლემების შედეგად მოსახლეობის გარკვეული ნაწილი არასრულფასოვნად იკვებება და მძიმე საყოფაცხოვრებო პირობები აქვს; ჩვენი მოსახლეობის ფიფი ნაწილი დასტრუქტურირდება და ავალმყოფობის სიმპტომებს ნაკლებად აქცევს ყურადღებას მანამ, სანამ ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები არ გაუჩინდება. ყოველივე ამან ხელი შეუწყო ჯანმრთელობისათვის არახელსაყრელი გარემოს ჩამოყალიბებას.

ჯანმრთელობისადმი დაუცევარი მიღვომა ართულებს ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. საზოგადოებაში უნდა განმტკიცდეს აზრი, რომ საყოფაცხოვნა ჯანმრთელობა მნიშვნელოვანნილად დამოკიდებულია ყოველდღიური ცხოვრების წესზე, რაც, ჩვეულებრივად, მრავლად შეიცავს არაჯანსაღი ცხოვრების ელემენტს: თამბაქოს მოხმარება, ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის მოხმარების ზრდა, ცუდი და არადაბალანსებული ჟება,

საქართველოს პროგრამის, ჯანმრთელობისა და სოციალური ფაციის სამინისტრო  
**საქართველოს ანტინარკოტიკული სტრატეგია**

---

დაბალი ფიზიკური აქტივობა, ფსიქომოციური სტრესები. დღეს არსებული მძიმე სოციალურ-უკონომიური მდგომარეობა კიდევ უფრო ამძაფრებს აღნიშნული მავნე ჩევევების შედეგს. ყოველივე ზემოთქმულის ერთობლიობა ქმნის ცხოვრების ყოველდღიურ წესს და მისი შეცვლა ხანგრძლივი და რთული პროცესია.

### 5.1.3. ნარკოტიკების მომხმარებლები

ნარკოტიკის მოხმარებასთან დაკავშირებული ქცევების ფართო სპექტრი შეიძლება პირობითად 2 ძირითად კატეგორიად დაიყოს: ნარკოტიკის არასამედიცინო მიზნით მოხმარება და ნარკოტიკზე დამოკიდებულება. ნარკოტიკის მავნედმოხმარებამ შესაძლოა სპეციფიკური ხასიათის პირადი და სოციალური პრობლემები შეუქმნას მომხმარებელს; ნარკოტიკზე დამოკიდებულების, ისევე როგორც სხვა ქრონიკული დავალების, განეყოფების ელემენტებია რემისია და რეციდივი.

ნარკოტიკების მოხმარებელთათვის სერვისის მიწოდების თვალსაზრისით, შეიძლება გამოვყოთ ნარკოტიკების მომხმარებელთა შემდეგი ძირითადი ქვეაგენტები:

**ა. ნარკოტიკების მომხმარებლები, რომელთაც არა აქვთ ჩამოყალიბებული დამოკიდებულება -** ეს ქვეაგენტი ძირითადად მოიცავს იმ ახალგაზრდებს, ვინც შედარებით ცოტა ხნის წინ დაიწყეს ნარკოტიკების მოხმარება. ბევრი ახალგაზრდა ნარკოტიკებს ეტანება გართობის მიზნით და არ თვლის, რომ რაიმე პრობლემა აქვს ამასთან დაკავშირებით. რადგან ასეთ ადამიანები უფრო სერიოზული რისკის - დამოკიდებულების დავალების წინაშე დგანან; სასურველია ადრეული ინტერვენციული ტონისძიებების განხორციელება თემისა და პირველადი ჯანდაცვის რგოლის დონეზე.

**ბ. ინექციური ნარკოტიკების მომხმარებელები** - ნარკოტიკების ინექციური გზით მოხმარება აივ-ინფექცია/მიცისის გავრცელების ძირითადი წყაროა. ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის გარდა, ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლების წრეში ცირკულირებს ისეთი დაავალებების გამომწვევი მიერობებიც, როგორიცაა B და C ჰეპატიტები და სქესობრივი გზით გატამდები სხვა ინფექციები. ინექციური ნარკოტიკების მოხმარება სწრაფად იწვევს დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. ასევე მაღალია ზედოზირებისა და სხვა გართულებების რისკი. ამ ქვეაგენტში შემავალ პირებს სამედიცინო-ფსიქოლოგიურ მხარდაჭერასთან ერთად ესაჭიროებათ აივ/შიცისთან დაკავშირებული კონსულტირება.

**გ. ნარკოტიკების მოხმარებლები, რომელთაც ჩამოყალიბდათ დამოკიდებულება (ნარკომანები)** - ამ ჯგუფს მიეკუთვნება ნარკოტიკების მომხმარებელთა ის კატეგორია, ვინც ნამალდამოკიდებულების კრიტერიუმებს აქმაყოფილებს და დახმარებისათვის სპეციალიზებულ ნარკოლოგიურ დაწესებულებებს მიმართავს. მათ ესაჭიროება

საქართველოს პროგრამის, აუდიტორული და სოციალური დაცვის სამინისტრო  
საქართველოს არტისტურისტიკული სტრატეგია

---

ნარკომანთა მყურნალობისა და რეაბილიტაციის, ზიანის შემცირების პროგრამები.

**დ. ნარკოტიკების მომხმარებლები მწვავე ინტოსიკაციით (ზედოზირება, ქცევითი აშლილობები, ინტოსიკაციური ფსიქოზები) - მწვავე პერიოდში ესაჭიროებათ ხანმოკლე ინტენსიური თერაპია და/ან ფსიქიატრიული დახმარება. შემდგომში, საჭიროების მიხედვით, ნარკოლოგიური დახმარება ან თანმხლები დაავალებების მყურნალობა.**

**ე. ნარკოტიკები დამოკიდებული პირები აღკვეთის მდგომარეობაში - აღკვეთის მდგომარეობა ვითარდება ნარკოტიკების მოხმარების უეცარი შეწყვეტის შემდეგ და საჭიროებს დეტოსიკაციურ მყურნალობას სპეციალიზებულ ნარკოლოგიურ დაწესებულებაში.**

**ვ. რემისიის მდგომარეობაში მყოფი ნარკომანით დაავალებული პირები - ამ ქვეჯგუფს შეაფგენერ ადამიანები, რომელთაც შეწყვიტეს ნარკოტიკების მოხმარება და გაიარეს დეტოსიკაციის კურსი. მათ ესაჭიროება სარეაბილიტაციო კურსი, ფსიქო-სოციალური დახმარებისა და მხარცაჭერის სხვა პროგრამები.**

ქვეჯგუფების აღწერილი კლასიფიკაციის გარდა, არსებობს პრიორიტეტული ჯგუფები, რომლებსაც განსაკუთრებული მეთვალყურეობა და მყურნალობა ესაჭიროება. ესენია:

- ბავშვები და ახალგაზრდები;
- ქალები;
- პირები, რომელთაც ნარკოტიკებთან დაკავშირებული პრობლემების გარდა სხვა ფსიქიატრიული პრობლემებიც გააჩნიათ (შერეული, ანუ ორმაგი დიაგნოზის მქონე პირები);
- აივ-ინტიცირებული ნარკომანები;
- საპატიმროებში მყოფი ნარკოტიკების მომხმარებლები.

საქართველოს პროგრამის, ჯანმრთელობისა და სოციალური ფაციის სამინისტრო  
საქართველოს ანტინარჩოტიკული სტრატეგია

---

## 5.2. სტრატეგიის განხორციელების აღგიშვილი

### 5.2.1. სასწავლო დაწესებულებები

ნარკოტიკების მოხმარება დიდი ხანია საყოველთაოა და, როგორც ნებისმიერი გლობალური პრობლემა, იგი არ შეიძლება დარჩეს საგანმანათლებლო სისტემის ყურადღების მიღმა. თუკი თანამედროვე სკოლის მიზანი ისეთი საგანმანათლებლო გარემოს შექმნაა, რომელიც ხელს უწყობს ბავშვის ყოველმხრივ განვითარებას, სკოლა ვერაფრით ვერ აუვლის გვერდს ნარკომანის პრევენციისა და ცხოვრების ჯანსაღი სტილის დაწესებულების სტრატეგიებს.

სკოლა მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ბავშვის ყოველდღიურ ცხოვრებასა და განვითარების პერსპექტივებზე. სკოლას მრავალი ფუნქცია აქვთ: ცოდნის გადაცემა, ჟალტურული და მორალური ლირებულებების ჩამოყალიბება, სოციალური ადაპტაციისა და პიროვნეული ზრდის ხელშეწყობა.

სკოლა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ახალგაზრდების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ხელშეწყობაში; სკოლაში შესაძლებელია გრძელვალიანი, უწყვეტი პრევენციული საქმიანობა; სკოლა საშუალებას აძლევს ბავშვებს, მოახდინონ თავიანთ ასაკობრივ ჯგუფში თვითდამკვიდრება და იდენტიფიკაცია. ერთი მხრივ, სკოლა არის აღგილი, სადაც თანატოლთა გარემოცვაში მოზარდი სხვადასხვა ქცევების მოსინჯვასა და ექსპერიმენტირებას იწყებს (მათ შორის, ნარკოტიკების გასინჯვა), და, მეორეს მხრივ, ჩვენ შეგვიძლია, გამოვიყენოთ სკოლა, როგორც საქმაოდ მძლავრი ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური რესურსი, რომელიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას.

### 5.2.2. ოჯახი

ოჯახი ბავშვის სოციალიზაციის პირველი ინსტიტუტია. ოჯახის ფუნქციური დანიშნულება მრავალგვარია: აღმზრდელობითი, ემოციური, სულიერი ურთიერთობის, პირველადი სოციალური კონტროლის ფუნქციები და სხვა. პირველ რიგში, ოჯახი უნდა უზრუნველყოფდეს ემოციურ ფუნქციას, რომელიც ოჯახის წევრებს აღიარების, პატივისცემის, ემოციური მხარდაჭერისა და ფსიქოლოგიური დაცულობის მოთხოვნილებებს უკავიყოფილებს.

ოჯახის ფსიქოლოგიური დეფორმაცია, ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობებისა და ლირებულებათა სისტემის რღვევა ძლიერ ზეგავლენას ახდენს ბავშვის პიროვნების განვითარებაზე და იწვევს პიროვნების დეფორმაციას, რაც სხვადასხვაგვარად გამოვლინდება - სოციალური ინფანტილიზმით დაწყებული და ასოციალური ქცევით დამთავრებული.

საქართველოს პროგრამის, აუდიტორული და სოციალური დაცვის სამინისტრო  
საქართველოს ანტინარკოტიკული სტრატეგია

---

ოჯახშა შეიძლება თავისტაუნებურიალ გამოიწვიოს ნარკოტიკების მოხმარების პროვოცირება ან ნარკოტიკიზე ფსიქიური დამოკიდებულების ფიქსაცია, ანთა რემისის დროს ნარკოტიკების მოხმარების განახლება; მეორეს მხრივ, ოჯახი შეიძლება გახდეს ნარკოტიკის მომხმარებლის მიერ მყურნალობისა და რეაბილიტაციის კურსის გავლის მასტიმულირებელი ფაქტორი.

მნიშვნელოვანია ოჯახში ისეთი რესურსების ფორმირება, რომლებიც, ერთის მხრივ, დაეხმარება ახალგაზრდებს ცხოვრებისეულ სტრუქტურას გამოლავებაში და დაიცავს მათ უარყოფითი ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სოციალური შეფერების მქონე ქცევებისაგან; მეორეს მხრივ, იმ შემთხვევაში, თუკი ოჯახის რომელიმე წევრი ნარკოტიკის მოხმარებას დაიწყებს, ოჯახის სხვა წევრებმა უნდა შეძლონ, დაეხმარონ მას ნარკოტიკების მოხმარების შეწყვეტაში.

#### 5.2.3. სამსახურები (სამუშაო ადგილი)

სამუშაო ადგილზე ნარკოტიკების მოხმარების პრევენცია მიზნად ისახავს ისეთი პრობლემების თავიდან აცილებას, როგორიცაა პროცესტიულობის დაქვეითება, სამსახურის გაცდენა, კორუფცია, უბედური შემთხვევა, უარყოფითი სამეციცინო და სოციალური შეფერები და სხვ.

სასურველია, ყველა დაწესებულებას/ორგანიზაციას ჰქონდეს მქაფიოდ ფორმულირებული პოლიტიკა ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებით, რომელიც ცნობილი იქნება ყველა თანამშრომლისათვის. ასეთი პროგრამები ხარჯთ-ეფექტურია და სასარგებლოა როგორც დამქირავებლისათვის, ასევე დაქირავებულისათვის და ხელს უწყობს უსაფრთხო და პროცესტიული სამუშაო გარემოს შექმნას.

#### 5.2.4. შეიარაღებული ძალები

საქართველოს თავდაცვის პოლიტიკის ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობის ამაღლება და ეფექტური შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბება.

ძირითადად, ნარკოტიკების მომხმარებელთა უმრავლესობა მამაკაცებია, თანაც ახალგაზრდა ასაკის. მათი ღილი ნაწილი სამხედრო ვალდებულია და უნდა მსახურობდეს შეიარაღებულ ძალებში. ამ თვალსაზრისით, ნარკომანის გავრცელება ემუქრება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისა და უსაფრთხოების განმტკიცებას.

საქართველოს პროგრამის, ჯანმრთელობისა და სოციალური ფაციის სამინისტრო  
**საქართველოს ანტინარჩოტიკული სტრატეგია**

---

### 5.2.5. პენიტენციური სისტემა

ბევრ ადამიანს, რომელიც თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ხვდება, ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული პრობლემები აქვთ. სამედიცინო ჩარევის საჭიროება შეიძლება სხვადასხვა ეტაპზე აღმოცენდეს: დაკავების დროს, განაჩენის გამოტანის პერიოდში, განაჩენის დაფინანსირების შემდეგ ციხეში ან სასამართლოს მიერ სავალდებულო მყურნალობის მისახის შემთხვევაში.

პენიტენციურ სისტემაში ნარკომანის მყურნალობისა და ზიანის შემცირების პროგრამებმა შეიძლება შეამციროს არა მარტო წამალდამოქიდებულებასთან დაკავშირებული პრობლემები (მათ შორის, ინფექციური დაავადებების გავრცელება), არამედ ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულიც.

### 5.2.6. თემი

თემს შესწევს უნარი, გაუმჯობავდეს ნარკომანის პრობლემას ლოკალური რესურსების მობილიზაციით: სკოლა, ოჯახები, სამეზობლო, ახალგაზრდული და სპორტული ორგანიზაციები, მოხალისეები, ეკლესია, სათემო ორგანიზაციები. იმის გათვალისწინებით, რომ ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული პრობლემები სხვადასხვა აღგილზე სხვადასხვა სიმწვავით აღმოცენდება, თემმა თავად უნდა აირჩიოს საპასუხო ლონისძიებების სპექტრი. ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მხარდაჭერით შესაძლებელია მაქსიმალურად ეფექტური სტრატეგიების განხორციელება.

### 5.2.7. ეკლესია

რელიგია მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობს საზოგადოების ისტორიულ, კულტურულ და ზნეობრივ განვითარებაში. კურძოდ, საქართველოს ტრადიციულ მართლმადიდებლურ სარწმუნოებას, ეკლესიას დიდი წვლილის შეტანა შეუძლია ნარკომანიასთან ბრძოლის საქმეში - სულიერი და ფიზიკური სიჯანსალის აუცილებლობის წინ წამოწვევის, მისი ხელშეწყობის თვალსაზრისით. დიდია ეკლესიის მნიშვნელობა პრევენციული კუთხითაც: ეკლესიური ცნობიერების ადამიანს, მას, ვინც იზიარებს მის ზნეობრივ დაშვებებს, ნორმებს, იცავს ეკლესიურ წესებს, ნარკომანად გახდომის საფრთხე ნაკლებად ემუქრება. ამასთან, მეტად მნიშვნელოვანია მართლმადიდებლური სარწმუნოების როლი ნარკომანთა მყურნალობისა და რეაბილიტაციის პროცესში ნარკოლოგიურ სამსახურებთან თანამშრომლობისა და ყოფილი ნარკომანების სოციალური რეინტეგრაციის ხელშეწყობის გზით.

საქართველოს პროგრამის, აუდიტორულისა და სოციალური დაცვის სამინისტრო  
საქართველოს ანტინაკაოტიკული სტრატეგია

---

---

### 5.2.8. რეკორდის გარემო (გასართობი დაწესებულებები)

ახალგაზრდების გარევეული ნაწილი თავისუფალ დოკოს გასართობ დაწესებულებებში ატარებს, ამიტომ, ნარკოტიკების მოხმარების თვალსაზრისით, ძალიან მნიშვნელოვანია, თუ როგორი გარემოა მათვის შექმნილი ამ დაწესებულებებში.

ცლეს საქმაოდ გავრცელებულია ე.წ. ტექნო-კულტურა, რომელიც განეყოფელია ციზაინ-ნარკოტიკებისაგან. აქ ახალგაზრდები ცეკვავენ მთელი ღამის განმავლობაში. ამ საცეკვაო მარათონს ახალგაზრდების ნაწილი უძლებს უალყოჲოლო სასმელებისა და წყლის დახმარებით, ნაწილი კი ენერგიის მოსამატებლად იღებს სინთეზურ ნარკოტიკებს, ხშირად, ნარკოტიკების კომბინაციას (ექსტაზი, ამფეტამინები, LSD).

ღამის ულებებისა და სხვა გასართობი დაწესებულებების ხელმძღვანელობა ვალიდებულია, უზრუნველყოს ახალგაზრდობისათვის უსაფრთხო, ნარკოტიკებისაგან თავისუფალი გარემოს შექმნა.

საქართველოს პროგრამის, ჯანმრთელობისა და სოციალური ფაციის სამინისტრო  
საქართველოს ანტინარჩოტიკული სტრატეგია

---

## 6. სტრატეგიის ინსტრუმენტები

### 6.1. სტრატეგიის პრიორიტეტები მიმართულებები

#### 6.1.1. ნარკოტიკებზე მოთხოვნილების შემცირება

ნარკოტიკებზე მოთხოვნილების შემცირება წარმოადგენს ნარკომანიის პრობლემის დაძლევის მთავარ ინსტრუმენტს და ყველაზე პერსპექტიულ მიმართულებას. ამასთანავე, ნარკოტიკებზე მოთხოვნილების შემცირების პოლიტიკა არ შეიძლება იზოლირებული იყოს ქვეყნის პოლიტიკისაგან ეკონომიკის, განათლების, ჯანდაცვის, კულტურის, სპორტისა და სხვა სფეროებში, რომელთა ერთობლივი რეალიზება მიმართულია საზოგადოების განვითარებაზე.

ტერმინი "მოთხოვნილების შემცირება" - გამოიყენება პოლიტიკასა და პროგრამებში, რომელიც მიზნად ისახავს გაეროს კონვენციებით აკრძალული ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების მომხმარებაზე მოთხოვნის შეზღუდვას.

ამ სფეროში ევროკავშირის სტრატეგია მიზნად ისახავს ნარკოტიკების მოხმარების, ნამალდამოკიდებულებისა და ნარკოტიკების მოხმარებით გამოწვეული ჯანმრთელობისა და სოციალური რისკების შემცირებას მოთხოვნილების შემცირების ეფექტური და სრულყოფილი სისტემის შექმნის გზით, რომელიც მოიცავს პრევენციულ, ადრეული ინტერვენციის, მურნალობის, ზიანის შემცირების, რეაბილიტაციისა და სოციალური რეინტეგრაციის ღონისძიებებს.<sup>15</sup>

ასეთი სისტემა გულისხმობს შემდეგ ლონისძიებებს:

- ნარკოტიკების მოხმარების დაწყების პრევენცია;
- ნარკოტიკების ექსპერიმენტული მოხმარების რეგულარიზაცია;
- პრობლემის ადრეული ამოცნობა და ჩარევა (ადრეული ინტერვენცია);
- სამეცნიერო პროგრამების შეთავაზება;
- რეაბილიტაციისა და სოციალური რეინტეგრაციის პროგრამების შეთავაზება;
- ნარკოტიკებით გამოწვეული ჯანმრთელობისა და სოციალური ზიანის შემცირება.

<sup>15</sup> EU Drugs Strategy (2005-2012), COUNCIL OF THE EUROPEAN UNION, Brussels, November, 2004

საქართველოს პროგრამის, აუდიტორულისა და სოციალური დაცვის სამინისტრო  
**საქართველოს ანტირანგობის სტრატეგია**

---

ყველა ეს ლონისძიება ერთმანეთს ავსებს და მოიცავს პრევენციის სხვადასხვა ფონებს. ზოგადად, მიზნების იქნარქია ნარკოტიკებზე მოთხოვნის შეზღუდვის სფეროში ასე გამოიყენება:

**1. მოხმარების შემცირება:**

- **პირველადი პრევენცია** - ახალი მომხმარებლების რაოდენობის შემცირება (ნარკოტიკების მოხმარების დაწყების პრევენცია)
- **მეორადი პრევენცია** - ნარკოტიკების არსებულ მომხმარებელთა რაოდენობის შემცირება (ნარკოტიკების მოხმარების გაგრძელების პრევენცია);

**2. ზიანის შემცირება:**

- **მესამეული პრევენცია** - ნარკოტიკების მომხმარებლებისათვის, არამომხმარებლებისა და საზოგადოებისათვის ნარკოტიკებით გამოწვეული ჯანმრთელობის/სამართლებრივი/სოციალური ზიანის დონის შემცირება (ნარკოტიკების მოხმარებით გამოწვეული ზიანის შემცირება).

ამგვარად, ნარკოტიკებზე მოთხოვნილების შემცირების სფეროში საქართველოს ანტინარკოტიკული სტრატეგია გამოჰყოფს შემდეგ პრიორიტეტულ მიმართულებებს:

1. ნარკოტიკების მოხმარების პირველადი პრევენცია;
2. ნამალდამოკიდებულ პირთა მკურნალობა და რეაბილიტაცია;
3. ნარკოტიკების მოხმარებით გამოწვეული ზიანის შემცირება

საქართველოს ანტირანგობის სტრატეგია

პრიორიტეტი 1

6.1.1.1. ნარკოტიკების მოხმარების  
პირველადი პრევენცია

ნარკომანის პირველადი პრევენცია - ეს არის სოციალური, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ფსიქოლოგიური ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც ხელს უწყობს ავალმყოფური დამოკიდებულების გამომწვევი ფსიქოაქტიური საშუალებების მოხმარების დაწყების თავიდან აცილებას.

ნარკომანის პირველადი პრევენცია საქართველოს ანტირანგობის სტრატეგიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს.

ნარკომანის თავიდან აცილების თანამედროვე აღრეული, ანუ პირველადი პროფილაქტიკა დაფუძნებულია იმაზე, რომ მის ცენტრში მოთავსებულია მოზარდი და მისი ცხოვრების სამი ძირითადი სფერო - ოჯახი, საგანმანათლებლო დაწესებულება და თავისუფალი დრო.

ნარკომანის პროფილაქტიკური სტრატეგიების გატარებისას მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ პროფილაქტიკა არა მარტო აქციებისა და ღონისძიებების სისტემა, არამედ, პირველ რიგში, ეს არის მეცნიერულად დასაბუთებული მიღვიძელვა.

პრევენციული განათლების არსი მდგომარეობს შემდეგში: ადამიანმა უნდა გააცნობიეროს ის ჭეშმარიტება, რომ თვითონ არის პასუხისმგებელი საკუთარ ჯანმრთელობაზე და რომელიმე ფსიქოაქტიური ნივთიერების გასინჯვამდე უნდა ჰქონდეს ობიექტური წარმოლგენა იმის შესახებ, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამ ნივთიერების მოხმარებას. მიღებული ცოდნა უნდა იქცეს ქცევის რეალურ მოტივალ. ამისათვის, ობიექტური ინფორმაციის გარდა, ადამიანს უნდა გააჩნდეს ის უნარ-ჩვევები, რომლებიც ხელს უწყობს კონკრეტულ სიტუაციაში სწორი გადაწყვეტილების მიღებას და მის განხორციელებას.

გადამდები ინფექციური დაავალებების მსგავსად, რომელთა პრევენცია პროფილაქტიკური აცრების მეშვეობით ხდება, გადამდები არაინფექციური, ანუ სოციალური დაავალებების თავიდან ასაცილებლად, თითოეულ ბავშვს ესაჭიროება სპეციალური სწავლება - ფსიქოლოგიური "იმუნიზაცია".

ფსიქოლოგიური "იმუნიზაცია", ანუ ნებისმიერი ქცევითი გადახრის, და მათ შორის, ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების პროფილაქტიკა ხელს უწყობს ჯანსაღი პიროვნების ფორმირებას და საშუალებას იძლევა,

საქართველოს პროგრამის, აუდიტორული და სოციალური დაცვის სამინისტრო  
საქართველოს ანტინარკოტიკული სტრატეგია

წინასწარ მოხდეს ბავშვებში ისეთი ორიენტაციისა და განწყობის ჩამოყალიბება, როცა ფსიქოაქტიური ნივთიერება არ წარმოადგენს ფასულობას და ყოველგვარი დამოკიდებულება აღიქმება, როგორც თავისუფლების დაკარგვა.

ეფექტური ფსიქოლოგიური "იმუნიზაცია" შემდეგი ნიშან-თვისებებით ხასიათდება:

1. უნივერსალურობა მდგომარეობს იმაში, რომ გარკვეულმა რისკ-ფაქტორებმა შეიძლება გამოიწვიოს ქცევითი გადახრის ნებისმიერი ფორმა, მათ შორის, ნარკოტიკების მოხმარებაც. აქედან გამომდინარე, მხოლოდ ნარკოტიკებზე მიმართულ პროფილაქტიკას შეიძლება შედეგად მოჰყვეს ის, რომ "დაბულობამ" სხვა გამოსასვლელი "არხი" იპოვოს. დევიაციური ქცევა მიიღებს არა ნარკომანიის, არამედ სხვა ფორმას (აგრესიული, სუიციდური, იმპულსური ქცევები და ა.შ.). პრევენცია ფართო გაგებით, ანუ ფსიქოლოგიური იმუნიზაცია ყველა ფორმის ქცევითი გადახრის პროფილაქტიკას გულისხმობს.
2. კონსტრუქციული ხასიათი - ფსიქოლოგიური იმუნიზაცია მიზნად არ ისახავს არასწორი განწყობების შეცვლას, იგი თავიდანვე სასურველ განწყობებს აყალიბებს, ანუ, კონსტრუქციული პირველადი პრევენცია კი არ ებრძვის დევიაციური ქცევას, არამედ ხელს უწყობს მის თავიდან აცილებას და ჯანსაღი პიროვნების ჩამოყალიბებას. მის სამიზნებს წარმოადგენს: მორალურ-ეთიკური პრინციპებისა და ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბება, კომუნიკაციური უნარების გამომუშავება და სხვ.
3. ზემოქმედების წინმსწრები ხასიათი - მყარი, სასურველი განწყობების ჩამოყალიბება შესაძლებელია იმ მომენტამდე, სანამ მოზარდი აითვისებს საზოგადოებისათვის მიუღებელ ნორმებსა და განწყობებს.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ნარკომანიის პროფილაქტიკისადმი კონცეფციური, სისტემური მიღვიმების გამომუშავება მნიშვნელოვანი ამოცანაა. როგორც წესი, პროფილაქტიკური საქმიანობა კომპლექსურ მიღვიმებს ეფუძნება. კომპლექსური პრევენციული საქმიანობის განხორციელებისათვის საგანმანათლებლო სისტემა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რგოლია.

ყველაზე კარგი და ყეთილსამედო სასურველ გარემოც კი ვერ მოწყდება სოციალურ სინამდვილეს, რომელშიც ახალგაზრდების მიერ ნარკოტიკების მოხმარება ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. არაერთი გამოკვლევა ადასტურებს, რომ, ერთი მხრივ, მოზარდებმა ნარკოტიკების შესახებ ბევრად მეტი იციან, ვიდრე მათმა მშობლებმა და ჰელაგოგებმა, მეორეს მხრივ, მათი ცოდნის ძირითად წყაროს ქუჩა წარმოადგენს. ქუჩა, ძირითადად, რომანტიკულ საბურველში ხვევს ნარკოტიკების და არაფერს ამბობს მის საშიშროებაზე.

## საქართველოს ანტირანგობის სტრატეგია

სკოლებში გრძელვადიანი, უწყვეტი პრევენციული მუშაობა საშუალებას  
მოგვცემს:

- გავლენიდოთ მოზარდებს სურვილი, იყვნენ ჯანმრთელნი;
- დავეხმაროთ საჯუთარი თავის უკეთ შეცნობაში, ცხოვრების ჯანსაღი სტილის დამკვიდრებაში;
- ვასწავლოთ, როგორ იგრძნონ თავი კომუნიკაციაზე საზოგადოებაში;
- განვუმტკიცოთ საჯუთარი ლინსების გრძნობა;
- ვასწავლოთ მოზარდებს, იცხოვრონ ისე, რომ მათ ყოფაში ნარკოტიკისათვის აღვილი არ დარჩეს.

კომპლექსური პრევენციული პროგრამა წარმოადგენს სპეციფიკური და  
არასპეციფიკური მეთოდების ერთობლიობას:

1. **სპეციფიკური მეთოდები:** ფსიქოაქტიური ნივთიერებების ადამიანის ორგანიზმზე ზემოქმედებისა და ნარკომანიის შეღებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, ნარკოტიკის მოხმარების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების ფორმირება.
2. **არასპეციფიკური მეთოდები:** ბავშვების ფსიქოლოგიური მხარდაჭერა, ადეკვატური თვითშეფასების, გადაწყვეტილების მიღების, უარის თქმის, კონფლიქტების მოგვარების უნარების ფორმირება, საჯუთარ ქცევებზე პასუხიმგებლობის აღების უნარის გამომუშავება, ბავშვის სოციუმთან ადაპტაციის გაადვილებისა და სოციალური კომპეტენციის ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

დაბოლოს, ნარკომანიის პრევენციის საუკეთესო პროგრამა მარტივია: ბავშვებზე ზრუნვა, მათი მხარდაჭერა და სწავლება. ეს პრევენციული პროგრამა იწყება ოჯახში და გრძელდება სკოლაში და სხვა სოციუმში. ეფექტური პრევენციული სტრატეგია დაფუძნებულია ნარკოტიკების მოხმარების ხელშემწყობი ფაქტორების შემცირებაზე და დამცავი ფაქტორების განმტკიცებაზე და ითვალისწინებს ბავშვის განვითარების სხვადასხვა სტატიაზე არსებულ თავისებურებებსა და საჭიროებებს.

### ძირითადი ლონისძიებები:

1. **ზოგადსაგანმანათლებლო**      **სკოლებში**      **ფსიქოაქტიური**  
**ნივთიერებების მოხმარების პირველადი პრევენციის კონცეფციის შექმნა**

ფლეს ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს სკოლებში ნარკომანიის პირველადი პრევენციის ერთიანი კონცეფცია, თითოეული დაინტერესებული ორგანიზაცია თუ უწყება საჯუთარი შეხედულებისამებრ ახორციელებს პრევენციულ ლონისძიებებს.

საქართველოს პროგრამის, აუდიტორული და სოციალური დაცვის სამინისტრო  
საქართველოს ანტირანგობისა და სტრუქტურის

საგანმანათლებლო სისტემაში ფსიქოაქტური ნივთიერებების მოხმარების პრევენციის კონცეფცია წარმოადგენს სკოლებში ჯანსაღი ატმოსფეროს შექმნის ეფექტურ ინსტრუმენტს და 3 ძირითად მიზანს ისახავს:

- ნარკოტიკებისადმი უარყოფითი დამოკიდებულების გამომუშავება;
- ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების შექმნა და/ან გავარჯიშება;
- ნლობისა და კეთილგანწყობის ატმოსფეროს შექმნა.

**კონცეფციის ამოცანებია:** პროფილაქტიკის ორგანიზაციული სტრუქტურების შექმნა, კაფრების მომზადება, პროფილაქტიკური საქმიანობის ყველა დონისათვის პროგრამების შემუშავება, ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის მომზადება, მონიტორინგის განხორციელება, და პროფილაქტიკური ლონისძიებების ეფექტურობის შეფასება.

განათლების სამინისტროს მიერ უნდა მოხდეს შემუშავებული კონცეფციის დამტკიცება, როგორც ძირითადი სამუშაო დოკუმენტისა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ნამალდამოკიდებულების პრევენციის ეროვნული პროგრამის შესაქმნელად.

## 2. ქვეყნის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ნარკოტიკებთან დაკავშირებული პოლიტიკის შექმნის უზრუნველყოფა

ნარკოტიკებთან დაკავშირებული სკოლის პოლიტიკის მიზანია სასკოლო გარემოში ისეთი სოციო-კულტურული ატმოსფეროს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ნარკოტიკების მოხმარებისადმი აქტორად ნეგატიური პოზიციის ჩამოყალიბებას. პრაქტიკულად, ნარკომანის პრევენციული ლონისძიებები ემყარება სკოლის პოზიციას ნარკოტიკებთან მიმართებაში, ყოველივე ეს კი ასახვას ჰქოვებს სკოლის პოლიტიკაში.

სკოლის პოლიტიკა ნარკოტიკებთან დაკავშირებით - ეს არის დოკუმენტი (სკოლის კოდექსი), რომელიც მქათიოლ არის ფორმულირებული სკოლის პოზიცია ნარკოტიკებთან მიმართებაში, განმარტებულია წესები, ძირითადი პრინციპები, რეგულაციები, პოლიტიკის რეალიზაციის საშუალებები.

ნარკოტიკებთან დაკავშირებული პოლიტიკის შექმნა სასკოლო ატმოსფეროს გაუმჯობესებისა და სკოლაში გრძელვადიანი, კომპლექსური პრევენციული ლონისძიებების გატარების სამუალებას იძლევა, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს ბავშვებსა და მოზარდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის თანამიმდევრულ დამკვიდრებას.

## საქართველოს ანტინარკოტიკული სტრატეგია

თითოეული სკოლის მიერ შემუშავებული პოლიტიკის დოკუმენტი  
მოიცავს შემდეგ ძირითად საყითხებს:

1. პოლიტიკის მიზნები და ამოცანები
2. პოლიტიკის მასშტაბი (მხოლოდ სკოლის ფარგლებში,  
სკოლის გარეთ, სკოლაში ვიზიტები, გასვლითი  
ღონისძიებები და ა.შ.)
3. ღირებულებები და ნორმები, რომელთაც ეყრდნობა სკოლის  
პოლიტიკა
4. ნარკოტიკებთან დაკავშირებული ინციდენტების მართვის  
პროცედურები
5. ნარკომანიის პრევენციის პროგრამის/კურიკულუმის  
შინაარსი
6. პოლიტიკის მონიტორინგი და შეფასება

თითოეულ სკოლაში ამ პოლიტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელი  
უნდა იყოს სკოლის კონტრინაციონი ნარკოტიკებთან დაკავშირებულ  
საყითხებში.

### 3. ერთიანი, მრავალსაფეხურიანი ანტინარკოტიკული აღზრდის სისტემის შექმნა

სკოლების შემდეგ პრევენციული განათლების დაწერვა მოხდება  
საქართველოს სკოლამდელ დაწესებულებებსა და უმაღლეს  
სასწავლებლებში. თითოეულ საგანმანათლებლო დონეზე უნდა შეიქმნას  
ისეთი პრევენციული სტრატეგიები, რომლებიც ითვალისწინებს ბავშვის  
განვითარების სხვადასხვა სკალიაზე არსებულ თავისებურებებსა და  
საჭიროებებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი  
საგანმანათლებლო ატმოსფეროს შექმნა, რომელიც ახალგაზრდა  
თაობას ოპტიმალურ პირობებს შეუქმნის განვითარებისა და  
თვითრეალიზაციისათვის.

ქვეყნის საგანმანათლებლო სიტყმაში პირველადი პრევენციის სტრატეგიის  
განხორციელების უზრუნველყოფისათვის საჭიროა:

- ასაკობრივი თავისებურებების შესაბამისი პრევენციული  
პროგრამების შექმნა და განხორციელება;
- პრევენციული პროგრამების ეფექტურობის შეფასების  
კრიტერიუმების შემუშავება.

### 4. თემზე ორიენტირებული პრევენციული პროგრამების შექმნა და იმპლემენტაცია ადგილობრივი მმართველობის ორგანოების, საგანმანათლებლო ინსტიტუტების (საბავშვო ბალები, სკოლები, უნივერსიტეტები), არასამთავრობო ორგანიზაციების აქტივობის

საქართველოს პროგრამის, აუდიტორული და სოციალური დაცვის სამინისტრო  
**საქართველოს ანტირანგიული სტრატეგია**

---

მონაწილეობით. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ადგილობრივი და რეგიონული სოციალური პოლიტიკის სტრატეგიაში ნარიომანიის პრობლემის მოგვარებაზე ზრუნვის ჩართვა ნარიოტიკიულთან დაკავშირებული სიტუაციის სისტემატიკირი ანალიზისა და პრევენციული საქმიანობების დაგეგმვის/განხორციელების სახით. უნდა მოხდეს ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენელთა სწავლება ამ მიმართულებით; სასურველია, შეიქმნას და გავრცელდეს საგანმანათლებლო მასალები თემის წარმომადგენლებისათვის.

## 5. ნარიოტიკიული მოხმარების პრევენცია სამუშაო ადგილებზე

სამუშაო ადგილებზე ნარიომანიის პრევენციის სრულყოფილი პროგრამა მოიცავს მკაფიოდ პოლიტიკას ნარიოტიკიულთან დაკავშირებით, თანამშრომელთა განათლებას, პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის სწავლებას, ნარიოტიკიულზე ტესტირებას. ამასთან დაკავშირებით, სასურველია, მოხდეს ნარიოტიკიულის მოხმარებაზე ტესტირების ჩატარების მარეგულირებელი ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის სრულყოფა.

**მიზანი: ნარიოტიკიულისაგან თავისუფალი სამუშაო ატმოსფეროს შექმნა**

ასეთი პროგრამების განხორციელების გზაზე პირველ ნაბიჯს წარმოადგენს სამუშაო ადგილებზე ნარიოტიკიულთან დაკავშირებული პოლიტიკის შექმნა. ორგანიზაციის/დაწესებულებების პოლიტიკა ნარიოტიკიულთან დაკავშირებით წარმოადგენს დოკუმენტს, რომელშიც მოცემულია ამ ორგანიზაციის ხელვა ნარიოტიკიულის მოხმარებასთან დაკავშირებით, გაფორმებულია, რა გზებით ახდენს ორგანიზაცია ნარიოტიკიულის მოხმარების პრევენციას, განმარტებულია ხელმძღვანელობისა და თანამშრომელთა პასუხისმგებლობები, აღწერილია პროცედურები პოლიტიკით განსაზღვრული ნორმების დარღვევის შემთხვევაში.

## საქართველოს ანტირენალოგიური სტრატეგია


### პრიორიტეტი 2

#### 6.1.1.2. წამალდამოქიდებულ პირთა მჯურნალობა და რეაბილიტაცია

ნარკოლოგიური სამსახური წარმოადგენს ნარკოლოგიური ფარგებულებებისა და ჯანმრთელობის სისტემის სხვა რეკოლების ერთობლიობათა სისტემას, რომლის საქმიანობა მიმართულია ქიმიური ფამოქიდებულების პროფილაქტიკაზე, ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მომხმარებელთა და წამალდამოქიდებულთა დღიაგნოსტიკაზე, გამოვლენაზე, აღეკვატური საკონსულტაციო, სამურნალო და სარეაბილიტაციო მომსახურების უზრუნველყოფაზე.

ტრადიციულად, ნარკოლოგიური დახმარება კონცენტრირებული იყო ნარკოლოგიური პათოლოგიის ყველაზე მძიმე ფორმებზე. დღეს დასავლეთის ქვეყნებში სულ უფრო მზარდი მნიშვნელობა ენიჭება პროგრამებს, რომლებიც ორიენტირებულია მოსახლეობის უფრო ფართო ფენებზე - მათზე, ვინც ამ თვალსაზრისით მაღალი რისკის ზონაში ან დაავალების აღრეულ სტატიაზე იმყოფება. ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებით გამოწვეული პრობლემების ფართო სპექტრი შეიძლება წარმოვიდგინოთ კონტინუუმის სახით, რომლის ერთ ბოლოში მოთავსებულია ამ ნივთიერებების "უპრობლემო" მოხმარება, ხოლო მეორეში - მოხმარებასთან დაკავშირებული მძიმე პრობლემები. ნებისმიერი ადამიანი, ვინც არასამეტივინო მიზნით მოიხმარს ფსიქოაქტიურ ნივთიერებებს, მეტ-ნაკლებად დგას ასეთი პრობლემების აღმოცენების რისკის წინაშე.

დღიაგნოსტიკაზე მოცემულია ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებასთან დაკავშირებული პრობლემები და შესაბამისი ჩარევის სტრატეგიები.



საქართველოს პროგრამის, აუდიტორული და სოციალური დაცვის სამინისტრო  
საქართველოს ანტირანგობისა და სტრუქტურის

წამალდამოქიდებულთა მეცნიერება მიმართულია ჰავინგტონის ფსიქიკური, სომატური და სოციალური სტატუსის აღლენასა და სტაბილიზაციაზე, რეციდივის პროფილაქტიკაზე. სამეცნიერო-სარეაბილიტაციო მუშაობის საბოლოო მიზანს წარმოადგენს ჰავინგტონის მიერ წარკითხულის მოხმარებაზე უარის თქმა, მისი საზოგადოებაში რეინტეგრაცია.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, გაფართოვდა თერაპიული შესაძლებლებების სპექტრი და დღეს თერაპიული ზემოქმედების სამიზნეს წარმოადგენს არა მარტო წამალდამოქიდებულების უშეალო გამოვლინებანი, არამედ ჰავინგტონის პიროვნება და მისი მიყროსოციალური გარემოცვა.

**მიზანი:** სამეცნიერო და სარეაბილიტაციო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდა სხვადასხვა სპეციალიზირებული ცენტრებისა და პროგრამების შექმნის გზით.

ხელმისაწვდომობაში იგულისხმება წარკითხული მომსახურების საკმარისი მოცულობა (სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებების რაოდენობა, მომსახურების ფართო ასორტიმენტი და ხელმისაწვდომი ფასები).

**ამოცანა:** ე.წ. "დახმარების კონტინუუმის" შექმნა, რომელიც ითვალისწინებს წარკითხულების მომხმარებლებთან კონტაქტის დამყარებას, მათ კონსულტირებას, ადრეულ ინტერვენციას, ამბულატორიულ და სტაციონარულ მეცნიერებას, წამალდამოქიდებულთა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროცენტაშის თანარჩევას.

**ძირითადი ლონისძიებები:**

1. წარკითხულების მომხმარებელთა სკონინგი, შეფასება და დიაგნოსტიკა პირველადი ჯანდაცვის სისტემის ექიმების მიერ.

ექიმის მიერ ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებით გამოწვეული პრობლემების ადრეული ამოცნობა და ჩარევა მნიშვნელოვნად

საქართველოს პროგნოსტიკური და სოციალური ფაციის სამინისტრო  
საქართველოს ანტინარკოტიკული სტრატეგია

---

აუმჯობესებს დაავალების პროგნოზს. რიგი გამოკვლევებით დაფასტურებულია, რომ ზოგჯერ, ნარკოტიკების მოხმარების საწყის ეტაპზე, ექიმის კვალიფიციური რჩევაც კი იწვევს ქცევის შეცვლას. რაც უფრო აღრე გამოვლინდება ნარკოტიკის მოხმარების პრობლემა და რაც უფრო აღრე დაიწყება მკურნალობა, მით მეტია დადგებითი დინამიკისა და კეთილსამელო პროგნოზის ალბათობა. ამ თვალსაზრისით, ძალიან მნიშვნელოვანია პირველადი ჯანდაცვის სფეროს მუშაქების ტრენინგი და მათი აქტიურად ჩართვა ნარკოტიკების პრობლემური მოხმარების პრევენციაში.

## 2. გადაუდებელი ნარკოლოგიური დახმარების უზრუნველყოფა

სახელმწიფო უზრუნველყოფს შემდეგი სახის გადაუდებელ სამეცნიერო მომსახურეობას:

1. ფსიქოაქტიური ნივთიერებებით მწვავე მოწამვლის სიმპტომების კუპირება;
2. ფსიქოაქტიური ნივთიერებების მავნედმოხმარების ან მათი აღკვეთის შედეგად განვითარებული მწვავე ფსიქოზური და ქცევითი აშლილობების კუპირება;
3. სოციალურად სახითათო ნარკოლოგიური მდგომარეობების მკურნალობა (ფსიქოზები, მძიმე დეპრესიები, აუტო და ჰეტეროაგრესიის ეპიზოდები).

## 3. სპეციალიზებული ნარკოლოგიური კლინიკების ქსელის განვითარების ხელშეწყობა

აუცილებელია ნარკოლოგიური კლინიკების ქსელის გაფართოება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი რეზიდენტული სამურნალო მოდელების გამოყენებით, რომლებიც აერთიანებს ნარკოტიკების მომხმარებელთა და მათი ოჯახის წევრების კონსულტირების, ნამალდამოკიდებულთა დეტაქსიკაციის, თანმხლები დაავადებებისა და სომატური გართულებების მკურნალობის, ფსიქოთერაპიის, რეციდივის პროფილაქტიკის ღონისძიებებს.

## 4. საქართველოს რეგიონებში ნარკომანის გავრცელებაზე რეაგირების გაძლიერება სამხარეო ნარკოლოგიური სამსახურების ქმედითუნარიანობის გაზრდის გზით

თანამედროვე მიღვიმა მოითხოვს ანტინარკოტიკული მუშაობის ქმედითი სტრატეგიის შემუშავებას და რეგიონული ნარკოლოგიური სამსახურების გადასვლას დახმარების სამეცნიერო-სოციალურ მოდელზე, რაც გულისხმობს კვლევითი, საინფორმაციო და პრევენციული საქმიანობის განხორციელებას, ნამალდამოკიდებულთათვის რეაგირენდაციების, კონსულტირების, სამეცნიერო-სოციალური დახმარებისა და მხარდაჭერის უზრუნველყოფას.

საქართველოს პროგრამის, აუდიტორული და სოციალური დაცვის სამინისტრო  
საქართველოს ანტინარკოტიკული სტრატეგია

---

ასეთი მიღვომით, რეგიონული ნარკოლოგიური ცენტრის ფუნქცია შემდეგ სფეროებზე გავრცელდება:

- ფსიქოაქტიური ნივთიერებების მავნელმოხმარების გამოვლენა, პრობლემის შეფასება და დიაგნოსტიკა;
- დაავალების პროგრესირების პრევენცია პაციენტის სწავლების, ადრეული დიაგნოსტიკისა და მჯურნალობის, ან სხვა სპეციალისტთან მიმართვის გზით;
- ნარკოტიკების მოხმარებით გამოწვეული არაინფექციური და ინფექციური დაავალებების პრევენცია;
- პრობლემის აღმოცენების წინაშე მღვარი ან გარკვეული პრობლემების მქონე ადამიანების მხარდაჭერა და გზის მიცემა;
- პაციენტის უშეალო მიყროსოციალური გარემოცვის კონსულტირება და მხარდაჭერა;
- სამყურნალო პროცესის უწყვეტობის უზრუნველყოფა (პაციენტის მხარდაჭერა მჯურნალობის ერთი ეტაპიდან მეორეზე გადასვლის პროცესში, მაგ.: დეტოქსიკაციის შემდგომი ამბულატორიული მეთვალყურეობის უზრუნველყოფა და სხვ.);
- ქვეყნის ნარკოლოგიური სამსახურის სტრატეგიის განხორციელება ადგილობრივ დონეზე, ცენტრისა და რეგიონს შორის კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა.

### რეგიონული ნარკოლოგიური ცენტრის საქმიანობა

- რეგიონში ნარკოტიკებთან დაკავშირებული სიტუაციის სისტემატიკური შეფასება - ნარკოვითარების შესწავლა, ანალიზი, ცვლილებების მონიტორინგი და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და ინფორმაციის გადაცემა შესაბამის სტრუქტურებში.
- სასწავლო დაესებულებებში ნარკომანის პრევენციული საქმიანობის განხორციელების პროცესში მეთოდური და საკონსულტაციო დაესებულებების მიერ პრევენციული სტრატეგიების შემუშავებისა და განხორციელების პროცესში, საგანმანათლებლო საქმიანობა.
- ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მომხმარებელთა ადრეული ამოცნობა, შეფასება, და დიაგნოსტიკება - ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული პრობლემების გამოვლენა, მდგომარეობის შეფასება, დიაგნოზის დასმა და სათანადო რეკომენდაციების მიცემა.
- მოტივაციური ინტერვიუირება/კონსულტირება - მეთოდიკა, რომელიც მიზნად ისახავს, დავეხმაროთ ყლიერდების/პაციენტის ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებასთან დაკავშირებული პრობლემების გაცნობიერებაში, მათი გადაწვეტის შესაძლო გზების ძიებაში; ანუ, მოვახდინოთ პაციენტის მოტივირება, დაიწყოს პრობლემის მოგვარება (მაგ.: შეწყვიტოს ნარკოტიკის მოხმარება, დაიწყოს მჯურნალობა და ა.შ.).

## საქართველოს ანტინარკოტიკული სტრატეგია

- მოკლევადიანი ჩარევა (ადრიული ინტერვენცია) - ეფექტურია იმ შემთხვევებში, როცა ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული დამოკიდებულება ან დამოკიდებულების სინდრომი ფორმირების საწყის ეტაპზეა და გულისხმობს კლიენტან ერთ ან რამდენიმე საკონსულტაციო სეანსს.
- ფსიქო-სოციალური კონსულტირება და მხარდაჭერა:
  - დახმარება ყოველდღიური ცხოვრების მართვაში (პრაქტიკული ცხოვრებისეული უნარების გავარჯიშება);
  - ჰაციენტის მიერ გაცხადებული პრობლემების შესწავლა, მათი მოგვარების რესურსების მოძიება და მხარდაჭერა პრობლემის მოსაგვარებლად რეალური ნაბიჯების გადატვის პროცესში.
- რეციდივის პროფილაქტიკა - უნდა ვასწავლოთ ინცივიტს, როგორ აიცილოს თავიდან რეციდივი და როგორ მოიცეს ისეთ სიტუაციებში, რომლებიც რეციდივის მომატებულ რისკს შეიცავს (მაგ.: კონფლიქტური სიტუაციები, შინაგანი მდგომარეობა - ბევროვნები, დაძაბულობა, ნარკოტიკისაკენ სწრაფვის გაძლიერება და სხვა).
- ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მოხმარებელთა ოჯახის წევრების კონსულტირება - ოჯახის ფუნქციონირების შეფასება, ინტერაქტივება, სწავლება, ფსიქოლოგიური მხარდაჭერა, თანადამოკიდებულების კორექცია.
- ნარკოტიკების მოხმარებით გამოწვეული არაინფექციური და ინფექციური დაავალებების პრევენცია:
  - ზეცოზირებისა და სხვა არაინფექციურ გართულებათა პრევენცია;
  - ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებელთა კონსულტირება აივ/მიღსითა და ვირუსული ჰეპატიტით დაინფიცირების რისკის შესამცირებლად;
- რეგიონში ქსელური მუშაობის უზრუნველყოფა - ადგილობრივი რესურსების მობილიზება და პროცესტიული თანამშრომლობის დამყარება დაინტერესებულ ორგანიზაციებთან: რეგიონის ხელმძღვანელობა, პირველადი ჯანდაცვის რეალი, გადაუდებელი დახმარებისა და სხვა სამედიცინო სამსახურები, განათლების, კულტურის, შინაგან საქმეთა, სერვისული და სოციალური სამსახურები, ახალგაზრდული და სპორტული ორგანიზაციები, ეკლესია, მას-მედია; ცენტრთან კოორდინაცია.

### 5. ნარკომანთა სარეაბილიტაციო სისტემის შექმნა

რეაბილიტაცია არის ურთიერთდაკავშირებული კომპონენტების (სამედიცინო, ფსიქოლოგიური, სოციალური) დინამიკური სისტემა,

საქართველოს პროგრამის, აუდიტორული და სოციალური დაცვის სამინისტრო  
საქართველოს ანტინარკოტიკული სტრატეგია

---

რომელიც მიმართულია საბოლოო შედეგის - მყარი რემისის მიღწევაზე. რეაბილიტაციის ცროს ჰავიერნტი თავისუფლდება ნარკოტიკზე ფსიქიური დამოკიდებულებისაგან. რეაბილიტაცია - ეს არის დაკარგული უნარ-ჩვევების, სოციალური კავშირების, ადამიანებს შორის დანგრეული ურთიერთობების აღდგენის პროცესი.

რეაბილიტაციის კურსის გავლა შესაძლებელია ორი გზით: სპეციალიზებულ დაწესებულებაში (ე.წ. სარეაბილიტაციო ცენტრში) ყოფნით ან ამბულატორიულ სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილეობით. მიუხედავად დიდი მრავალფეროვნებისა, დასავლეთში არსებული რეაბილიტაციური პროგრამების არსი იგივეა: სარეაბილიტაციო ცენტრის, ურთიერთდახმარების ჯგუფის თუ ფსიქოთერაპიული ჯგუფის შემთხვევაში. პაციენტები თავიდან სწავლობენ ურთიერთობების აგებას, საკუთარ ქცევაზე პასეხისმგებლობის აღებას, აღიღენენ დაკარგულ ყოფით ჩვევებს. მაგრამ, გასათვალისწინებელია, რომ ეს პროცესი მიმდინარეობს რეალური ცხოვრების მოდელირების საშუალებით, მაგ.: თერაპიული თემი რეაბილიტაციის ცენტრში - ეს არის "საზოგადოება მინიჭერაში", ხელოვნურად შექმნილი სოციალური ორგანიზმი.

ამიტომ, რეაბილიტაციის პროცესის გავლის შემდეგ აუცილებელია რეალურ ცხოვრებაში შესვლის ეტაპი - საზოგადოებაში რეინტეგრაცია. ამ ეტაპს ადამიანი დამოკიდებულად გადის, სხვების დახმარების გარეშე. რეინტეგრაცია (სამსახურის ან სწავლის დაწყება, ახალი მეგობრების შეძენა) ადამიანს ეხმარება, თავი იგრძნოს საზოგადოების სრულფასოვან წევრად.

ნარკოტიკზე დამოკიდებულ პირთა ჯანმრთელობის ზიანის შემცირების, ფსიქოლოგიური დამოკიდებულების მოხსნის და საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით აუცილებელია:

1. წამალდამოკიდებულთა ნებაყოფლობითი სამეცივინო-სოციალური რეაბილიტაციის კონცეფციის შექმნა;
2. წამალდამოკიდებულთა სამეცივინო-სოციალური რეაბილიტაციის სპეციალიზებული ცენტრების ქსელის შექმნა;
3. სახელმწიფოს მხრიდან სარეაბილიტაციო ცენტრების ლიცენზირებისა და მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

## 6. ბავშვთა და მოზარდთა ნარკოლოგიური მომსახურება

ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან ადრეული ყონტაქტის შედეგად ბავშვებსა და მოზარდებში ძალიან სწრაფად ფორმირდება პრონარკოტიკული განწყობა და წამალდამოკიდებულება. ამავლობოულად, ფერხედება ფიზიური და ფსიქიური განვითარება, პიროვნული ზრდა, ირლვევა ფასეულობათა სისტემა, ინგრევა ურთიერთობები. ასეთი ბავშვები და მოზარდები კარგავენ კავშირს პოზიტიურ სოციალურ გარემოცვასთან და სოციალურ იზოლაციაში აღმოჩნდებიან ან კონტაქტს ნარკომანელ და კრიმინალურ სამყაროსთან ამყარებენ. ქვეყანაში პრაქტიკულად არ არსებობს არასრულწლოვანთა ნარკოლოგიური დახმარების სამსახური.

## საქართველოს ანტინარჩოტიკული სტრატეგია

აუცილებელია ბავშვებისა და მოზარდებისათვის ნარკოლოგიური დახმარების ორგანიზება.

მიზანი: ნარკოტიკების არასრულწლოვან მომხმარებელთათვის საკონსულტაციო, სამკურნალო და სარეაბილიტაციო მომსახურების უზრუნველყოფა.

### ძირითადი ღონისძიებები:

1. არასრულწლოვანთა ნარკოლოგიური დახმარების სისტემის განვითარება

ბავშვთა და მოზარდთა მჯურნალობის ერთიანი სტრატეგიის შემუშავება ფარმაკოთერაპიისა და ფსიქოთერაპიის დიფერენცირებული მეთოდების გამოყენებით; ბავშვებისა და მოზრდებისათვის შესაბამისი სპეციალიზებული ნარკოლოგიური დახმარების უზრუნველყოფა მოხდება შესაბამისი ნარკოლოგიური ცენტრების შექმნის საშუალებით.

2. ტოქსიკურ ნივთიერებათა მომხმარებელ მზრუნველობას მოქმებულ ბავშვთა და მოზარდთა კონსულტირება და თერაპია

ფლეს საქართველოში მშობლების მზრუნველობას მოქმებულ ბავშვთა და მოზარდთა შორის ფართოდ არის გავრცელებული ტოქსიკურ ნივთიერებათა (აქროლატი გამხსნელები) მავნელმოხმარება, რაც იწვევს მათში მძიმე ფსიქო-ფიზიოლოგიური დარღვევებს და სოციალური დეზაფაპტაციის გაძლიერებას. ეს პრობლემა დაუყოვნებლივ რეაგირებას მოითხოვს.

3. არასრულწლოვან წამალდამოქიდებულთა რეაბილიტაციის სამსახურის შექმნა

არასრულწლოვან წამალდამოქიდებულთა რეაბილიტაცია განიხილება, როგორც აღმზრდელობითი, საგანმანათლებლო, ფსიქოლოგიური, სამეცნიერო, სოციალური, სამართლებრივი ღონისძიებების სისტემა, რომელიც მიმართულია ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების შეწყვეტაზე, მყარი ანტინარკოტიკული განწყობების შექმნაზე, მათ რესოციალიზაციასა და საზოგადოებაში რეინტეგრაციაზე. ანუ, რეაბილიტაციური პროცესის შინაარსი განისაზღვრის არა მარტო დაავადების მიმდინარეობით, არამედ ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებითაც - ბავშვის განვითარების პოტენციალი ძალიან მაღალია და პიროვნების განვითარების პროცესში ბევრი ასაკობრივი პრობლემა შეიძლება მოიხსნას.

საქართველოს პროგრამის, აუდიტორული და სოციალური დაცვის სამინისტრო  
საქართველოს ანტირანგობის სტრატეგია

---

არასრულწლოვან ნარკოტიკების მომხმარებელთა რეაბილიტაცია კომპლექსური, მაგრამ მნიშვნელოვანნილად პედაგოგიური (საგანმანათლებლო) საქმიანობაა და მას უნდა ახორციელებდეს მულტიდისციპლინური ჯგუფი - პედაგოგები, ფსიქოლოგები, სამედიცინო და სოციალური მუშაქები. პიროვნეული ზრდისა და სოციალიზაციისათვის აუცილებელი პირობების შექმნით შესაძლებელია მდგომარეობის კომპენსაცია, რაც ხელს უწყობს პიროვნების საზოგადოებაში დაბრუნებას.

არასრულწლოვანთა რეაბილიტაციის ძირითადი ამოცანებია:

1. ბავშვებისა და მოზარდების მოტივირება ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებაზე საბოლოოდ უარის თქმაზე;
2. მათი მოტივირება სარეაბილიტაციო პროცესში ჩართვასა და შემდგომ მონაზილეობაზე;
3. პიროვნების სტრუქტურის კორექცია და მისი პოზიტიური განვითარების უზრუნველყოფა სოციალური კომპეტენციის ჩამოყალიბების გზით;
4. ისეთი სარეაბილიტაციო გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში სოციალურად მისაღები პიროვნეული და ქცევითი უნარ-ჩვევების გამომუშავებას;
5. რეაბილიტაციური პროცესის ყველა ეტაპზე აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება;
6. თერაპიული ორნისძიებების კომპლექსის განხორციელება, რომელიც მიმართულია ნარკოტიკისადმი პათოლოგიური ლტოლვის შემცირებაზე, ფსიქიური და სომატური დარღვევების კორექციაზე და რეციდივის პროფილაქტიკაზე;
7. ოჯახური ურთიერთობების, დაკარგული სოციალური კავშირების აღდგენა ბავშვის/მოზარდის უშუალო მიკროსოციალურ გარემოსცვასთან მუშაობის საფუძველზე;
8. განათლების, პროფესიული უნარ-ჩვევების სწავლების, სოციალური მხარდაჭერის საშუალებით რეალური ცხოვრებისეული პერსპექტივის ფორმირება;

საქართველოს პროგრამის, ჯანმრთელობისა და სოციალური ფაციის სამინისტრო  
საქართველოს ანტირანგობის სტრატეგია

პრიორიტეტი 3

6.1.1.3. ნარკოტიკების მოხმარებით  
გამოწვეული ზიანის შემცირება

მიუხედავად მრავალნლიანი და მრავალმხრივი ძალისხმევისა, ჯერ-აჯერობით, ვერცერთ ქვეყანაში ვერ მოხერხდა ნარკომანიისა და მასთან დაკავშირებული პრობლემების სრული აღმოფხვრა. ამ ფაქტის აღიარებას ემყარება ზიანის შემცირების სტრატეგია, რომელიც სრულებითაც არ უარყოფს, რომ ყველაზე მნიშვნელოვანია, დავებმაროთ ადამიანს, შეწყვიტოს ნარკოტიკების მოხმარება, მაგრამ ითვალისწინებს, რომ ასეთი გადაწყვეტილების მიღება და განხორციელება ხშირად საქმაოდ დიდ ფროსა და ძალისხმევას მოითხოვს.

ზიანის შემცირებაზე მიმართული საქმიანობა მიზნად ისახავს ნარკოტიკების მოხმარების თანმხლები პრობლემების შემცირებას სხვადასხვა სფეროში. ესენია:

1. **სამედიცინო:** ვირუსული (შიდისი, ჰეპატიტი და სხვა) და ბაქტერიული (ტენისიულოზი, სიფილისი და სხვა) ინფექციები, ზედოზირება, სისხლძარღვებთან დაკავშირებული პრობლემები (თრომბოზი, თრომბოფლებიტი, ჩირქოვანი გართულება), იმუნიტეტის დაჭვითება და ა.შ.
2. **სოციალური:** არალეგალური ნარკოტიკების მოხმარების ფართოლ გავრცელების სოციალური შედეგები, ნარკოტიკების მოხმარებელთა სოციალური ადაპტაციის უუნარობა, პრობლემები სამსახურში, სასრავლებელში, ოჯახში და ა.შ.
3. **ეკონომიკური:** ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი ნაწილის შრომისუუნარობა, აივ/მიდისის, ჰეპატიტის და სხვა დაავალებების მყურნალობის ხარჯები;
4. **სამართლებრივი:** ნარკოტიკის მოხმარებელთა მოქალაქეობრივი უფლებების დარღვევები, მათი დასჯა თავისუფლების აღკვეთით და სხვა.

ზიანის შემცირებაზე მიმართული ლონისძიებები ხორციელდება სამი ძირითადი მიმართულებით:

1. **შპრიცების გაცვლის პროგრამა** გულისხმობს ნარკოტიკის მოხმარებელთა მიერ გამოყენებული და პოტენციურად ინფიცირებული შპრიცების ამოლებას და განალებურებას და მომხმარებელთათვის ახალი შპრიცებისა და სტერილური საინექციო ატრიბუტების მიწოდებას. ეს პროგრამა წარმატებით ხორციელდება იმ ქვეყნებში, სადაც ე.წ. ქუჩის ნარკომანია გავრცელებული. სპეციალურად მომზადებული სოციალური მუშაქები, რომელთა შორის შეიძლება იყვნენ ისეთებიც, ვინც უკვე შეწყვიტა ნარკოტიკების მოხმარება, სტერილურ ინსტრუმენტებთან ერთად ავრცელებენ ინფორმაციას ნარკოტიკების უსაფრთხო მოხმარების შესახებ.

საქართველოს პროგრამის, აკრებულობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო  
საქართველოს ენტინერჯოტიკაული სტრატეგია

---

2. ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამის საშუალებით აღამიანებს, რომლებსაც არ შეეძლიათ ცხოვრება ნარკოტიკების გარეშე, არალეგალური ნარკოტიკების ნაცვლად აძლევენ "ჩამნაცვლებელ" პრეპარატებს. ერთ-ერთი ასეთი პრეპარატია მეტადონი, რომელიც სინთეზური ოპიატია, ამდენად, არ ათავისუფლებს აღამიანს წამალდამოქილებულებისაგან, მაგრამ ხანგრძლივი მოქმედებისაა, ნაკლებად ახასიათებს ეიფორიული ეფექტი და მისი ზემოქმედების ქვეშ მყოფი აღამიანი საზოგადოებისათვის უფრო მისაღებია, არაკრიმინალურია, ინფექციებისაგან შედარებით დაზღვეულია.

ჩანაცვლებითი პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია არალეგალური ნარკოტიკების მოხმარების შემცირება ან სრული შეწყვეტა. ნარკოტიკები დამოქილებული ჩამნაცვლებელ პრეპარატს იღებს სამედიცინო დაწესებულებაში ექიმის მეთვალყურეობით, თავისუფლდება ალკვეტის სინდრომის შემაწუხებელი მოვლენებისაგან და შეეძლია, გააგრძელოს სრულფასოვანი სოციალური ცხოვრება. ამას გარდა, ჩამნაცვლებელი პრეპარატები გაიცემა არაინექციური ფორმით - სიროვანის ან აბის სახით და მიღება ხლება მედპერსონალის თანამდებობით. ამით მინიმუმამდე მცირდება ნარკოტიკების ინექციური მოხმარება და ამასთან დაკავშირებული ინფექციების გავრცელება.

ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამაში ჩართვა ათავისუფლებს ნარკოტიკების მომხმარებელს არალეგალური ნარკოტიკების შეძენის, ანუ კანონსაწინააღმდეგო მოქმედების აუცილებლობისაგან. ამას გარდა, პროგრამის მონაწილეები იმყოფებიან სამედიცინო მეთვალყურეობის ქვეშ და, საჭიროების შემთხვევაში, პარალელურად ერთვებიან ფსიქოლოგიური და სოციალური რეაბილიტაციის პროგრამებში.

3. საველე სოციალური მუშაობა და თანასწორთა განათლება. ამ პროგრამების მიზანია, პროფესიულაქტიკური ინფორმაციის გავრცელება ისეთ ადგილებში, როგორიცაა ახალგაზრდული ჟლებები, სასწავლებლები, ნარკოლოგიური და ინფექციური საავალმყოფოები, ციხეები, ნარკოტიკების მომხმარებელთა თავშეყრის ადგილები. ამ პროგრამებით შესაძლებელია ბროშურებისა და პროფესიულაქტიკური მასალების (პრეზერვატივების, სატეზინფექციო საშუალებების, ვიტამინების) დარიგება; სამედიცინო და სოციალური სამსახურების მისამართების გავრცელება. ამასთან ერთად, საველე სოციალური მუშაյები ახორციელებენ შპრიცების გაცვლას იმ მომხმარებლებთან, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზის გამო არ მიღიან შპრიცების გაცვლის სტაციონარულ ჰუნჯებში. საველე მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია, მოხერხდეს ქცევის ნორმების შეცვლა ნარკომანთა წრეში და დაინერვოს ნარკოტიკების უსაფრთხო მოხმარება.

საქართველოს პროგრამების, ჯანმრთელობისა და სოციალური ფაციის სამინისტრო  
საქართველოს აწინარებისა და სტრატეგიული სტრატეგია

---

**ძირითადი ლონისძიებები:**

**1. ზიანის შემცირების პროგრამების დანერგვა მთელი ქვეყნის მასშტაბით**

ოპიოიდური დამოკიდებულების მეტადონური ჩანაცვლებითი მურნალობის პილოტური პროგრამების განხორციელება საქართველოში დაიწყო 2005 წლის ბოლოს. პილოტურების შემდეგ დაიხვეწება პროგრამა და, სავარაუდოდ, მოხდება ჩანაცვლებითი თერაპიის ფართოდ დანერგვა მთელი ქვეყნის მასშტაბით; სასურველია შპრიცების გაცვლის პროგრამების ეფექტურობის ამაღლების გზების მოძიება; ნარკოტიკების ზედოზირებისა და არაინტერესური გართულებების პრევენციის ფართოდ დანერგვა ინექციური ნარკოტიკების მოხმარებით გამოწვეული უარყოფითი სამეცნიერო შედეგების თავიდან აცილების საშუალებას მოგვცემს.

**2. საქართველოს პენიტენციურ სისტემაში აივ/შიდსის ეპილემის გავრცელების შეზღუდვისაკენ მიმართული ლონისძიებების გატარება:**

1. პატიმართა რეგულარული, ნებაყოფლობითი, ანონიმური კონსულტირებისა და ტესტირების ხელმისაწვდომობა, როგორც თავისუფლების აღკვეთის აღგილებში მოხვედრისას, ასევე, განთავისუფლების მომენტიც.
2. ნარკოტიკების არასამედიცინო მიზნით გამოყენებით გამოწვეული ზიანის შემცირების პროგრამის დანერგვა ციხეებში, რაც გულისხმობს:
  - წამალდამოკიდებული პატიმრების მურნალობის შესაძლებლობას;
  - ციხეებში ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამების დანერგვას და განხორციელებას.
3. სასჯელალსრულების დაწესებულებების სამეცნიერო და პატიმრებთან მომსახურე სხვა პერსონალის სწავლება ინფორმირების, პატიმართა კონსულტირებისა და უსაფრთხოების ნორმების გაცნობის მიზნით.

საქართველოს პროგრამის, აკრებულობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო  
საქართველოს არტისტურობის სტრატეგია

პრიორიტეტი 4

6.1.2. ნარკოტიკების მოწოდების შემცირება

ნარკოტიკების მოწოდების შემცირება ნარკოტიკებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. სამართალდამცავი ორგანოებისა და სხვა სპეციალური სამსახურების ურალება მიმართული უნდა იყოს მოსახლეობისათვის ნარკოტიკების საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების ხელმისაწვდომობის ყოველმხრივ შეზღუდვაზე:

- ქვეყანაში არალეგალური ნარკოტიკების შემოტანის პრევენცია;
- არალეგალური ბრუნვილან ნარკოტიკების ეფექტური ამოღება;
- ნარკოტიკები საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეურსორების ლეგალური ბრუნვილან არალეგალურში გაფალინების პროფილაქტიკა.

**მიზანი:** არალეგალური ნარკოტიკების ხელმისაწვდომობისა და ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულის შემცირების ხელშეწყობა

**ამოცანა:** არალეგალური ნარკოტიკების მოწოდების შეზღუდვა სამართლებრივი, ეფექტური და მაღალპროფესიური ღონისძიებების გატარების საშუალებით.

ძირითადი ღონისძიებები:

1. ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან ბრძოლის სფეროში სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების შეთანხმებული, დაბალანსებული მოქმედების უზრუნველყოფა.

ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებული დანაშაულის შემცირებისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით უნდა მოხდეს ძალოვანი სტრუქტურების კოორდინირებული მოქმედების ეფექტური სტრატეგიის შემუშავება; ამ ორგანოების ეფექტურობის გასაძლიერებლად შესაბამისი პირობების შექმნა მათი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვისა და საკალიო უზრუნველყოფის საშუალებით.

## საქართველოს ანტირაკოტიკული სტრატეგია

სასურველია ნარკოტიკიების დამზადების და გადაზიდვებისათვის გამოყენებული სპეციალური მოწყობილობების, ავტოტრანსპორტის და უკანონო შემოსავლების საპროცესო კონფისკაციის შედეგად მიღებული თანხების გამოყენება მძლავრი კინოლოგიური სამსახურის შესაქმნელად, ამ დანაშაულის გამომვლენი ოპერატორი სამსახურების, პროექტის, შესაბამისი დანაყოფების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაძლიერებლად.

### 2. ნარკოტიკიების კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება

აუცილებლად მიგვაჩნია საბაჟო და სასაზღვრო დეპარტამენტებში ნარკოტიკიების კონტრაბანდის წინააღმდეგ მებრძოლი დანაყოფების შექმნა, სასაზღვრო და საბაჟო სამსახურების ორგანიზაციულ-საქალრო და ტექნიკური გაძლიერება.

საქართველოს სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალებზე, აეროპორტებში, საზღვაო პორტებში - ნარკოტიკიების ქვეყანაში უკანონო შემოზიდვის ძირითად მიმართულებებზე - უნდა მოხდეს საკონტროლო პუნქტების შექმნა, მათი სათანადო ტექნიკური საშუალებებით აღჭურვა, საბაჟო სამსახურის ბაზაზე ძლიერი კინოლოგიური სამსახურის შექმნა.

### 3. ქვეყანაში პრევენციონური მოძრაობაზე სახელმწიფოს მიერ ქმედითი კონტროლის განხორციელება.

პრევენციონური მოძრაობაზე, რეალიზაციაზე, ექსპორტსა და იმპორტზე უწყებათაშორისი კონტროლის სიტემის შექმნა, საფაც მქაფიოდ იქნება განსაზღვრული დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების პასუხისმგებლობები.

ამას გარდა, კონტროლი უნდა განხორციელდეს ნარკოტიკიების დასამზადებლად საჭირო ინსტრუმენტებსა და აპარატურაზე, ქიმიურ, ფარმაცევტულ საწარმოებში, სამეცნიერო დაწესებულებებში, იმ სამეცნიერო ლაბორატორიებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში, რომლებიც ნებატართულია ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარება.

### 4. მცენარეული წარმოშობის ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვაში მოხვედრის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება.

ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ინფორმაციის შექმნება ნარკოტიკიების შემცველი მცენარეების ნათესების შესახებ მთელი ქვეყნის მასშტაბით და ამ მონაცემების საფუძველზე რუკის შედგენა.

საქართველოს პროგრამის, აუდიტორული და სოციალური დაცვის სამინისტრო  
**საქართველოს ანტირანგობის უფლების სტრატეგია**

---

უნდა მოხდეს უკანონოდ ყულტივირებული და ველურად მზარდი ნარკოტიკის შემცველი მცენარების განადგურების ეკოლოგიურად უსაფრთხო და ეფექტური მეთოდების შემუშავება და დაწერვა.

მცენარეული წარმოშობის ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვაში მოხვედრის წინააღმდეგ ბრძოლის, ასეთი ნათესების აღმოჩენისა და განადგურებისათვის საჭიროა კომპლექსური ოპერატორ-პროფილაქტიკური ლონისძიებების სისტემატიკად ჩატარება.

**5. დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების ლეგალიზებასთან (ფულის "გათეთრება") ბრძოლის სტრატეგიის შემუშავება და რეალიზაცია.**

უნდა შეიქმნას სამართლებრივი ბაზა ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეურსორების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებული დანაშაულის შედეგად მიღებული ფულის "გათეთრებაზე" პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით, რათა არ მოხდეს დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების შეღწევა ქვეყნის ფინანსურ სისტემაში.

**6. სხვა ქვეყნების სამართალდამცავ ორგანოებთან კონტაქტების უზრუნველყოფა**

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია უცხოეთის, და განსაკუთრებით, მეზობელი ქვეყნების სამართალდამცავ და სპეციალურ სამსახურებთან თანამშრომლობის გაფართოება და გაღრმავება, ნარკობიზნესთან ბრძოლის სფეროში ფართო საერთაშორისო თანამშრომლობისათვის სამართლებრივი ბაზის შესაქმნელად საჭირო ნორმატიული ბაზის სრულყოფა, ნარკოტიკების გავრცელებასთან აქტიურად მებრძოლი ქვეყნების სპეციალურ სამსახურებთან, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მაჟოორიტინირებელ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების გაფრთხების პრაქტიკაში დაწერვა.

რეგიონულ დონეზე თანამშრომლობის გაღრმავება დაკავშირებულია ამ ქვეყნების ნარკოკანონმდებლობის დაახლოებასა და ჰარმონიზაციასთან, რეგიონში ნარკოტიკების უკანონო ნარმოებასა და გავრცელებაზე დაკვირვების ერთიანი მექანიზმების შექმნასთან, ინფორმაციისა და გამოცდილების მუდმივ გაცვლასთან.

**საქართველოს აწინარების სტრატეგია**

**პრიორიტეტი 5**

**6.1.3. პროფესიული კალიების მომზადება**

ნარკოსტრატეგიის განხორციელების ეფექტურობას მნიშვნელოვანილად კალიები განაპირობებს.

**მიზანი:** კვალიფიციური კალიების მომზადების მასშტაბური და მრავალპროფესიული სისტემის შექმნა

სკოლებში ნარკომანიის პრევენციული სტრატეგიებისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის ფართოდ დანერგვის მიზნით, პეტაგოგთა კვალიფიციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრალურ ინსტიტუტში უნდა შეიქმნას განყოფილება, რომელიც შეიმუშავებს და განახორციელებს ტრენინგ-პროგრამებს სკოლის პერსონალისათვის; აუცილებლად მიგვაჩნია ნარკომანიის პრევენციის კურსის ჩასმა მასწავლებლების გადამზადების კურიულუმში, ნარკოტიკებთან დაკავშირებულ საკითხებში სკოლის კოორდინატორების მომზადება

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ნარკომანთა მკურნალობისა და რეაბილიტაციის სფეროში მაღალკალიფიციური სპეციალისტების მომზადებას:

- ნარკოლოგიური სამსახურების მუშაյების (ნარკოლოგების, ფსიქოლოგების, მედიცინის, რეაბილიტოლოგების) პროფესიული დონის ამაღლება;
- სოციალური მუშაյების/კონსულტანტების მომზადება;
- პირველადი ჯანდაცვის სფეროს მუშაქების სრავლება.

ასევე მნიშვნელოვანია ნარკომანიის გავრცელების და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ მებრძოლი სამსახურების თანამშრომელთა პროფესიული დონის მუდმივ ამაღლებაზე ზრუნვა.

საბოლოოდ, დაგეგმილია პროფესიული მომზადების მეთოდური ცენტრის შექმნა, რომელიც პასუხისმგებელი იქნება შესაბამისი საგანმანათლებლო სტანდარტების შემუშავებაზე, კალიების მოსამზადებელი მეთოდოლოგიების შექმნაზე და კოორდინირებას გაუწევს პროფესიული კალიების მომზადების პროცესს.

საქართველოს პროგრამის, აუდიტორული და სოციალური დაცვის სამინისტრო  
საქართველოს არტისტურიკული სტრატეგია

პრიორიტეტი 6

61.4. საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაცია ნარკომანიის სამეცნიერო, სოციალური, იურიდიული, ეკონომიკური ასპექტების შესახებ კვალიფიციური ინფორმაციის მიზნების გზით

მიზანი: სოციალური ატმოსფეროს შეცვლა საზოგადოებაში ნარკოტიკებისადმი უფრო კრიტიკული განწყობის შესაქმნელად

თუ გავითვალისწინებთ აფამიანებსა და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე მასობრივი ინფორმაციისა და კომუნიკაციის საშუალებების ზემოქმედების პოტენციალს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნარკომანიის პრობლემის მოგვარებაში მედიას მნიშვნელოვანი როლი ეყისრება. ცნობილია, რომ პრობლემის გადაჭრის გზების წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დავაყენებთ ამ პრობლემას და რამდენად კარგად ვიცნობთ მას. მედიის საშუალებით საზოგადოებისათვის ნარკომანიის შესახებ სწორი და მრავალმხრივი ინფორმაციის მიზნება აუცილებლად შეუწყობს ხელს ამ პრობლემის მიმართ საზოგადოებაში გონივრული, ჰუმანური და პასუხისმგებლური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას.

მედიის დომინანტური როლი ჩვენი და ჩვენი ახალგაზრდების ცხოვრებაში სხვადასხვაგვარაც მყოფია. ბევრი ჩვენთაგანი თითქმის მთელი დღის განმავლობაში მედიის მომხმარებლად გვევლინება. ახალგაზრდების მიერ ტელევიზორზე, პოპულარული მუსიკაზე, ჟინრებზე, კომპიუტერზე და რეკლამის ყურება/მოსმენაზე დახარჯული დრო ბევრად სჭარბობს სულლასა და წიგნებზე დახარჯულ დროს.

მედია წარმართავს ჩვენი ლირებულებებისა და აზრების ფორმირებას. იგი გვაწვდის არა უბრალოდ ინფორმაციას, არამედ ამ ინფორმაციის დანახვისა და გაგების გზებსაც. ამდენად, დღეისათვის ნაბეჭდი და ელექტრონული მედია მეტად გავლენიან და გავრცელებულ "ალმზრდელად" გვევლინება. მედიის მიერ ჩვენი ახალგაზრდობა განუწყვეტლივ "იბომბება" შერწეული ცნობებით თამბაქოს, ალქოჰოლისა და ნარკოტიკების შესახებ, რომლებიც განკუთვნილია უფროსებისათვის და რომელთა ინტერაქტიურება არასწორად ხდება ბავშვების მიერ. თანამეტროვე საზოგადოებაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ორგვარ როლს თამაშობენ - ერთის მხრივ, საზოგადოებაში არსებულ განწყობებს ასახავენ, მეორეს მხრივ - აქტიურად მონაწილეობენ ამ განწყობების ფორმირებაში. ნარკომანიის პრობლემასთან დაკავშირებით სწორი და სრულყოფილი ინფორმაციის მიზნებით მედიას შეიძლია, აქტიური როლი ითამაშოს ნარკომანიის პრობლემის

საქართველოს კნიგარიცხვის სტრუქტურა

მოგვარებაში, რეალურად დაანახოს საზოგადოებას პრობლემის სიმწვავე  
და ამ პრობლემის მოგვარების გზები.

## ძირითადი ლონისძებები:

1. სწორად გათვლილი, კომპეტენტური, გეგმაზომიერი, სისტემატიური  
საინტერიანო კანონის დაგეგმვა და განხორციელება

ნაკუომანის პრობლემებთან დაკავშირებული საიტორმაციით კამპანია უნდა ხორციელდებოდეს გეგმაზომიერად, განსაკუთრებული სიტრობილით და გარკვეული პრინციპების დაცვით.

საინფორმაციო კამპანიის მიზანია საზოგადოების გააქტიურება და ჩართვა პრობლემის მოგვარების საქმეში

ამოცანა: ფურთო საზოგადოების ინფორმირებულობის დონის  
ამაღლება ნარკოტიკების მოხმარების, მასთან დაკავშირებული მავნე  
შედეგების, მათი თავიდან აკილების გზების თაობაზე

## 2. მურიდის წარმომარგვენობა სწავლისა

არასწორი ან გაუფრთხილებელი მიღვომით, ნებსით თუ უნებლიერ, შესაძლოა, მედიამ ფსიქოაქტიური საშუალებების პროპაგანდა და რეკლამირება აწარმოოს. ამიტომ აუცილებელია ყურნალისტებისათვის ტრენინგების ორგანიზება, სადაც ყურადღება გამახვილდება ყურნალისტების როლზე ნარკომანიის პრობლემის მოგვარების საქმეში რა იმაზე, თუ როგორ უნდა შეიწიგოთ ეს პრობლემა.

3. ნარკოტიკების მოხმარებასა და არალეგალურ ბრუნვასთან დაკავშირებული სამეცნიერო/სასწავლო/მეთოდური ლიტერატურისა და მეზობელობრივის ბაზის შემნა

საქართველოს პროგრამის, აუდიტორულისა და სოციალური დაცვის სამინისტრო  
საქართველოს არტისტურისტიკული სტრატეგია

პრიორიტეტი 7

6.1.5. საერთაშორისო თანამშრომლობა

ნარკომანის გავრცელებისა და ნარკოტიკების უჯანონო ბრუნვის პრობლემის გლობალური ხასიათი საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებას მოითხოვს; ამ თვალსაზრისით, ძალიან მნიშვნელოვანია გაეროს სხვადასხვა პროგრამებთან და ევროკავშირთან თანამშრომლობა.

ძირითადი ღონისძიებები:

1. ევროპის ნარკოტიკებისა და ნარკომანის მონიტორინგის ცენტრთან (**MCDDA**) თანამშრომლობის გალობრივება ქვეყანაში ევროპული სტანდარტების შესაბამისი ნარკოტიკების საინფორმაციო სისტემის შექმნის, ნარკოტიკებზე მოთხოვნილებისა და მოწოდების შემცირების სფეროში ინოვაციური პროექტების დაწერვისა და ხარისხის სტანდარტების შემუშავების მიზნით.
2. საქმიანობათა კოორდინაცია პომპილუს ჯგუფთან და ევროსაბჭოსთან
3. ნარკოტიკებზე კონტროლისა და ნარკომანის გავრცელებასთან ბრძოლის განხრით სხვა სახელმწიფოებთან ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების ფალების პრაქტიკის გაგრძელება;
4. დონორებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მუშაობის გაგრძელება სტრატეგიის განხორციელების პროცესში მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის მოსაპოვებლად (ფინანსები, კალორების მომზადება და გაფამზადება, გამოცდილების გაზიარება, რეკომენდაციები, აღჭურვილობა).

საქართველოს აწინარეობის უზრუნველყოფის სტრატეგია

პრიორიტეტი 8

6.1.6. მონიტორინგი და კვლევა

ანტიარქოტიკული სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგის სისტემის ინსტრუმენტების სრულყოფა ნარკოვითარების სისტემატიკის შეფასებისა და სათანალო რეაგირების საშუალებას მოგვცემს.

ძირითადი ლონისძიებები:

1. მონაცემთა ბაზებისა და საინფორმაციო სისტემების შექმნა

- ნარკოტიკების მომხმარებელთა და დამოკიდებულ პირთა შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბანკის ფუნქციონირება (საქართველოს კანონის "ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეექსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ" თავი №7 მუხლის №39 შესაბამისად);
- ქვეყანაში ნარკომანით დაავადებულ პირთა ანონიმური მჯურნალობის ერთიანი კოდინირებული სისტემისა და საინფორმაციო ბანკის შექმნა;
- ჩანაცვლებითი მჯურნალობის პროგრამებში ჩართულ პირთა ერთიანი სარეგისტრაციო ბაზის შემნა და ფუნქციონირება;
- ქვეყანაში ნარკოსიტუაციის მონიტორინგის ობსერვატორიის ფუნქციონირება (UNDP-ის სამხრეთკავკასიის ანტიარქოტიკული პროგრამის ტექნიკურ-მეთოდოლოგიური ხელშეწყობით).
- ნარკოტიკების უკანონო ბრუნვისა და ამ ბრუნვაში მონაწილე პირების შესახებ ერთიანი უწყებათაშორისი საინფორმაციო ბანკის შექმნა.

2. ეპიდემიოლოგიური და სოციოლოგიური კვლევის ზეამხედველობის სისტემის შექმნა

ნარკოტიკების მოხმარებისა და მათზე დამოკიდებულების ეპიდზედამხედველობის მიზანია ქვეყანაში ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების, მათზე დამოკიდებულების, თანმხლები მავნე შედეგების გავრცელების დინამიური შესწავლა და არსებული სიტუაციის შესაბამისი საპასუხო ლონისძიებების დაგეგმვა.

ეპიდზედამხედველობის ეფექტური განხორციელებისათვის გათვალისწინებულია შემდეგი ლონისძიებები:

- ქვეყანაში ნარკოტიკების მოხმარებისა და დამოკიდებულების პრევალენტობის შესწავლა;

საქართველოს პროგრამის, აუდიტორული და სოციალური დაცვის სამინისტრო  
საქართველოს ანტირანგობის უფლის სტრატეგია

---

- მოზარდული ახალგაზრდებში ნარკოტიკების მოხმარებისა და მათდამი დამოჟიდებულების შესწავლა;
- ქვეყნის მასშტაბით ნარკოტიკების ნივთიერებებზე დამოკიდებულების მკურნალობაზე მოთხოვნის შესწავლა;
- ჩანაცვლებით თერაპიაზე არსებული მოთხოვნის შესწავლა;
- ნარკოტიკების მომხმარებლებში აივ/შიცსისა და სისხლით გადამდები სხვა დაავალებების სარისკო ქცევის შესწავლა;
- ნარკოტიკების მოხმარებით გამოწვეული ურგენტული შემთხვევებისა და სიკვდილიანობის ყვლევა;
- ნარკოტიკებისა და ნარკომანიის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების კვლევა;
- ეპიდემიოლოგიური სიტუაციის მნიშვნელოვნად გაუარესების ან ახალი ტენდენციების წარმოჩენის შემთხვევაში სათანადო ინსტანციების ინფორმირება და საპასუხო ლონისძიებების დაგეგმვა.

3. ნარკომანიის პრევენციის, მკურნალობა-რეაბილიტაციის, ზიანის შემცირების ახალი მეთოდების მოძიება, ადაპტირება და ფანერგვა

4. რაციონალური და სოციალურად მისაღები ნარკოსტრატეგიის განსახორციელებლად უნდა მოხდეს:

- ქვეყანაში ნარკოტიკებთან დაკავშირებული სიტუაციის ყოველწლიური ანალიზი;
- მეზობელ ქვეყნებში სიტუაციის ანალიზი;
- პრესის ანალიზი.

საქართველოს მთავრობის, ჯანმრთელობისა და სოციალური ფაციტის სამინისტრო  
საქართველოს ანტინარკოტიკული სტრატეგია

---

## 7. სტრატეგიის განხორციელების მექანიზმი - კოორდინაცია

### 7.1. კოორდინაციის სტრუქტურა

ნარკოტიკიურთან დაკავშირებული სტრატეგიის განხორციელების დროს კოორდინაცია განისაზღვრება, როგორც ნარკოტიკიურთან დაკავშირებულ სიტუაციაზე ქვეყნის რეაგირების შემადგენელი სხვადასხვა ელემენტის ორგანიზებისა და ინტეგრირების ამოცანა, მათი ჰარმონიზებისა და საპასუხო ქმედებების ეფექტურობის გაზრდის მიზნით. ამ განმარტების საბაზო ელემენტებს წარმოადგენს "ერთიერთობამოქიდებულება" (ცალკეული საქმიანობა განიხილება "მულტიფილიპლინური მილგომის" კონტექსტში), ჰარტნიორობა და საერთო მიზნების გაზიარება.<sup>16</sup>

საქართველოს ანტინარკოტიკიული სტრატეგიის მთელი ქვეყნის მასშტაბით განხორციელებას კოორდინირებას უწევს ეროვნული მაკომიტენციაში შეტის შესაბამისი სამინისტროების, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის ჰარმონიზაციაში, სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგი და შეთასება. სხვადასხვა უწყების ან ორგანიზაციის ჰარმონიზაციის შესახისმგებლობის ქვეშ განხორციელებული ყველა საქმიანობა საქართველოს ერთიანი ანტინარკოტიკიული სტრატეგიის ნაწილს წარმოადგენს და მათი შეთანხმებული მოქმედების უზრუნველყოფა ხდება კოორდინირების გზით.

რეგიონულ დონეზე კოორდინაცია ხორციელდება ნარკოპოლიტიკის რეგიონული კოორდინატორების მეშვეობით.

---

<sup>16</sup> Strategies and Coordination in the Field of Drugs in the European Union. A Descriptive Review. EMCDDA, 2002.

საქართველოს პროგრამის, აუდიტორულისა და სოციალური დაცვის სამინისტრო  
საქართველოს არტისტურობის სტრატეგია

---

## 7.2. ეროვნული მაკონკლინირებელი ორგანოს როლი და ფუნქციები

ეროვნული მაკონკლინირებელი ორგანო (ნარკოპოლიტიკის საბჭო) წარმოადგენს საქართველოს პრეზიდენტის (ვარიანტი I) ან პრემიერ-მინისტრის (ვარიანტი II) სათათბირო ორგანოს, რომლის მიზანია მთელი ქვეყნის მასშტაბით ნარკომანის გავრცელებისა და ნარკოტიკის უკანონო ბრუნვის<sup>17</sup> წინააღმდეგ ეფექტური უწყებათაშორისი კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა. საბჭო ანგარიშვალდებულია პრეზიდენტის (ან, მეორე ვარიანტის შემთხვევაში, პრემიერ-მინისტრის) წინაშე.

თავის საქმიანობაში საბჭო ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო შეთანხმებებითა და კონვენციებით, საქართველოს კანონებით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებით და საქართველოში მოქმედი სხვა ნორმატიული აქტებით.

საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, სათათბირო ორგანოს უფლება აქვს, სახელმწიფო დაწესებულებებიდან მიიღოს თავისი მუშაობისათვის საჭირო დოკუმენტები, ცნობები და სხვა მონაცემები.<sup>18</sup>

### საბჭოს ამოცანები:

1. ანტინარკოტიკული სტრატეგიის რეალიზაციის კოორდინირება;
2. სახელმწიფო, მუნიციპალური, საზოგადოებრივი, რელიგიური და სხვა ორგანიზაციების შეთანხმებული მოქმედების სისტემის ფორმირება და მათი საქმიანობის კოორდინაცია;
3. სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგი და ეფექტურობის შეფასება;
4. სტრატეგიის განხორციელების პროცესში უწყებათაშორისი თანამშრომლობის გაძლიერება და სრულყოფა;
5. სტრატეგიის განხორციელებისათვის რესურსების მოძიება და მათი ეფექტური გამოყენების ხელშეწყობა;

<sup>17</sup> საქართველოს კანონში ნარკოტიკული საშუალებების ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების შესახებ ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპული ნივთიერების და პრეკურსორის ბრუნვა განძარტებულია, როგორც "ნარკოტიკული საშუალების ან ფსიქოტროპული ნივთიერების შემცველ მცენარეთა ჟულტივირება; ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპული ნივთიერების ან პრეკურსორის შექმნა, ნარმოება, მომზადება, გადამუშავება, შენახვა, გადაგზავნა, გადაზიდვა, გაცემა, რეალიზაცია, განაჩილება, შეძენა, გამოყენება, მოხმარება, განადგურება, იმპორტი, ექსპორტი, ტრანზიტი".

<sup>18</sup> საქართველოს კანონი საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ, თავი X, მუხლი 29.

## საქართველოს ანტირანგობის შემთხვევაში სტრატეგია

6. სტრატეგიის სისტემატიური რევიზია, გაუმჯობესება და შემდგომი საქმიანობის დაგეგმვა;
7. სიტუაციის ცვლილებაზე ოპერატორი რეაგირება, რეალმენტაციების შემუშავება და სათანალო ინსტანციებისათვის მიწოდება;
8. საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოება.

ნარკოპოლიტიკის მაჟორიტურულ ორგანოს (საბჭოს) ხელმძღვანელობს ქვეყნის პრემიერ-მინისტრი (თუკი საბჭო საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანო), ან ვიცე-პრემიერი (თუკი საბჭო პრემიერ-მინისტრთან შეიქმნება).

### საბჭოს ხელმძღვანელი:

1. განსაზღვრავს საბჭოს სხდომების ჩატარების დროსა და აღვილს;
2. წარმართავს სხდომებს;
3. ამტკიცებს სხდომის დღის წესრიგს;
4. ამტკიცებს საბჭოს გადაწყვეტილებებს;
5. წარმოადგენს საბჭოს შესაბამის ინსტანციებში;
6. იღებს გადაწყვეტილებებს ექსპერტების მოწვევის თაობაზე.

საბჭოს პერსონალურ შემადგენლობას წარადგენს პრემიერ-მინისტრი (ან, მეორე ვარიანტის შემთხვევაში, ვიცე-პრემიერი) და ამტკიცებს პრეზიდენტი (ან პრემიერ-მინისტრი).

### საბჭოს შემადგენლობა:

1. ნარკოპოლიტიკის ეროვნული კოორდინატორი (საბჭოს მდივანი);
2. პირველადი პრევენციის კოორდინატორი;
3. ნარკოლოგიური სამსახურების კოორდინატორი;
4. კოორდინატორი კანონმდებლობის საკითხებში;
5. საზოგადოებასთან და უცხოეთთან ურთიერთობის კოორდინატორი;
6. ძალისა სტრუქტურებთან ურთიერთობის კოორდინატორი;
7. რესურსების კოორდინატორი;
8. კვლევისა და მონიტორინგის კოორდინატორი;
9. ნარკოტიკების ლეგალურ ბრუნვაზე კონტროლის კოორდინატორი;

საქართველოს პროგრამის, აუდიტორულისა და სოციალური დაცვის სამინისტრო  
საქართველოს ანტინარკოტიკული სტრატეგია

---

---

### საბჭოს წევრების კომიტენცია

- ნარკოპოლიტიკის ეროვნული კოორდინატორი (საბჭოს მდივანი) პასუხიმგებელია შემდეგზე:
  1. საბჭოს ხელმძღვანელის არყოფნის შემთხვევაში მისი მოვალეობის შესრულება;
  2. საბჭოს სხლომების ორგანიზება;
  3. საბჭოს საქმიანობის კოორდინირება და სუპერვიზია სხლომებს შორის პერიოდში;
  4. საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულების უზრუნველყოფის ხელშეწყობა;
  5. საბჭოს მიერ შესრულებული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მომზადების პროცესის კოორდინირება.
- პირველადი პრევენციის კოორდინატორი პასუხიმგებელია შემდეგზე:
  1. პრევენციული მეთოდოლოგიებისა და მათი განხორციელების მექანიზმების სისტემის შექმნა;
  2. პრევენციული სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგი, შეფასება და შემდგომი სრულყოფა;
  3. ინოვაციური და ხარჯთ-ეფექტური პრევენციული პროგრამების შემუშავება და დანერგვა;
  4. ახალგაზრდების თავისუფალი დროის ორგანიზებისათვის პირობების შექმნა.
- ნარკოლოგიური სამსახურების კოორდინატორი პასუხიმგებელია შემდეგზე:
  1. წამალდამოქიდებულთა სამკურნალო და სარეაბილიტაციო პროგრამების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;
  2. ზიანის შემცირების პროგრამების ეფექტურობის ამაღლების ხელშეწყობა;
  3. სასჯელატსრულების დაწესებულებებში წამალდა-მოქიდებულთათვის ნარკოლოგიური დახმარებისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.

**საქართველოს ანტინარჩოტიკული სტრატეგია**

➤ **კოორდინატორი კანონმდებლობის საკითხებში პასუხიმგებელია შემდეგზე:**

1. ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებული ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის ეფექტურობის შეფასება და შემდგომი სრულყოფა;
2. შესაბამისი კანონპროექტებისა და სხვა ნორმატიული აქტების მომზადება;
3. არსებული საკანონმდებლო ბაზის საერთაშორისო ნორმებთან ჰამონიზაციის ხელშეწყობა.

➤ **საზოგადოებასთან და უცხოეთთან ურთიერთობის კოორდინატორი პასუხიმგებელია შემდეგზე:**

1. საზოგადოებასთან ინტენსიური კონტაქტი ინფორმაციის გავრცელებისა და საზოგადოების საჭიროებებისა და მოლოდინების შესწავლის მიზნით;
2. მოქალაქეთა ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინების უზრუნველყოფა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში;
3. მასობრივი მედია-კამპანიების დაგეგმვა და განხორციელება;
4. ნარკოტიკების მოხმარებასა და არალეგალურ ბრუნვასთან დაკავშირებული სამეცნიერო/სასწავლო/მეთოდური ლიტერატურისა და მედია-პროდუქციის ბანკის შექმნა;
5. შესაბამის უცხოეთ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავება;

➤ **ძალოვან სტრუქტურებთან ურთიერთობის კოორდინატორი პასუხიმგებელია შემდეგზე:**

1. უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებული დანაშაულის შემცირებისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ძალოვანი სტრუქტურების კოორდინირებული მოქმედების ეფექტური სტრატეგიის შემუშავება;
2. ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებული საკადრო და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის გაუმჯობესება;
3. სხვა ქვეყნების სამართალდამცავ ორგანოებთან კონტაქტების უზრუნველყოფა.

საქართველოს პროგრამის, აუდიტორული და სოციალური დაცვის სამინისტრო  
საქართველოს არტისტურობის სტრატეგია

---

➤ რესურსების კოორდინატორი პასუხიმგებელია შემდეგზე:

1. ანტინარკოტიკული სტრატეგიის განხორციელებისათვის ცენტრალურ და რეგიონულ ბიუჯეტებში მიზნობრივი დაფინანსების გამოყოფის ხელშეწყობა;
2. ფინანსების არასაბიუჯეტო წყაროებიდან მოზიდვის უზრუნველყოფა;
3. მიზნობრივი თანხების ხარჯვაზე მონიტორინგის განხორციელება.

➤ კვლევისა და მონიტორინგის კოორდინატორი პასუხიმგებელია შემდეგზე:

1. ანტინარკოტიკული სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგის სისტემის ინსტრუმენტების სრულყოფა;
2. მონაცემთა ბაზებისა და საინფორმაციო სისტემების შექმნა;
3. ნარკოტიკებთან დაკავშირებული სიტუაციის კვლევის პრიორიტეტებისა და პრიორიტეტების განსაზღვრა;
4. სისტემატიური კვლევების ორგანიზება და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

➤ ნარკოტიკების ლეგალურ ბრუნვაზე კონტროლის კოორდინატორი პასუხიმგებელია შემდეგზე:

1. ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების ლეგალურ ბრუნვასთან დაკავშირებული სტრატეგიის სრულყოფა;
2. ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების ლეგალურ ბრუნვასთან დაკავშირებული საქმიანობის მონიტორინგის ეფექტური მექანიზმის შემუშავება.

ნარკოპოლიტიკის რეგიონული კოორდინატორის კომპეტენცია

➤ ნარკოპოლიტიკის რეგიონული კოორდინატორი პასუხიმგებელია შემდეგზე:

1. რეგიონში ანტინარკოტიკული სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგი და ეფექტურობის შეფასება;
2. ადგილობრივი სიტუაციის გათვალისწინებით პრიორიტეტებისა და საჭიროებების განსაზღვრა და


**საქართველოს ანტირენალიური სტრუტური**

- 
- ეროვნული მაჟოორილინირებელი ორგანოსათვის  
რეესტრირების მიწოდება;
3. ანტირენალიური ლონისძიებების განხორციელების  
პროცესში ადგილობრივი მთავრობის ინიციატივების  
ხელშეწყობა.


**საქართველოს სამინისტრო  
საქართველოს არტისტურიული სტრუქტური**

7.3. ወጪዎችን ምንምዕስተኛውን በኋላ ተከራክር ነው ማሸጋል

ବୁଲିଯାଣ୍ଡି ।



၃၁၉၀၁၆၀



საქართველოს პროგრამის, ჯანმრთელობისა და სოციალური ფაციის სამინისტრო  
საქართველოს აწინარეობისა და სტრატეგია

---

---

## 8. პროგრამის ფაზის სახელის წყაროები

სტრატეგიის რეალიზაციის ფინანსური უზრუნველყოფა მოხდება ფედერალური და ადგილობრივი ბიუჯეტებითან გამოყოფილი, სპონსორული და საქველმოქმედო დახმარებით მიღებული თანხების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და კერძო პირების სახსრების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საზღვარგარეთის ქვეყნების მიერ გამოყოფილი ფინანსური და ტექნიკური დახმარების ხარჯზე. მიზანშეწონილად მივაჩნია სტრატეგიის განსახორციელებლად სპეციალური სახელმწიფო არასაბიუჯეტო ფონდის შექმნა.

სტრატეგიის ძირითადი მიმართულებების დაფინანსების მუდმივ წყაროებს მიეკუთვნება:

- ცენტრალური ბიუჯეტი;
- ადგილობრივი ბიუჯეტები;
- სპეციალური ფონდები

სტრატეგიის ძირითადი მიმართულებების დაფინანსების დამატებით წყაროებს მიეკუთვნება:

- სამეცნიო, პროფილაქტიკური და სხვა პროექტების განხორციელებისათვის გამოყოფილი გრანტები;
- საზოგადოებრივი ფონდების სუბსიდიები;
- კერძო ინვესტიციები;
- საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი თანხები.

საქართველოს მრიანი, აუდიტორული და სოციალური დაცვის სამინისტრო  
საქართველოს არტისტურული კოდიჩალი სტრატეგია

### 9. სამოწმო გეგმა

N	ლონისძიებათა ჩამონათვალი	პასუხისმგებელი უწყება	განხორცი-ელების ვალი	ძირითადი შედეგები
<b>1. ორგანიზაციული ღონისძიებები</b>				
1.1.	ეროვნული მაჟოორი-ფინირებელი ორგანიზოს - ნარკოპოლიტიკის საბჭოს შექმნა	საქართველოს მთავრობა	2006	არსებობს მაჟოორიტული ორგანო, რომლის მიზანია ეფუძნობი უწყებათაშორისი კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა
1.2.	ნარკოპოლიტიკის საბჭოს მიერ ანტი-ნარკოტიკული სტრატეგიის რეალიზაციის კოორდინირება	ნარკოპოლიტიკის საბჭო	2006-2010	საქართველოს ანტინარკოტიკული სტრატეგიის მთელი ქვეყნის მასშტაბით განხორციელებას კოორდინირებას უზრუნველყოფის საბჭო
1.3.	სტრატეგიის განსახორციელებლად სახელმწიფო არასაბიუჯეტო ფონდის შექმნა	საქართველოს მთავრობა	2006	ხდება სტრატეგიის განხორციელების ფინანსური უზრუნველყოფა
<b>2. სამართლებრივი რეგულირება</b>				
2.1.	საქანონმდებლო და სხვა ნორმატულ-სამართლებრივი ბაზის სისტემატიკი ანალიზი რეალურ სიტუაციასთან შესაბამისობის შეფასებისა და შემდგომი სრულყოფის მიზნით	ნარკოპოლიტიკის საბჭო, იუსტიციის სამინისტრო, შსს, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	2006-2010	სისტემატიკურად ხდება საქანონმდებლო ბაზის სრულყოფა
<b>3. ნაკაობივაბის მოხარების პირველადი პრევენცია</b>				
3.1.	ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფსიქოაქტური ნივთიერებების მოხმარების პირველადი პრევენციის შექმნა	განათლების სამინისტრო, საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი, არასამთავრობო ორგანიზაციები	2006	ქვეყანაში არსებობს პირველადი პრევენციის ერთიანი კონცეფცია
3.2.	განათლების სამინისტროს მიერ კონცეფციის დამტკიცება	განათლების სამინისტრო	2006	არსებობს სამუშაო დოკუმენტი, რომლის საფუძვლზეც შეიქმნება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში წამალდამოქიდებულების პრევენციის ეროვნული პროგრამა.
3.3.	ქვეყნის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ნარკოტიკების	განათლების სამინისტრო	2006	სასკოლო გარემოში იქმნება ისეთი სოციო-კულტურული აქტოსთვერი, რომელიც ხელს

**საქართველოს ანტინარკოტიკული სტრატეგია**

N	ლონისძიებათა ჩამონათვალი	პასუხისმგებელი უწყება	განხორცი- ელების ვადა	ძირითადი შედეგები
	თან დაქავშირებული პოლიტიკის შექმნის უზრუნველყოფა			შეუწყობს მოსწავლეებში ნარ- კორდიკების მოხმარებისაღმი აქტიურად ნეგატიური პოზიციის ჩამოყალიბებას.
3.4.	პრევენციული განათ- ლების დანერგვა სა- ქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში	განათლების სამინისტრო	2007	შეიქმნა ერთიანი, მრავალსა- ფეხურიანი ანტინარკოტიკული აღზრდის სისტემის კიდევ ერთი რეოლი
3.5.	პრევენციული განათ- ლების დანერგვა სა- ქართველოს სუო- ლამდელ დაწესებუ- ლებებში	განათლების სამინისტრო	2008	ფასრულად ერთიანი, მრა- ვალსაფეხურიანი ანტინარკო- ტიკული აღზრდის სისტემის შექმნა
3.6.	თემზე ორიენტირე- ბული პრევენციული პროგრამების შექმნა და იმპლემენტაცია	ადგილობრივი მმართველობის ორგანოები, ყველა დაინტერესებული უწყება, არასამთავ- რობო ორგანიზა- ციები	2006-2010	ნარკომანიის პრობლემის მო- გვარებაზე ზრუნვა ადგილო- ბრივი და რეგიონული სოცია- ლური პოლიტიკის სტრატეგიის შემადგენელი ნაწილი გახდა
3.7.	ნარკოტიკების მოხ- მარების პრევენცია სამუშაო აღგილებზე	ყველა დაინტერესე- ბული უწყება/ორგა- ნიზაცია	2006-2010	იქმნება ნარკოტიკებისაგან თა- ვისუფალი სამუშაო აღმოსაფეხური
<b>4. სამატემოადგენლო პირთა გაურღოვობა და რეაბილიტაცია</b>				
4.1.	ნარკოტიკების მომ- ხმარებელთა სკრინინგი, შეფასება და დიაგნოსტიკება პირველადი ჯან- დაცვის სისტემის ექი- მების მიერ	შრომის, ჯანმრთე- ლობისა და სოცია- ლური დაცვის სამი- ნისტრო	2006-2010	იზრდება დაავადების დაცები- თი დინამიკისა და კეთილსა- მედო პროგნოზის ალბათობა
4.2.	გადაუდებელი ნარ- კოლოგიური დამა- რების უზრუნველყოფა	შრომის, ჯანმრთე- ლობისა და სოცია- ლური დაცვის სამი- ნისტრო, ნარკო- ლოგიის სამეცნიე- რო-კვლევითი ინს- ტიტუტი	2006-2010	უმჯობესედება ნარკოლოგიური მომსახურების ხარისხი
4.3.	სპეციალიზირებული ნარკოლოგიური კლინიკების ქსელის განვითარების ხელშეწყობა	შრომის, ჯანმრთე- ლობისა და სოცია- ლური დაცვის სამი- ნისტრო, ნარკო- ლოგიის სამეცნიე- რო-კვლევითი ინს- ტიტუტი, არასამთავ- რობო ორგანიზა- ციები	2006-2010	უმჯობესედება ნარკოლოგიური მომსახურების ხარისხი
4.4.	საქართველოს რეგი- ონებში ნარკომანიის	შრომის, ჯანმრთე- ლობისა და სოცია-	2006-2010	უმჯობესედება ნარკოლოგიური

საქართველოს პროგრამის, აუდიტორული და სოციალური დაცვის სამინისტრო  
საქართველოს ენტინარქოტიკული სტრატეგია

N	ღონისძიებათა ჩამონათვალი	პასუხისმგებელი უწყება	განხორცი-ელების ვადა	ძირითადი შედეგები
	გაურცელებაზე რეაგირების გაძლიერება სამხა-რეო ნარკოლოგი-ური სამსახურების ქმედითუნარიანობის გაზრდის გზით	ლური დაცვის სამი-ნისტრო, ადგილო-ბრივი მმართვე-ლობის ორგანო-ები		მომსახურების ხარისხი
4.5.	ნარკომანთა სარეა-ბილიტაციო სისტემის შექმნა	შრომის, ჯანმრთე-ლობისა და სოცია-ლური დაცვის სამი-ნისტრო, ნარკოლ-ოგის სამეცნიე-რო-კულტური, არასამთა-ვრობო  ორგანიზა-ციები	2006-2010	ხდება ნარკოტიკზე დამოკი-დებულ პირთა ჯანმრთელობის ზიანის შემცირებისა და საზოგადო-ებაში მათი ინტეგრაციის ხელ-შეწყობა
4.6.	არასრულწლოვანთა ნარკოლოგიური დახმარების სისტემის განვითარება	შრომის, ჯანმრთე-ლობისა და სოცია-ლური დაცვის სამი-ნისტრო, ნარკო-ლოგის სამეცნიე-რო-კულტური, არასამ-თავრობო  ორგანიზა-ციები	2006-2010	უმჯობესდება ბავშვთა და მო-ზარდობა ნარკოლოგიური მომსახურება
4.7.	ტოქსიკურ ნივთიერე-ბათა მომხმარებელ მზრუნველობას მოქ-ლებულ ბავშვთა და მოზარდობა კონსულ-ტირება და თერაპია	შრომის, ჯანმრთე-ლობისა და სოცია-ლური დაცვის სამი-ნისტრო, ნარკო-ლოგის სამეცნიე-რო-კულტური, არასამ-თავრობო  ორგანიზა-ციები	2006-2010	უმჯობესდება ბავშვთა და მო-ზარდობა ნარკოლოგიური მომსახურება
4.8.	არასრულწლოვან ნა-მალ-დამოკიდებულთა რეაბილიტაციის სამ-სახელის შექმნა და განვითარება	შრომის, ჯანმრთე-ლობისა და სოცია-ლური დაცვის სამი-ნისტრო, ნარკო-ლოგის სამეცნიე-რო-კულტური, არასამ-თავრობო  ორგანიზა-ციები	2006-2010	უმჯობესდება ბავშვთა და მო-ზარდობა ნარკოლოგიური მომსახურება
<b>5 ღარების მოხარული გამოწვევები ზიანის ზამოირაზე</b>				
5.1.	ზიანის შემცირების პროგრამების დანერგვა მთელი ქვეყნის მასშტაბით	შრომის, ჯანმრთე-ლობისა და სოცია-ლური დაცვის სამი-ნისტრო, არასამ-თავრობო  ორგანიზა-ციები	2006-2010	მცირდება ნარკოტიკების მოხ-მარების თანმხლები პრობლემები
5.2.	საქართველოს პენი-ტენციალურ სისტემაში აივ/შიდსის ეპიფემიის გავრ-	იუსტიციის სამინის-ტრო, შრომის, ჯან-მრთელობისა და სოციალური დაც-	2006-2010	სასჯელალსრულების დაწესებულებებში აივ/შიდსის გავრცელების პრევენცია

**საქართველოს ანტინარჩოტიკული სტრატეგია**

N	ლონისძიებათა ჩამონათვალი	პასუხისმგებელი უწყება	განხორცი -ელების ვადა	ძირითადი შეფეხები
	ცელების შეზღუდვი-საჟენ მიმართული ლონისძიებების გატარება	ვის სამინისტრო, არასამთავრობო ორგანიზაციები		
<b>6. არალეგალური ნაკაოტიკაბის მოწოდების შემცირება</b>				
6.1.	ნარკოტიკის უკანონო ბრუნვასთან ბრძოლის სფეროში სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვისა და საკადრო უზრუნველყოფა	შსს, თავდაცვის სამინისტრო, საზოგადოებრივის დაცვის დაწარტყმის სამსახური	2006-2010	ნარკოტიკის უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებული დანაშაულის შემცირებისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობა
6.2.	ნარკოტიკის კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება	შსს, საზოგადოებრივის დაცვის დაწარტყმის სამსახური	2006-2010	ხდება სასაზღვრო და საბაჟო სამსახურების მოწოდებისაციულ-საკადრო და ტექნიკური გაძლიერება
6.3.	ქვეყანაში პრეეკურსორების მოძრაობაზე სახელმწიფოს მიერ ქმედითი კონტროლის განხორციელება	შსს, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ყველა დაინტერესებული უწყება	2006-2010	შეიქმნა პრეეკურსორების წარმოებაზე, რეალიზაციაზე, ექსპორტსა და იმპორტზე უწყებათაშორისი კონტროლის სიტემა
6.5.	დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების დაუგალიზებასთან (ფულის „გათეთრება“) ბრძოლის სტრატეგიის შემუშავება და რეალიზაცია	შსს, ფინანსთა სამინისტრო	2006-2010	ნარკოტიკის უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებული დანაშაულის შეფეხად მიღებული ფულის „გათეთრებაზე“ პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით შეიქმნა სამართლებრივი ბაზა
6.6.	სხვა ქვეყნების სამართალდამცავ ორგანებთან კონტაქტების უზრუნველყოფა	შსს, საგარეო საქმეთა სამინისტრო	2006-2010	მოხდება უცხოეთის, და განსაკუთრებით, მეზობელი ქვეყნების სამართალდამცავ და სპეციალურ სამსახურებთან თანამშრომლობის გაფართოება და გალრმავება
<b>7. პროფესიული კადრების მოზადება</b>				
7.1.	სკოლის პრესონალისათვის ტრეინინგ-პროგრამების მოზადება, განხორციელება	განათლების სამინისტრო	2006-2010	ასებობს პრევენციის სპეციალისტები
7.2.	ნარკომანის პრევენციის კურსის ჩასმა მასწავლებლების გადამზადების კურიკულუმში	განათლების სამინისტრო	2006	ასებობს პრევენციის სპეციალისტები

საქართველოს პროგრამის, აკრებულობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო  
საქართველოს ერთიანი კოტიკული სტრუქტური

N	ლონისძებათა ჩამონათვალი	პასუხისმგებელი უწყება	განხორცი-ელების ვადა	ძირითადი შედეგები
7.3.	ნარკოტიკებთან დაკავშირებულ საკითხებში სკოლის კოორდინატორების მომზადება	განათლების სამინისტრო	2006-2010	არსებობს ნარკოტიკებთან დაკავშირებული სკოლის ვოლიტერის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები
7.4.	ნარკოლოგიური სამსახურების მუშაյების (ნარკოლოგების ფსიქოლოგების, მედიცინის, რეაბილიტოლოგების) პროფესიული ფონის ამაღლება	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	2006-2010	ნარკოლოგიური სამსახურები უზრუნველყოფილია მაღალ-პროფესიული კადრებით
7.5.	სოციალური მუშაქების /კონსულტატორის მომზადება	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	2006-2010	შეიქმნა სოციალური მუშაქების ინსტიტუტი
7.6.	პირველადი ჯანდაცვის სფეროს მუშაქების სწავლება	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	2006-2010	ოჯახის ექიმები აღჭურვილია აუცილებელი ცოდნით
7.7.	ნარკოტიკების უკანონობრუნვის წინააღმდეგ მებრძოლი სამსახურების თანამშრომელთა პროფესიული ფონის ამაღლება	შსს, პოლიციის აკადემია	2006-2010	ნარკოტიკების უკანონობრუნვის წინააღმდეგ მებრძოლი სამსახურები უზრუნველყოფილია მაღალპროფესიული კადრებით
7.8.	პროფესიული მომზადების მეთოდური ცენტრის შექმნა	ყველა დაინტერესებული უწყება	2007	არსებობს ცენტრი, რომელიც პასუხისმგებელია შესაბამისი საგანმანათლებლო სტანდარტების შემუშავებაზე და კოორდინირებას უწევს პროფესიული კადრების მომზადების პროცესს
<b>8 საზოგადოებრივი ეფექტური კომუნიკაცია</b>				
8.1.	სწორად გათვლილი, კომპეტენტური, გეგმაზომიერი, სისტემატიკური საინფორმაციო კამპანიის დაგეგმვა და განხორციელება	ნარკოპოლიტიკის საბჭო	2006-2010	ხდება საზოგადოების გააქტიურება და ჩართვა პრობლემის მოვარეების საქმეში
8.2.	მედიის წარმომადგენელთა სწავლება	ნარკოპოლიტიკის საბჭო	2006-2010	უკრნალისტებმა იციან, როგორ გააშუქონ ნარკომანის პრობლემები
8.3.	ნარკოტიკების მოხმარებასა და არალეგალურ ბრუნვასთან	ნარკოპოლიტიკის საბჭო	2006	არსებობს საინფორმაციო ბანკი

**საქართველოს ანტირაოტიკული სტრატეგია**

N	ლონისძიებათა ჩამონათვალი	პასუხისმგებელი უწყება	განხორცი- ელების ვადა	ძირითადი შეფეხები
	ფაქავშირებული სამეცნიერო/სასწავ- ლო/მეთოდური ლიტერატურისა და მეცნია-პროფესიის ბანქის შექმნა			
<b>9. საერთაშორისო თანამშრომლობა</b>				
9.1.	ევროპის ნარკოტიკუ- ბისა და ნარკომანიის მონიტორინგის ცენტრთან (MCDDA) თანამშრომლობის გაღმავება	შრომის, ჯანმრთე- ლობისა და სოცია- ლური დაცვის სამი- ნისტრო, შსს, საგა- რეო საქმეთა სამი- ნისტრო, ნარკოტი- კების ობსერვატო- რია	2006-2010	ქვეყანაში იქმნება ევროპული სტანდარტების შესაბამისი ნარკოტიკების საინფორმაციო სისტემა
9.2.	საქმიანობათა კო- ორდინაცია პომპილუს ჯგუფთან და ევროსაბჭოსთან	შრომის, ჯანმრთე- ლობისა და სოცია- ლური დაცვის სამი- ნისტრო, შსს, საგა- რეო საქმეთა სამი- ნისტრო	2006-2010	საერთაშორისო თანამშრომ- ლობის გაძლიერება
9.3.	ნარკოტიკებზე კონ- ტროლისა და ნარ- კომანიის გავრცელე- ბასთან ბრძოლის განხრით სხვა სახელმწიფოებთან ორმხრივი და მრავალმხრივი ხელ- შეკრულებებისა და შეთანხმებების დაფების პრაქტიკის გაგრძელება	შრომის, ჯანმრთე- ლობისა და სოცია- ლური დაცვის სამი- ნისტრო, შსს, საგა- რეო საქმეთა სამი- ნისტრო	2006-2010	საერთაშორისო თანამშრომ- ლობის გაძლიერება
9.4.	ფონორებთან და სა- ერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა	ყველა დაინტერეს- ებული უწყება	2006-2010	მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის მოპოვება უზრუნველყოფს სტრატეგიის ნარმატულით განხორციელებას
<b>10. მონიტორინგი და ჟალება</b>				
10.1.	მონაცემთა ბაზებისა და საინფორმაციო სისტემების შექმნა და განვითარება	ყველა დაინტერეს- ებული უწყება	2006-2010	მონიტორინგის სისტემის ინს- ტრუმენტების სრულყოფა
10.2.	ეპიდემიოლოგიური და სოციოლოგიური ჟალების ზედამხედ- ველობის სისტემის შექმნა	შრომის, ჯანმრთე- ლობისა და სოცია- ლური დაცვის სამი- ნისტრო, ნარკოტი- კების ობსერვატო- რია	2006-2010	ნარკოსიტუაციის შეფასება, ცვლილებებზე ოპერატორი რეაგირების უზრუნველყოფა
10.3.	ნარკომანიის პრევენ- ციის, მყურნალობა- ს	შრომის, ჯანმრთე- ლობისა და სოცია-	2006-2010	უმჯობესეფება ნარკოლოგიური

საქართველოს მრიანის, აუდიტორულისა და სოციალური დაცვის სამინისტრო  
საქართველოს ანტინაკაოტიკული სტრატეგია

N	ღონისძიებათა ჩამონათვალი	პასუხისმგებელი უწყება	განხორცი-ელების ვადა	ძირითადი შედეგები
	რეაბილიტაციის, ზიანის შემცირების ახალი მეთოდების მოძიება, ადაპტირება და დანერგვა	ლური დაცვის სამინისტრო		მომსახურების ხარისხი
10.4.	ქვეყანაში ნარკოტიკებთან და ავტომატული სიტუაციის უოველნოების ანალიზი	ყველა დაინტერესებული უწყება	2006-2010	მონიტორინგის სისტემის ინსტრუმენტების სრულყოფა
10.5.	მეზობელ ქვეყნებში სიტუაციის ანალიზი	ყველა დაინტერესებული უწყება	2006-2010	ცვლილებებზე ოპერატორის რეაგირება და სათანალო რეკომენდაციების შემუშავება
10.6.	პრესის ანალიზი	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ნარკოტიკების აღსრუვაბორია	2006-2010	სათანალო რეკომენდაციების შემუშავება

საქართველოს პროგრამის, ჯანმრთელობისა და სოციალური ფაციის სამინისტრო  
საქართველოს აწინარებისა და სტრუქტურის

დანართი 1

როგორია საზოგადოების დამოკიდებულება ნარიომანის  
პროგრამისადმი

რაოდენობრივი ჰალევის ანგარიში

თბილისი  
2005

სახელმწიფო ნარიოპოლიტიკის განმსაზღვრელი საბჭოს ამოცანაა, შექმნას საქართველოს ანტინარიკიული სტრატეგიის ეფექტური, ლოგიკური, მრავალმხრივი, მოქნილი და დემოკრატიული პრინციპების შესაბამისი კონცეფცია, და, ამავე დროს, სტრატეგია უნდა იყოს საზოგადოებისათვის გასაგები და მისაღები.

ანტინარიკიული კონცეფციის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია ამ საქმიანობაში ჩართული სუბიექტების (უწყებები, ორგანიზაციები და სხვა აქტიური ჯგუფები) საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგია.

ეს ურთიერთობა ერთ ხერხემალზე უნდა იყოს ასემული: მისი თითოეული ნაწილი არ უნდა ენინაალმდეგებოდეს, როგორც სხვა დანარჩენ ნაწილებს, ასევე ურთიერთობის მთლიან სტრატეგიასაც, უფრო მეტიც, აუცილებელი არ არის, თითოეული კომპონენტის საზოგადოებასთან ურთიერთობას ჰქონდეს დასრულებული და ყოვლისმომცველი სახე, აუცილებელია, მთლიანმა სტრატეგიამ მიაღწიოს მიზანს. საზოგადოებასთან ურთიერთობის წარმატებელი სტრატეგიის განსასაზღვრავ კი არა მარტო ურთიერთობის სუბიექტის (აქტიური ნაწილი) კარგად ცოდნაა საჭირო, არამედ ობიექტისაც (საზოგადოება).

ნარიომანის პრობლემისადმი საზოგადოების დამოკიდებულების შესასწავლად გადავწყვიტეთ რაოდენობრივი ჰალევის ჩატარება.

ჰალევა დაიგეგმა და ჩატარდა 2005 წლის სექტემბრის თვეში.

კითხვანის შედეგნისას გამოიყო მნიშვნელოვანი საკითხები: ნარიომანის, როგორც პრობლემის რიგითობა სხვა პრობლემებთან მიმართებაში და მდგომარეობის ცვლილება ბოლო ერთი წლის განმავლობაში; ბოლო ერთი წლის განმავლობაში ყველაზე წარმატებელ და ყველაზე წარმატებულ საკითხთან შეჯიდული მსჯელობების გამოყოფა; პრობლემის მოვარეობაში საზოგადოების ჩართვის მზაობა და ჩართვის ტიპი; საზოგადობის ინტერესი და ცოდნით კმაყოფილება; ნარიომანის მიერთვნებულობის ხარისხი სხვადასხვა შინაარსებთან ("ნარიომანის ხატი", ანუ როგორია საზოგადოებაში წარმოდგენა ნარიომანის შესახებ);

საქართველოს პროგრამის, აუდიტორული და სოციალური დაცვის სამინისტრო  
საქართველოს ანტიცარიკონტრაული სტრატეგია

---

ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო როგორც მთლიანად თბილისის მოსახლეობის აზრის გაგება, ასევე კონკრეტულ კატეგორიებში შექმნილი წარმოდგენები. ამიტომ, რესპონდენტების ჯგუფებად დაყოფა მოვახდინეთ სქესის, ასაკის, საცხოვრებელი აღგილის მიხედვით.

### დასავალი და რეალური დაცვის:

**1. დასკვნა:** საქართველოსთვის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა უმუშევრობა, ჯარის გაძლიერება, მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვა, მოსახლეობას გამოყვეთილი, ერთმნიშვნელოვანი აზრი გააჩნია, ნარკომანიის პრიორიტეტულობის შესახებ კი მოსახლეობის აზრი არაერთგვაროვანია.

**რეკომენდაცია:** საჭიროა მუშაობა ნარკომანიის შესახებ ერთგვაროვანი აზრის ჩამოსაყალიბებლად. ჩვენი ქვეყნის მდგომარეობის გათვალისწინებით, ის შეიძლება პრიორიტეტებში პირველ ადგილზე არ იდგეს, მაგრამ აზრის ერთიანობა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საზოგადოების ჩართვას და მისი მხრიდან როგორც ხარისხობრივად, ასევე თვისობრივად ერთმნიშვნელოვანი მხარდაჭერის მოპოვებას ანტინარკოტიკულ ქმედებებში.

**2. დასკვნა:** გამოყითხულთა უმრავლესობა ეთანხმება მოსაზრებას: „საქართველოში ბოლო ერთი წლის განმავლობაში ნარკომანიის საკითხთან მიმართებაში სიტუაცია მნიშვნელოვნად გაუარესდა“. მნიშვნელოვნად გაუარესებული და, ამავე დროს, თავისი ბუნებით მწვავე საკითხი, მოსახლეობის მიერ ნაწარმოებ პრობლემად აღიქმება, რაც იმას ნიშნავს, რომ ნარკომანიის პრობლემის გამწვავება შედეგია სხვა სოციალური თუ მატერიალური პრობლემებისა.

### რეკომენდაცია:

- ნარკომანიას, როგორც საზოგადოებისათვის საშიშ და, შესაბამისად, სახელმწიფოსთვის საფრთხის მქონე პრობლემას, საზოგადოებრივ კოგნიტურ სივრცეში საკუთარი პოზიცია უნდა ჰქონდეს, იგი გამოცალავებული უნდა იყოს სხვა პრობლემებისაგან, იქნება ეს სოციალური, მატერიალური, სულიერი, კულტურული თუ სხვა სახის პრობლემები.
- საჭიროა საზოგადოებასთან რაციონალური კომუნიკაცია, რათა გასაგები გახდეს, რომ საჭიროა უშუალოდ ნარკომანიასთან ბრძოლა და სხვა პრობლემების აღმოფხვრით ნარკომანიას თავისთავად არ მოევლება. მეტიც, თუ დროზე არ მივხედავთ ამ პრობლემურ საკითხს, არსებული აზრი განმტკიცდება და საზოგადოება ყოველთვის მოახერხებს, იპოვოს ისეთი მიზეზი, რომლის არსებობაც გაამართლებს ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის უზრუნველყოფას.

საქართველოს პროგრამის, ჯანმრთელობისა და სოციალური ფაციის სამინისტრო  
**საქართველოს აწინარებისა და სტრატეგიული სტრატეგია**

---

**3. დასკვნა:** გამოკითხულთა უმრავლესობა თვლის, რომ ნარკომანიის პრობლემას საზოგადოებამ უნდა მიხედოს. მეტიც, საზოგადოება ვალდებულია მიხედოს ამ პრობლემას.

**4. დასკვნა:** გამოკითხულები ცდილობენ, ნეგატიური თვისებები მიაწერონ ნარკომანს და გაურბიან პოზიტიური თვისებებით დახასიათებას, ხოლო სხვა შემთხვევაში, ანუ თუ ნეგატიურის მიწერა ძნელდება, მაშინ ირჩევენ ნეიტრალურ ქულას, ანუ მათი აზრით, ეს თვისება დამოუკიდებელია ნარკომანობისგან.

**5. დასკვნა:** საზოგადოებაში არ მიმდინარეობს მსჯელობა ამ საკითხზე, ხოლო არმსჯელობის ძირითადი მიზეზი საკითხის ტაბუირებაა ხოლმე. თემა კი, თუნდაც ნარკომანიის მასშტაბებიდან გამომდინარე, პოპულარული უნდა იყოს და არის კიდეც. მაშინ, რატომ არ მიმდინარეობს მსჯელობა? ამის ერთადერთ მიზეზად ინფორმაციის ანუ სამსჯელო მასალის დეფიციტია, რომელიც მიღებული შაბლონით და „გაუკულმართებული ცხოვრების“, „დალუპული გენიოსის“ და მისთანანის კონკრეტული მაგალითებით შემოიფარგლება.

**რეკომენდაცია:** მრავალფეროვან მასალის მიწოდება თავისთავად არ ხსნის ამ პრობლემას. საჭიროა იმ ემოციურ-რაციონალური ჩარჩოს მონახვა, რომელიც გამოყოფილ ალგილს, პოზიციას დაიკავებს საზოგადოების კოგნიტურ სივრცეში.

### ავტორის მიზანი:

ნარკომანიის პრობლემის მოგვარებასთან მიმართებაში საზოგადოების მოლოდინებისა და მზაობის კვლევა.

### ავტორის ამოცანები, დადგინდეს:

1. რამდენად აქტუალურად მიიჩნევს საზოგადოება ნარკომანიის პრობლემას;
2. რამდენად მისალები იქნება საზოგადოებისათვის ჩვენს მიერ არჩეული სტრატეგიები და მიღვომები;
3. როგორია საზოგადოების დამოკიდებულება ნარკომანის მიმართ.

საქართველოს პროგრამის, აუდიტორული და სოციალური დაცვის სამინისტრო  
საქართველოს არტისტურისტიკული სტრატეგია

---

### კვლევის მთავრი:

კვლევა ჩატარდა სტრუქტურირებული კითხვარით (იხ. დანართი 2), რომელიც შედგა თვისობრივი კვლევის, ასევე ამ სტეროტიპი მომუშავე სპეციალისტებთან კონსულტაციის და ანტიარქოტიკული საბჭოს შეკრებებზე დასმული ამოცანების საფუძველზე. სტრუქტურირებული კითხვარი დაიხვეწა წინასწარი მოყლე გამოყითხვებისა და სოციოლოგიური კვლევების სპეციალისტებთან კონსულტაციის გზით.

### გამოკითხვის ჩატარების თავისებურებები

#### კითხვა 1

მიზნად ისახავდა ნარკომანის პრობლემის რანგის დადგენას, ანუ იმის გარევევას, თუ რომელ ადგილზე მოსახლეობის აზრით ეს პრობლემა. მართალია, აქ არ არის ჩამოთვლილი ყველა ის პრობლემა თუ აქტუალური საკითხი, რომელიც ჩვენი საზოგადოების წინაშე დგას, მაგრამ ექსპერტების აზრით, აქ მოყვანილია ის აუცილებელი სიმრავლე, რომელიც რეალურ სურათს მოგვცემს. ამის დასაბუთებად შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ სხვა პასუხები ან საერთოდ არ გვქონდა, ან ისეთი კონკრეტული იყო, რომ არ შეიძლებოდა, საზოგადო პრობლემად მიგვეჩნია.

#### კითხვა 2

გვიჩვენებს გამოყითხულთა აზრით ჩამოთვლილ საკითხებთან მიმართებაში სიტუაციის გაუარესება-გაუმჯობესების მხრივ ცვლილებას. თავისთავად, ნარკომანის გარდა, სხვა საკითხების შესახებ ინფორმაცია ჩვენთვის დიდად საინტერესო არ იყო, მაგრამ მოგვეცა საშუალება, კითხვა 1-თან და კითხვა 3-თან და 4-თან კომბინაციაში დაგვეფგინა ყველაზე წარუმატებელი და ყველაზე წარმატებული მიღვომები, მსჯელობები, სტრატეგიები საზოგადოებისათვის აქტუალური და პრობლემური საკითხების გადაჭრიისას.

#### კითხვა 3

ამ კითხვაზე პასუხი ასე მიიღება: კითხვა 2-ზე გაცემული პასუხების საშუალებით, ვიღებთ მნიშვნელოვნად გაუარესებულ პრობლემურ საკითხებს, შემდეგ ვნახულობთ, კითხვა 1-ზე გაცემული პასუხებიდან რომელია დანარჩენებზე უფრო პრიორიტეტული (ნარკომანიის გარდა) და რესპონსურნებს ვთხოვთ, ჩამოთვლილი ვარიანტებიდან დასახელოს ის ძირითადი ხეთი მიღვომა, რომელიც გამოყენებული იქნა ამ

## საქართველოს ანტინარკოტიკული სტრატეგია

პრობლემურ საქითხთან მიმართებაში. ამ მეთოდით ჩვენ დავადგინეთ მოსახლეობის აზრით წარუმატებლობასთან ასოცირებული სტრატეგიებისა თუ მიღების რანგირებული ნუსხა.

### კითხვა 4

ამ კითხვაზე პასუხი ასე მიიღება: კითხვა 2-ზე გაცემული პასუხების საშუალებით, ვიღებთ მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულ პრობლემურ საქითხებს, შემდეგ ვნახელობთ, კითხვა 1-ზე გაცემული პასუხებიდან რომელია დანარჩენებზე უფრო პრიორიტეტული (წარკომანიის გარდა) და რესპონძენტს ვთხოვთ, ჩამოთვლილი ვარიანტებიდან დაასახელოს ის ძირითადი ხეთი მიღებისა, რომელიც გამოყენებული იქნა ამ პრობლემურ საქითხთან მიმართებაში. ამ მეთოდით ჩვენ დავადგინეთ მოსახლეობის აზრით წარმატებასთან ასოცირებული სტრატეგიებისა თუ მიღების რანგირებული ნუსხა.

### კითხვა 5

ამ კითხვაზე პასუხები საშუალებას გვაძლევს, დავადგინოთ, რესპონძენტების აზრით, რა სტრატეგიით თუ მიღების ბორცვიელება წარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლა და, შესაბამისად, ეს გზები რასთან ასოცირდება: წარუმატებლობასთან თუ წარმატებასთან.

### კითხვა 6

წარმოადგენს სკალას 1-დან 5-მდე, სადაც 1 ინფორმაციულ ვაკუუმს გულისხმობს, ხოლო 5 - ვალდებულებას, სრულყოფილად ერკვეოდეს ამ საქითხებში.

### კითხვა 7

წინა კითხვის მსგავსად, სკალა, თუმცა 1-დან 3-მდე, და გვიჩვენებს მოქალაქის აქტივობის ხარისხს გამოყითხულთა აზრით. 1 ნიშნავს, რომ მოქალაქემ მოთმინებით უნდა აიდანოს, რაც ხდება და მხოლოდ ხელისუფლებას მიანდოს პრობლემის მოვარება, ხოლო 3 - მოქალაქე აქტიურად უნდა იყოს ჩართული ამ საქმიანობაში.

### კითხვა 8

გვიჩვენებს, პირადად რესპონძენტი რამდენადაა დაინტერესებული წარკომანიასთან დაკავშირებული საქითხებით.

საქართველოს პროგრამის, აუდიტორულისა და სოციალური დაცვის სამინისტრო  
საქართველოს ანტინარკოტიკული სტრატეგია

---

---

### კითხვა 9

გვიჩვენებს, რამდენად და კარგი არის მაყოფილებულია რესპონსის ინტერესი.

ეს ოთხი კითხვა (6-9) ერთმანეთთან კომბინაციაში საშუალებას გვაძლევს, დავადგინოთ, გულწრფელია თუ არა რესპონსის ინტერესი: როდესაც მოქალაქეზე ან საზოგადოებაზე ვესაუბრებით, რესპონსი ამ ცნებებს რაღაც აბსტრაქტულად წარმოიდგენს, თუ საკუთარ თავსაც მიიჩნევს საზოგადოების წევრად და მოქალაქედ.

### კითხვა 10

ეს კითხვა შედგება ათი სკალისაგან. თითოეულ სკალაზე მოცემულია პიროვნების მახასიათებლები. სკალები 9 ქულიანია: 1-ს შეესაბამება კონკრეტულ მახასიათებლზე უკიდურესად დაფებითი აზრი, ხოლო 9-ს - უარყოფითი. მაგალითად, პირველ სკალაზე 1-ს შეესაბამება ჯანმრთელი, ხოლო 9-ს - ავადმყოფი. ეს მახასიათებლები რეალურად მეტ-ნაჟლებად დამოუკიდებელია ნარკომანისაგან. რესპონსის თითოეულ სკალაზე ნარკომანისათვის უნდა მიეჩინა ადგილი. შედეგად, მივიღეთ "ნარკომანის ხატი", ანუ როგორია საზოგადოებაში წარმოდგენა ნარკომანის შესახებ.

### კითხვები 11, 12, 13 და 14

ეს კითხვები ღია ტიპისაა, ანუ რესპონსის არ ვთავაზობდით პასუხის რაიმე ვერსიას და არ ვზღუდავდით პასუხის გაცემისას. ამ კითხვებით გვსურდა, დაგვეცვინა, აქვს თუ არა რესპონსის გარკვეული პოზიცია ნარკოტიკისაგან თავისუფალი ცხოვრების წესის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ; შემოგვთავაზებს რაიმე მისეულს, თუ გვიპასუხებს რაიმე შაბლონური მსჯელობით. პასუხების ამ ორივე ვარიანტს როგორც დაფებითი, ასევე უარყოფითი მხარეები აქვს.

### კითხვა 15

გვიჩვენებს რომელ სტრატეგიას იყენებს პრიბლემასთან მიმართებაში რესპონსი, თავს არიდებს თუ, პირიქით, ცდილობს, აქტიურად მოაგვაროს პრიბლემა.

გარდა ამ კითხვებზე პასუხებისა, ვინიშნავდით რესპონსის ასაკსა და სქესს, საცხოვრებელ ადგილს (ქალაქის ცენტრში ან პერიფერიაზე მცხოვრები) და დასაქმებულია იგი, თუ არა.

## საქართველოს აწინარეობის სტრატეგია

---

### შერჩევა:

გამოკითხვა ჩატარდა 200 რესპონდენტზე. შერჩევისას გამოკითხულები ჰქონდონ ციულად გაფავანანილეთ სქესის, ასაკის (18-24 წელი, 25-30 წელი და 31-50 წელი) და საცხოვრებელი ადგილის (გარეუბანი-ცენტრი) კრიტერიუმების მიხედვით. საბოლოოდ მივიღეთ ასეთი გადანაწილება:

სქესი		უბანი		ასაკი		სამუშაო	
ქალი	102	ცენტრი	98	18-დან 24-ს	67	მუშაობს	73
ქაცი	98	გარეუბანი	86	ჩათვლით	66	არ მუშაობს	121
		არ მიუთ.	16	25-დან 30-ის	67	არ მიუთ.	6
				31-დან 50-ის			
				ჩათვლით			

შედეგები დავამუშავეთ კომპიუტერული სტატისტიკური პროგრამით SPSS.

საქართველოს მრიობის, აკრებთა და სოციალური დაცვის სამინისტრო  
**საქართველოს ანტირანჟოტიკული სტრატეგია**

---


### კლევის შედეგები:

კითხვა 1-ის პასუხები, ანუ საზოგადოების პრიორიტეტები ასე ფალაგდა:


იდეა	საკითხი	მიკუთვნებული ადგილი
k1_1	უმუშევრობა	1
k1_2	ნარკომანია	3
k1_7	მომავალი თაობის აღზრდა-განათლება	4
k1_8	მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვა	5
k1_6	ადამიანის უფლებები	5
k1_3	კორუფცია	5
k1_5	ტრადიციების შენარჩუნება	6
k1_4	ჯარის გაძლიერება	7

როგორც ვხედავთ, უმუშევრობის შემდეგ საზოგადოებისათვის პრიორიტეტულია ნარკომანია, ხოლო ბოლო ადგილზეა ჯარის გაძლიერება.

ყურადღებამისაქცევია ის, რომ, ნარკომანია, როგორც პრიობლემა, მიუხედავად მესამე „მიკუთვნებული ადგილისა“, ჩვენს მიერ ჩამოთვლილ პრიორიტეტებში რიგით მეორე ადგილზე დგას. მაგრამ პასუხები გაფანტულია (იხილეთ გრაფიკები). ეს იმას ნიშნავს, რომ სხვა პრიორიტეტებთან დაკავშირებით (უმუშევრობა, ჯარის გაძლიერება, მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვა) მოსახლეობას გამოკვეთილი, ერთმნიშვნელოვანი აზრი გააჩნია, ნარკომანიის პრიორიტეტულობის შესახებ კი მოსახლეობის აზრი არაერთგვაროვანია.



საქართველოს პროგნოზის, ჯანმრთელობისა და სოციალური ფაციის სამინისტრო  
**საქართველოს ანტირანიტიკული სტრატეგია**



ცენტრი-გარეუბნის ფაქტორი მნიშვნელოვანი აღმოჩნდა პრიორიტეტულობის თვალსაზრისით. ცენტრში თუ ნარკომანია ყველაზე ხშირად მესამე, ხოლო საშუალოდ მეოთხე ადგილზე დგას, გარეუბნებში იგი ყველაზე ხშირად პირველ, ხოლო საშუალოდ - მესამე ადგილზეა.

აქედან გამომდინარე, ვასკვნით: საჭიროა მუშაობა ნარკომანის შესახებ ერთგვაროვანი აზრის ჩამოსაყალიბებლად. ჩვენი ქვეყნის მდგომარეობის გათვალისწინებით, ის შეიძლება პრიორიტეტებში პირველ ადგილზე არ იღებეს, მაგრამ აზრის ერთიანობა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საზოგადოების ჩართვას და მისი მხრიდან როგორც ხარისხობრივად, ასევე თვისობრივად ერთმნიშვნელოვანი მხარდაჭერის მოპოვებას ანტინარკოტიკულ ქმედებებში.


კითხვა 2-ის პასუხები, ანუ პრობლემური საკითხების გაუმჯობესება-გაუარესების შესახებ საზოგადოებაში ასეთი შეხელულებაა:

ც/ნ	საკითხი	სიტუაციის ცვლილება
k1_2	ნარკომანია	-1,05
k1_1	უმუშევრობა	-1,05
k1_5	ტრადიციების შენარჩუნება	-0,60
k1_6	ადამიანის უფლებები	-0,37
k1_3	კორუფცია	-0,19
k1_8	მოსახლეობის განმრთელობაზე ზრუნვა	0,19
k1_7	მომავალი თაობის აღზრდა-განათლება	0,39
k1_4	გარის გაძლიერება	1,17


როგორც ვხედავთ, ნარკომანია და უმუშევრობა, საშუალო მონაცემების მიხედვით, ყველაზე გაურესებული საკითხებია.

საქართველოს პროგრესი, აუდიტორული და სოციალური დაცვის სამინისტრო  
საქართველოს ანტიცარკოტიკული სტრუქტური

პროგრესი, ამ მონაცემებით, ყველაზე მეტად „ჯარის გაძლიერებას“ მიეწერება. გამოკითხულთა გასაშუალებული აზრით, ასევე გაუმჯობესდა ჯერ „მომავალი თაობის ალზირდა-განათლება“, შემდეგ „მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვა“. ახლა კი თვალი გადავავლოთ მიღებული პასუხების განაწილებას თითოეული პრობლემური საკითხისათვის.



ერთი შეხედულითაც ჩანს, რომ „მოდა“, ანუ ყველაზე ხშირი პასუხები მხოლოდ ნარივანიას და უმუშევრობას აქვს უარყოფითი და ორივე შემთხვევაში ეს არის „მნიშვნელოვნად გაუარესდა“. ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ნარივანიაზე პიკი მნიშვნელოვნად მაღალია, ანუ გამოკითხულთა უმრავლესობა ეთანხმება მოსაზრებას: „საქართველოში ბოლო ერთი წლის განმავლობაში ნარივანიის საკითხთან მიმართებაში სიტუაცია მნიშვნელოვნად გაუარესდა“.



აქ, ალბათ, საინტერესოა პროგრესი-რეგრესისა და პრიორიტეტულობის ურთიერთქავშირი. უნდა დავასკვნათ, რომ მნიშვნელოვნად გაუარესებული და, ამავე დროს, თავისი ბუნებით მწვავე საკითხი, მოსახლეობის მიერ ნანარმოებ პრობლემად აღიქმება, რაც იმას ნიშნავს, რომ ნარივანიის პრობლემის გამწვავება შედეგია სხვა სოციალური თუ მატერიალური პრობლემებისა. შესაბამისად, ჩვენს მიერ პირველი კითხვის ანალიზისას გაეცემოთ რეეომენციაციას უნდა დაემატოს: ნარივანიას, როგორც საზოგადოებისათვის საშიშ და, შესაბამისად,

საქართველოს პროგრამის, ჯანმრთელობისა და სოციალური ფაციის სამინისტრო  
საქართველოს ანტირანგობისა და სტრუქტურის

სახელმწიფოსთვის საფრთხის მქონე პრობლემას, საზოგადოებრივ კუგნიტურ სივრცეში საყუთარი პოზიცია უნდა ჰქონდეს, იგი გამოცალევებული უნდა იყოს სხვა პრობლემებისაგან, იქნება ეს სოციალური, მატერიალური, სულიერი, კულტურული თუ სხვა სახის პრობლემები.

კითხვა 3 და კითხვა 4, ერთი შეხვედრით, ერთ კონტინუუმზე უნდა ალაგებდეს ჩამოთვლილ კატეგორიებს (მიღვომები, მოქმედების პრინციპები, გადაწყვეტის გზები და ა.შ.), მაგრამ სინამდვილეში ასე არ ხდება. ერთი და იგივე შეიძლება სიტუაციის როგორც გაუარესების, ასევე გაუმჯობესების მიზეზიც იყოს. ისინი კომპლექსებში ერთიანდება და მხოლოდ ეს კომპლექსებია კონკრეტულ სიტუაციასთან მიმართებაში რამე ხარისხისა და ნიშნის მქონე. რაღაც ჩვენი მიზანი საზოგადოებასთან ურთიერთობაა, ჩვენ არა ობიექტურ რეალობაში არსებულ კომპლექსებზე ვმსჯელობთ, არამედ გამოკითხულთა კუგნიტურ სივრცეში წარმოქმნილ სიტუაციაზე და მასთან მიმართებაში გააზრებულ კომპლექსებზე.

განვიხილოთ ის კომპლექსები, რომლებიც გამოკითხვისას ჩვენმა საზოგადოებამ წარმოვიდგინა.

### კითხვა 3

გაუარესების მიზეზები	გაუარესებისას არ დასახელებული მიზეზები
ყველა უწყება თავისებურად აკეთებს საქმეს	კოორდინირებული (შეთანხმებული) მოქმედება
რეფორმის ჩატარება	ჩართულია მთელი საზოგადოება
პასური საზოგადოება	პრესის ყურადღება
განახლებული კადრები	შემოქმედებითი მიღვიმა
უკონური გამოკლილების კოპირება	ადგილობრივი სპეციალისტების ჩართვა

### კითხვა 4.

გაუმჯობესების მიზეზები	გაუმჯობესებისას არ დასახელებული მიზეზები
რეფორმის ჩატარება	ძველებური/ტრადიციული მიღვიმა
უქონული სპეციალისტების ჩართვა	ძველი კადრები
კანონის გამკარება	ლიბერალური მიღვიმა
ხელისუფლების ინიციატივა	პასური საზოგადოება
პროორგანიზებული ხელისუფლებისათვის	ყველა უწყება თავისებურად აკეთებს საქმეს
პრესის ყურადღება	კანონის შემსუბუქება
საზოგადოების აქტიურად ჩართვა	პრესის მხრიდან იუნინირება
	პროცესის მიმღებარების გასაღებლოება
	სხვა მიღვიმა
	ხელისუფლებისთვის არ არის პროორგებული

ცხრილებიდან ჩანს, რომ „რეფორმის ჩატარება“ აქაც არჩეულ მიღვომებშია. გავამახვილოთ ამაზე ყურადღება. ხალხისათვის ნათელია, რომ თუ კი არსებობს პრობლემები საკითხი, რეფორმის ჩატარება

საქართველოს პროგრამის, აუდიტორული და სოციალური დაცვის სამინისტრო  
საქართველოს ანტირანგობის სტრატეგია

აქსიომური ქმედებაა (რეფორმა ტარიება ორივე, გაუარესებისა და გაუმჯობესების შემთხვევაში). თავისითავალ, რეფორმა ცვლილებებს გულისხმობს. ანუ, ხალხის აზრით, თუ კი რაიმეს გაკეთება გვსურს, რეფორმა აუცილებელია, თუ არა, ე.ი. არაფერი ყეთდება. მაგრამ, ხალხის აზრით, რეფორმის ჩატარება წარმატებას არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს, მთავარია, როგორ ჩატარდა ეს რეფორმა.

ეხლა კი ვნახოთ, რა სხვაობაა კითხვა 3-ის ჰასუხებსა და კითხვა 4-ის ჰასუხებს შორის. აქაც ფიგურირებს უცხოეთი, ოლონდ იმ სხვაობით, რომ კოპირება კი არ ხდება მათი გამოცდილების (გამოცდილების კოპირება შეუძლებელია), არამედ საქმეში ერთვებიან უცხოელი სპეციალისტები (ცოცხალი გამოცდილება). ამ შემთხვევაში, საზოგადოება აქტიურადაა ჩართული პრობლემური საკითხის მოგვარებაში. რაც შეეხება ხელისუფლების ინიციატივას, აქვე ხელისუფლებისათვის პრიორიტეტულობას, ეს ის აუცილებელი პირობაა, რის გარეშეც მოსახლეობას ვერ წარმოუდგენია, რომ რამე გაკეთდეს საქართველოში. აქტიურადაა საქმეში ჩართული პრესა, საკითხის გაშუქებაც შედარებით მარტივია (არსებობენ უცხოელი სპეციალისტები, დაინტერესებულია მოსახლეობა და ხელისუფლება, არავინ არ ცდილობს პროცესების გასაიდემლოებას). საყურადღებოა, რომ არღასახელებული მიზეზები უმეტესად დასახელებულების საწინააღმდეგო გამონათქვამებია. ერთადერთი „ლიბერალური მილიონი“, რომელსაც საწინააღმდეგო არ ჰყავს დასახელებულებში.

**კითხვა 5-ზე** ჰასუხები მეტად გაფანტულია, სტატისტიკურად მხოლოდ ამ ხეთის გამოყოფაა შესაძლებელი. ანუ, აქაც ერთიანი აზრზე დგომის პრობლემაა.

რა გამოიყენება	რა არ გამოიყენება
კანონის გამკაცრება	ძველი კადრები
პრესის უურადღება	სხვა მიდგომა
საზოგადოების აქტიურად ჩართვა	

მიღებული ჰასუხებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ გამოყითხულთა აზრით, პროცესი სწორადაა დაგეგმილი. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ნინა კითხვებზე დაყრდნობით გაკეთებული დასკვნები, ანუ, „სიტუაცია მნიშვნელოვნად გაუარესდა“ - ერთი, და „ნარკომანია ნაწარმოები პრობლემაა, მას სხვა პრობლემები უდევს საფუძვლად“ - მეორე. ე.ი., მოსახლეობის აზრით, როგორ კარგადაც არ უნდა დავგეგმოთ და განვახორციელოთ ანტიარკოტიკული სტრატეგია, თუ საფუძველ პრობლემებს არ მივხედოთ, შედეგს ვერ მივიღებთ.

ეს მსჯელობა ამტკიცებს ჩვენს რეეომენციაციას, რომ საჭიროა საზოგადოებასთან რაციონალური კომუნიკაცია, რათა გასაგები გახდეს, რომ საჭიროა უშუალოდ ნარკომანიასთან ბრძოლა და სხვა პრობლემების აღმოფხვრით ნარკომანიას თავისითავად არ მოევლება. მეტიც, თუ დროზე არ მივხედოთ ამ პრობლემურ საკითხს, არსებული აზრი განმტკიცდება და საზოგადოება ყოველთვის მოახერხებს, იპოვოს ისეთი მიზეზი, რომლის არსებობაც გაამართლებს ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის უაზრობას.

საქართველოს პრომინის, ჯანმრთელობისა და სოციალური ფაციის სამინისტრო  
**საქართველოს ანტინარქოტიკული სტრატეგია**

---


კითხვების ბლოკი 6,7,8,9 გამიზნული იყო საზოგადოების ანტინარქოტიკულ პროცესში ჩართვის მზაობის საკულტურად. ამ კითხვებს უნდა ეჩვენებინათ, როგორია და რამხელა რიგითი მოქალაქის ჩართულობის ხარისხი (პასუხისმგებლობა, ინტერესი, როლი) და რამდენად აიგვებს თვითონ რესპონცენტი საკუთარ თავს რიგით მოქალაქესთან.

დავიწყოთ კითხვა 6-დან. ეს კითხვა სკალას წარმოადგენს და შეეხება ინფორმაციის გამჭვირვალობას: 1-დან - ინფორმაცია სრულიალ დათარულია რიგითი მოქალაქისათვის, 4-მდე - ინფორმაციის მიღება შეუძლია ყველა მსურველს, პლუს მასმელია აშექებს მიმდინარე პროცესებს. პასუხი 5 არ თავსდება სკალაზე, იგი შეიცავს დამატებით ელემენტს „ვალდებულებას“: „ყველა მოქალაქე უნდა ერკვეოდეს ნარკომანიასთან დაკავშირდებულ პრობლემურ საკითხებში“. ამიტომ, ჩვენ თუ პროცესების გამჭვირვალობასთან დამოკიდებულება გვაინტერესებს, მაშინ ასე უნდა მოვიქცეთ:

არჩევანი ორია:

- ერთი - სკალა განვიხილოთ 1-დან 4-მდე, ანუ ამოვაგლოთ მე-5-ე პასუხი.
- მეორე - შევკრიბოთ პასუხები 4 და 5, იმ საფუძველზე, რომ მე-5-ე პასუხის პირობის რეალიზაციისათვის აუცილებელია, შესრულდეს მე-4-ე პასუხის პირობა.

ჩვენ ავირჩიეთ მეორე გზა და შედეგად მივიღეთ, რომ გამოკითხულთა 69% (138 რესპ.) გამჭვირვალობის მომხრეა




განვიხილოთ კითხვა 7. ეს კითხვაც სკალის პრინციპზეა აგებული: 1-დან - „ქვეყანაში ნარკომანიის პრობლემის მოგვარებაზე ზრუნვა არ არის

საქართველოს პროგრამის, აუდიტორულისა და სოციალური დაცვის სამინისტრო  
**საქართველოს ანტიცარკოტიკული სტრატეგია**

---

რიგითი მოქალაქეების საქმე”, 3-მდე - „ქვეყანაში ნარკომანიის პრობლემის მოვარებაზე ზრუნვა ყველა მოქალაქეის საქმეა”.

ჩვენი გამოკითხულების უმრავლესი ნაწილი (83%, 166 რესპონტენტი) თვლის, რომ „ქვეყანაში ნარკომანიის პრობლემის მოვარებაზე ზრუნვა ყველა მოქალაქეის საქმეა”.



ასე და ამგვარად, ამ ორი კითხვის შედეგად გავარკვიეთ, რომ მოსახლეობის 34% ეთანხმება აზრს: „ნარკომანიის პრობლემის მოვარება ყველა მოქალაქეის საქმეა და უნდა ერკვეოდეს კიდევ ამ საკითხებში” და კიდევ 27%, რომელსაც მიაჩნია, რომ „ყველა მოქალაქეის საქმე კი არის, მაგრამ აუცილებელი არაა, ერკვეოდეს საკითხში, მთავარია, ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს მსურველისთვის და მასმეტიაც აშენებდეს საკითხს (ალბათ, რაიმე მნიშვნელოვანი რომ არ გამოგვიჩეს)”.

თუმცა, არსებობენ ისეთებიც, ვისი აზრითაც საკითხში გარკვევა არაა საჭირო, მთავარია, საქმე ვაკეთეთოთ. მართლაც, სულ არ არის აუცილებელი, „უბრალო მუშა” არქიტექტურაში ერკვეოდეს.


მაგრამ შედეგებილან ერთმნიშვნელოვნად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გამოკითხულთა აზრით ნარკომანიის პრობლემას საზოგადოებამ უნდა მიხედოს. მეტიც საზოგადოება ვალდებულია მიხედოს ამ პრობლემას.

კითხვები 8 და 9, წინა ორი კითხვისგან განსხვავებით, პირადაც რესპონტენტს შეეხება და არა საზოგადოებას. ეს არის მცდელობა, გავარკვიოთ, რამდენაც აიგივებს რესპონტენტი საკუთარ თავს საზოგადოებასთან - იგი საზოგადოებაზე მსჯელობს, როგორც განყენებულ აბსტრაქტულ სისტემაზე, რომელსაც მასთან არანაირი

## საქართველოს ანტინარისტიკული სტრუქტურა

კავშირი არა აქვს და ამიტომ მისი კრიტიკა და მასზე პასუხისმგებლობების ფაქტისრიგი ძალიან მარტივია, თუ რესპონცენტს საყუთარი თავი საზოგადოების ნაწილად მიაჩნია და საზოგადოებაზე დაკისრებული პასუხისმგებლობები მასაც ეხება.

აღმოჩნდა რომ, კითხვა 6-ისა და კითხვა 7-ისაგან განსხვავებით, ამ კითხვებზე რესპონცენტთა პასუხები არაერთგვაროვანია. აქ ძნელია რაიმე მნიშვნელოვანი კატეგორიის გამოყოფა, ერთადერთი, რაც შეიძლება ალინიშნოს, ესაა აზრი „ნარკომანიის საკითხთან დაკავშირებით ყველაფერი მაინტერესებს“ და ამ აზრსაც რესპონცენტთა მხოლოდ 34% (68 რესპ.) ეთანხმება. მართალია, გამოკითხულთა მესამედი მნიშვნელოვანი რაოდენობაა, მაგრამ როდესაც ეს 34% წარმატების ჯამს 16%-ის (რაც მაინტერესებს, ვიცი), 11.5%-ის (ინტერესი დაუკავშირდება) და 6.5% (გაურკვეველი მდგომარეობა), ამ მონაცემზე დაყრდნობით მსჯელობა როგორდება. თუმცა, დასტურდება დადგებით კავშირი კითხვა 6-სა და 8 და 9 კითხვებს შორის.



### Correlations<sup>a</sup>

Pearson Correlation

	k8	k9	k6	k7	k6a
k8	1	.129	.306**	.246**	.341**
k9	.129	1	.146*	-.034	.108
k6	.306**	.146*	1	.155*	.926**
k7	.246**	-.034	.155*	1	.152*
k6a	.341**	.108	.926**	.152*	1

\*\*. Correlation is significant at the 0.01 level (2-tailed).

\*. Correlation is significant at the 0.05 level (2-tailed).

a. Listwise N=200

საქართველოს პრომის, აკრებთალობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო  
**საქართველოს ანტირანგტიული სტრატეგია**

---

როგორც კონტაციების ცხრილში ვხედავთ, კითხვა 8 99%-იანი სანდოობით დატებით კავშირშია კითხვებთან 6 და 7. ანუ, 99%-იანი სანდოობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვინც დაინტერესებულია ნარკომანიასთან დაკავშირებული საყითხებით, ის თვლის, რომ ინფორმაცია გამჭვირვალე უნდა იყოს და პრობლემის მოგვარება ყველა მოქალაქის საქმეა, ხოლო ისინი, ვინც არაა დაინტერესებული, პირიქით, მათ მიაჩნიათ, რომ ინფორმაციის მხოლოდ გარკვეული წრეები უნდა ფლობდნენ და, ალბათ, საქმესაც ეს წრეები უნდა აჯეთებდნენ, ყოველ შემთხვევაში, არა რიგითი მოქალაქეები.


სამწევაროდ, უნიშვნელო კავშირია კითხვა 8-სა და კითხვა 9-ს შორის. ეს ნიშნავს, რომ პრობლემით დაინტერესება-უინტერესობა არ არის კავშირში ცოდნით კუმაყოფილება-უკუმაყოფილებასთან. პასუხების განაწილება კითხვებზე 8 და 9 არ გვაძლევს საშუალებას, ერთმნიშვნელოვნად ვიმსჯელოთ, აინტერესებს საზოგადოებას თუ არ აინტერესებს, ან დაკუმაყოფილებულია თუ დაუკუმაყოფილებელია საზოგადოების ინტერესი. ამ საყითხზე პასუხი რთულია, მითუმეტეს, რომ ამ ეტაპზე საზოგადოებასთან კომუნიკაცია ქაოსური და დაულაგებელია, თან იგი უფრო ემოციური ხასიათისაა, ვიდრე ინფორმაციული. სრულფასოვანი კომუნიკაცია კი ორივე კომპონენტს გულისხმობს.

კითხვა 10 სკალების ბლოკისაგან შედგება. თითოეული სკალა ორგოლუსიანი და 9-საფეხურიანია. უკიდურესი მარცხენა ჰოლუსი (1 (სკალური ქულა (შემდგომში სქ) ჰოზიტიური დატვირთვისაა, ხოლო მეორე, უკიდურესი მარჯვენა (9სქ) - ნეგატიურის. სკალები იყოფა 5 სქ-ზე, ანუ მისი არჩევა ორივე უკიდურესობაზე უარის თქმას ნიშნავს. ბლოკში გაერთიანებულია 10 სკალა და, შესაბამისად, დაწყვილებული ოცი ზედსართავი (10 ნუვილი). ესენია:


• ჯანმრთელი	-	ავალმყოფი
• წარმატებული	-	წარუმატებელი
• საზოგადოებისთვის მისაღები	-	საზოგადოებისთვის მიუღებელი
• კანონმორჩილი	-	კრიმინალი
• ბელნიერი	-	უბელური
• უწყინარი	-	საშიში
• მდიდარი	-	ღარიბი
• კუმაყოფილი	-	უკუმაყოფილი
• ნიჭიერი	-	უნიჭო
• კაი ტიპი	-	გოიმი

საქართველოს პროგნოზის, კანონმდებლობისა და სოციალური ფაცილის სამინისტრო  
საქართველოს ანტინარჩოტიკული სტრატეგია

---




თუ ჩავთვლით, რომ ეს ზეცსართავები დიქონტინუიტიურია (ე.ი. შავი ან თეთრი ან არცერთი, შეალებული არ არსებობს) მაშინ, როგორც დიაგრამითან ჩანს, გამოკითხეულები ნარიომანს უმეტესად ნეგატიური ზეცსართავებით ახასიათებენ. გამონაკლისებია მატერიალური მდგომარეობა (ლარიბი - მდიდარი), ნიჭი (უნიჭო - ნიჭიერი) და ტიპი (გომი - კაი ტიპი), ესენიც ნეიტრალური მონაცემის ზრდის ხარჯზე. რა თქმა უნდა, ასეთ დაშვებას თეორიული საფუძველი აქვს, მაგრამ მიღებულ სურათში უკეთესად გარკვევისათვის აუცილებელია, სკალები გაშლილად განვიხილოთ.



საქართველოს პროგრამის, აუდიტორული და სოციალური დაცვის სამინისტრო  
საქართველოს ანტინარკოტიკული სტრატეგია

---




გამოსაყოფია ოთხი სკალა, რომელებზეც მონაცემების უმრავლესობა უკიდურეს მარჯვენა (წევატიურ) ჰოლუსტე ლაგლება. ანუ, გამოყითხულები ნარკომანს ერთმნიშვნელოვნად დაავალებულად, წარუმატებლად, უბედურ და საზოგადოებისათვის მიუღებლად მიიჩნევენ. ამ დახასიათებას შეიძლება დავამატოთ კრიმინალი და საშიშიც, თუმცა აქ მატულობს მათი რიცხვი, ვინც ნეიტრალური ჰოზიცია შეინარჩუნა, უფრო მეტად ეს დანდენცია გვხვდება კრიმინალის შემთხვევაში.

